


*Handwritten text at the top of the page, possibly a signature or date.*

*Handwritten notes in the upper right corner, including the word 'საქართველო' (Georgia).*

# ივერია

1885

№ X, თბოვანი.



თბილისი.

ექვთიმე სულაძის სტამბა.

1885

შინაარსი:

I. მოძღვარი, მოთხრობა ა. მოჩხუბარებისა. (შემ- დგეო) . . . . .	3
II. სახალხო ლექსები (სეკში შეკრებილი ა. მ — საგან)	49
III. ნაამბობი არტემ არარატელისა საქართველოს მდგომარეობაზედ მე-XVIII საუკ. დამდეგს. (მა- საღა ისტორიისათვის) (შემდეგი) თარ. ზ. არჟუუა- ნიძისა. . . . .	53
IV. სცენა სოფლის ცხოვრებიდან ს. მგალობლიშვილისა	72
V. სახალხო ლექსები (შეკრებილი ს. მ — ღისაგან).	74
VI. სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის კურ- თხევა («იკერიის» კორესპონდენცია) . . . . .	77
VII. სიმღერა (დექსა) ი. დ — ისა. . . . .	79
VIII. დიდ ზალაში (პროვინციალური სურათები ს. მგა- ლობლიშვილისა. . . . .	81
IX. * * (დექსა) ცახელისა. . . . .	98
X. სიტყვა აკაკისა (თქმული სათავად აზნაურო სკო- ლის სახლის გურთხევის დროს). . . . .	100

14 ნომერი

# ივერია

საპოლიტიკო და სალიბერალურ  
შურობის

6062

წელიწადი მეცხრე

№ X



თბილისი

მ. ზედაძის სტამბა, საპოლის ქუჩაზე თავის.საკ. სახლში  
1885



Handwritten text in Georgian script, likely a title or author's name, located at the top right of the page.

Дозволено цензурою, Тифлисъ 2 Ноября 1885 г.

მეუკლამ ორივე ხელი ისევე თავ-ქვეშ ამოიღო, მიესვენა ტომარას და თავის სამთვლობელო ოცნებაში შევიდა.

გაიარა წუთმაც და ქალმა ნაზას ხმით დამღერა:

«მოთუწინდი, ჩემო მეტყვალა,»

«დამიჭიკჭიკი ბანსუდა.»

«თითქოს ჭყვიცადი: «მიუვარხა?»»

«მაშ რალად დასვალ განსუდა?»

ქალმა კვლავ გაათავა ეს სიტყვები, რომ კარებში ბრახუნის მოსმა.

მეუკლა შეერთა, განუძდა და სულ განახულმა ხმა კვლავ ამოიღო, განძრევაც კი კვლავ მოახერხა.

მოსმა უფრო ძლიერი ბრახუნი და მოუთმენელი ხმა, რომელიც წამ და უწუმ სწყდებოდა:

— მეუკლაუ, მეუკლაუ!

მეუკლა წამოხტა და მთვთქავის გულით კარებთან მოვიდა.

— არ გკმის, ქალაუ?... აცხცახებულის ხმით დაიძახა კიდევ ონისემ.

— ვინაა, რაი გინდა?

— მე ვარ, მე... გამილე კარი...

მეუკლა განუძდა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა.

— გამილე, ღვთის მადლმა, თორემ ჩემს სისხლში გაგრეკ.

— ვინა ხარ, ბენა! უპასუხა შეშინებულმა მეუკლამ ურდულს ხელი გაავლო, მაგრამ ისევე შესდგა.

— მე ვარ, ონისე.

— რაი გინდა ამ შუა-ღამისას? უთხრა ქალმა და, თუმცა ჭკრძნობდა, რომ დიდს უნარს კვლავ მოახერხებდა, მაგრამ ძანც დაუმატა:— არ გაგიღებ, არა.

— ქალაუ!... დიქრთი ადარ გუავს?... მეჩვენე, მეჩვენე ერთ-  
სულ ვიდუკ და ლუთის მადლმა ჩემის ლეშით უარნებს გავა-  
ძღობ .. გააღე, გააღე მეთქი!...

ისეთის გაშმაგებით და გამუდმებით ითხოვდა ონისე ვა-  
რის გაღებას, სმაში იმდენი თავ-განწირულება და გადაწვევა-  
ლება ეტყობოდა, ისეთი გაბრაზება, რომ ქალს შეეშინდა.

— ონისე!...

— ღჷ! მოუთმენელად შეჰყვირა კაცმა და სმაში დაეტეო,  
რომ გუფს მწვავე რკინა მოსკუდროდა. — გააღე, გააღე... ერთს  
გნასავ... წავალ... მოგშორდები... შენს უნასავად ნუ... ნუ  
მომაკვლევენებ თავსა... გამიღე... მე სასიღოცხლო ადარა  
ვარ... ქალაუ, გააღე მეთქი!...

მაყვალას გუფი ამოუფდა და შეშინებულს ეტონა, რომ  
ონისეს ცოცხალს ვეღარ ნახავდა. ხელი ერთბაშად აუცანცანდა,  
გონების დამოწმობა დაეკარგა, და ზატრონისავე დაუკითსა-  
ვად, ანკარში მიუტყეოდა, ურდული, უკან გაცურდა.

გაიღო კარი და ონისე დამთვრალსავით წაწრცით შე-  
ვარდა, დაბარბაცდა და კედელს მიეყუდა. გაცრეცილი სახე  
სულთ-მაბრძვისა შეჰქნოდა. კრიჭის შეკვრის გამო, დაწვები  
ამოხფლომოდა და ძალზედ გასილებულის თვალებიდგან ცეც-  
ხლებსა ჰყრიდა.

გონება დაფანტული ქალიც იდგა განუძებული და ადგი-  
ლიდგან ვერ დამრუდიო; თავი დახარა, თვალები დაეშვა და  
წოლის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო.

ოწიავ ასე იდგნენ გასეკებულს საგნებსავით, თითქოს  
შოძრაობის ნიჭიც კი დაეკარგათ. აქამდის ოწიავ ისეთის ძა-  
ლით მიიბრძოდა ერთიერთმანეთისკენ, რომ ჰკუყანავდნენ ისეთი  
ძალა არ განზღებოდა, რომელსაც მათი ერთმანეთისადმი

აღოჯივება შეეყენებინა და ესაა კი, როდესაც ვრთმანეთაი-  
გან ასე ახლოს იდგნენ, ამოსუნთქვაც კი ვეღარ გაებუდათ.  
ონისე უყურებდა მყვალას, რომელსაც აღშფოთების გამოს-  
საგულის შეკვრაც კი დავიწყებოდა და განუმეხული თითქოს  
ულადა, ლაპარაკი ქალს დაეწყო.

მყვალა ჰგრძნობდა კანის თქალებას ძაღს, რომელიც  
მოუსვენრად უცვივლივებდა და აღშფოთებაში შეჭყვინდა; სიამ-  
ოვნების ყრამულს უტარებდა მთელს სხეულში, და თუმცა  
თვალები დაშვებული ეჭირა, გრძნობა მსკდველობით გარდაქცეო-  
და, თითქოს ხელადა ვაჟიას უწვალოდ დაღონებულს სახეს,  
რომელშიაც იმდენი სიყვარული, ხვეწნა და მუდარა გამოი-  
თქმოდა, ისე ბენავად გამოიჩქირებოდა.

ქალსაც მეტის მეტად უძნელდებოდა ლაპარაკის დაწყება  
და ან კი რა უნდა ეთქვა?... ესაუკედურა, რომ მოვიდა? მაგ-  
რამ როგორ ესაუკედურა, როდესაც მისი ნახვა ისე შვირად  
ულირდა, ისე ნატრობდა, რომ ხატსა თუ ჭვასს, ყველა სა-  
ლოცავებს ამ ბედნიერის წუთებისთვის ხვეწნით თავს აძულებ-  
და! გრძნობისთვის ნება მიეცა, და გული ტოლთან შესაერთებ-  
ლად გაშვებან ვერა ჰბუდავდა, რადგანაც სწორედ დღეს შეა-  
ტუბინა ბუჟამი, რომ ონისე მხიარულად არის და ცოლს  
ირთამსო. ქალის თავ-მოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ ნა-  
ბიჯი გადაედგა.

ერთბაშად კეკლური შეკრთა, უგანასკნელი ბეწვიც, რომელ-  
ზედაც მოთმინება ეკიდა, — შესწუდა და წენარად, თუმცა ცაცხლ  
წავიდებულის საძლიერით, წარმოსთქვა:

— რისთვის მახულხარ? და გულმა ცაცხახი დაუწყო, მთლად  
სმენად გადაიქცა.

— მიყვარხარ და იმად. მოკლედ და მტკიცედ წარმოსთქვა

კაცმა, ამის შემდეგ ისევე სიჩუმი ჩამოვარდა. ქალის გულს ნუ-  
ქტარის სიამოვნება ატრიალებინა.

ამ სიტუცებში და გაღვიძებულმა იმედმა, რადენაღმე გა-  
თამაძა, თუმიცა ახრავნობა ჯერ მაინც ვერ მოეკრიფა და ლა-  
პარაკის ანგარიში ვერ მიეცა.

— დიაღ, გიფორკავ? ელვასავით შესტეორცა ეუუუნა თვა-  
ლების სხივი და გაწითლებულმა მამინვე ისევე თავი დახარა.

ონისემ რაძენივე ნაბიჯი წადგა, გაიმართა წელში,  
იგრძნო, ბრძოლის გული მასა რხებოდა და სასე ვამარჯვებუ-  
ლის ძლევა-მოხილობით გაუბრწყინდა.

— ქალაუ! ორნივე ვიტანჯეთ, გეწვალეთ და ვერ დავივიწყეთ  
ერთერთი... ერთერთი ვნახეთ და შეგვიყვარდა ერთმანეთი...  
ჩვენის ნებით არ მომხდარა ესა და ვერც ჩვენის ნებით ვავი-  
წყებოთ... ვეცადე, ქალაუ! ვეცადე, დეათის მადლმა, რომ გუ-  
ლიდამ ამომეღე, შენი საყვარული იყავიანად ამომეგლიჯა, შე-  
ნი სასე ცხელის რკინით ამომეხუჯა გულიდგან, მაგრამ დაგინი,  
დავიღე და აჭა, მაინც შენთან მსუდავ.

ონისე ლაპარაკობდა წუნარად, გარკვევით და სრულის  
ცნობიერებით. აშკარად გტყობოდა, რომ ეს სიტუცები ამო-  
დიოდა გულის საძირკველიდგან, სადაც ადგზნებულის, ალაპლა-  
პებულის სიყვარულის ცუცხლით ხალასდებოდა და ცქინდე-  
ბოდა.

ქალი შეეზურა მათს ძალას და კანის უოველ სიტუცას,  
უოველ ხმის მოტრიალების გაკლენას აშკარადა ჭკრძნობდა.  
ქალი სდნებოდა და ზედ ეკლისებოდა, უხმოდ ეთანხმებოდა და  
უსიტუცოდ ემოწინებოდა.

ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა მკეზდთან, მაგრად და



ძლიერად მოუჭირა მკვლავები, ჩახვდა თვალებში და წყნარად, თითქმის ჩუქჩულოთ უთხრა:

— ქალაუ!.. ჩემო ყველაუ!... მითხარა!... უკანასკნელადა ვარ შენთანა და მითხარ, მითხარა: საით წავიდე, რაი ვქნა? აქნები ჩემი, თუ არა?!.. აქ კაცს სიტყვა გაუწოდა, ხმა დაუკანკალდა და ჩუმად წარმოასთქვა: «არა?» ქალი უფრო მიხვდა, სანამ გაიგონა ეს სიტყვები.

ამ ხანში მყვალა გაჩუმებულიყო, განაბულიყო, როგორც გურდღელი, რომელიც ბრწივის კლანჭების მიახლოებას ჰგონობს და სულთქმაც კი შესწევს.

— მითხარ, ქალაუ! მითხარ! კიდევ ძალზედ ძიიზიდა კაცმა.

მყვალამ იგრძნო რაღაცა სითბოებს, სასუსტესთან აჩუქდი, თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა და უხილავის ძაღვის გაკვლის ქვეშ მყოფმა დაიკვნესა, წსელსავით გადმოიგრინა და ორივე ხელი ყელზედ მაგნად გველსავით შემოაჭდო. მასუსად აღგზნებული, ხანგრძლივი გოცნა კაცისა გაიხმა...

— მყვალაუ! თავბრუს დასვევით წამოიძახა ონისემ, ბუმბულსავით ხელში აიტაცა, — ძალზედ ძიიკრა გულთან და დაოსებულს გაყსავით გოცნა დაუწოდა..

კერაში აბურტებული ცეცხლი ჩაქრა; წისქვილში სინათლე წყნარ-წყნარად სუსტდებოდა, ღამის უფსკრულს დაქალა მისი შუქი და შთანთქმას ექადოდა. ხალკრდალს ფერფლი ეფარებოდა და მიდამო იღუმალებით ივსებოდა; ყველაფერი გაჩუმებულიყო, გაუჩუბულიყო და სრული სიჩუმე ჩამოკარდნილიყო.

ამ საერთო იღუმალების დროს ათასში ერთხელ განსმობდა შეეკრებულთა გოცნის ხმა, რომელიც ერთმანეთს ზევით

დმეტის აძლევენ თავდებით ღა ქვეშ დედა-მიწას, რომ საუკუნოდ შეერთდებოდენ, რომ ერთმანეთით ისულდგმულბდენ.

X

ზირველი დღეები მათის ტრფიალებისა წარმოუდგენელის სიამოვნებით მიდიოდა; ერთმანეთისთვის გახენილნი, დიდის ღოდინის შემდეგ ერთად შეუწილიყვნენ და ეს მდგომარეობა ძეტად თავ-დასასვიწყებელი იყო, რომ მათ სხვა რისთვისმე მოეცალათ.

ისინი შეიყრებოდენ ხოლმე ყოველ-ღამ გლეხების გასშობის დროს და აღვზნებულა სიყვარული წუთს არ აძლედა თავისუფალსა, რომ თავიანთ მდგომარეობას დაჰკვირვებოდენ, მომავლისთვის მოაზრებას შესდგომოდენ.

ასეთია განის სიცოცხლის გაზაფხული! მისი სტუმრობა ისე ძნელა, ისე იშვიათი, რომ, როდესაც ეწვევა ვისმე, უბაღას და ყველათურს გადაავიწყებს.

დრო მიდიოდა და გელას მოსვლაც ახლოვდებოდა, მაგრამ შეყვარებულნი ამ მხრივ ისე დამშვიდებულნი იყვნენ, თითქმის რომელიმე უბედურება ანამც თუ მოსალოდნელია, ანამედ შეუძლებელიც.

ერთს სალამოზედ ონისე, ჩვეულებისამებრ, დანიშნულს დროზედ მოვიდა და კარებშივე, მისაღმე ასთან ერთად ქაღდ გულში ჩაიკრა.

— რასთვის დაიგვიანე? წყნარად და ალერსიანად ჰკითხე ქალმა.

— არ დამიგვიანებია! აკონცა კაცმა და ხელი გაუშვირა ერთს ვარსკვლავზედ. — აგერ, გახედე...

მსუკლამ შეხედა, გაიღიმა და თვალები აუუუუუნდა. ვარსკვლავს ჯერ დანიშნულს ადგილამდის არ მიეღწია და, მასთანადამე, ონისე კვლავინდელზედ უფროსად რეც კი მოსულოყო.

— რაი ვიცი, კვლავ რად შეალოებსა ქალი. — მე კი ისე მეგონა, რომ გათენება მოვიდა მეოქვი.

— ჰაი-ჰაი! ჩაიციანა კაცმა და უალოესა. — ძალემ ეშმაკაი ვიხარ, ღვთის მადლმა!

— რასთვის, რასთვის! თავს ეკლებოდა მსუკლა და ცდილობდა ონისეს სიასლოვით დამტეზობრიყო.

ოწნივ შევიდნენ სახლში და გრძელს სკამზედ ჩამოსხდნენ. ქალი მიუერთო მკერდზედ და თავი კვლავ რად მსარსზედ მიანდო. ონისე ჩაფიქრდა და სახეზედ რაღაცის მოხრება დაეტყო, ქალმა შეხედა და ეს მდგომარეობა კაცისა გაუგვირდა; რამდენსამე დღის ბედნიერებამ გადააჩვია იმ აზრს, რომ ადამიანს მოწყენაც შეუძლიან. მსუკლას ბევრი მწუნარება გამოეყო, ბევრი ვარამი ეწინა, მაგრამ საუვარელ კაცთან დაახლოება წამლად შერკებოდა, დაკოდვილს გულის მკურნალს მალამოთ დასდებოდა და გამხიარულებულს გადავიწყებოდა მწარე ღუმილოსაგან აღძრული უსიამოვნობა.

— ონისეს უუარს, და კბერ უუარსთ... ჭფიქრობდა ქალი. — ცხო რაილა უნდა, რაილა აღონებს?

— ბიჭაუ! კვლავ გასძლო ქალმა და სმა-მადლა წამოიძინა.

— რაი გინდა?

— ნუ დადონდი, ღვთის მადლმა, თორემ ტირილს დაიწყებ.

ონისემ სიყვარულიანად შესუდა და სასუხედ მადლობის ბეჭედი დაეტოვა.

— შენთან რაი დამაღონებს, მყვალაისი?! ბნელს გულში მზის შუქად ჩამესახე და რაიღა დამაღონებს.

— მას რაისთვი გაჩემდი? რაისთვი აჩას ლაპარაკობ?...

— ისე დაკოფიწი რასმე.

— არ მინდა ფიქრი, არ მინდა ვაკრი! ყინიანად წამოძახა ქალმა და დაუმატა: — მელაპარაკე, მელაპარაკე გაუწყვეტლივ, შენთან ლაპარაკი მწადის!

— ხეიო ყველავ!.. რაი გიყო, რითი გააღერსო ისე, რომ შენის სიყვარულით გაკედლე!

— ახა რაი ვიცი. უზასუსა გაღიმებუჯმა ქალმა.

— შენ საით-ღა გადაგიხადო, რა მოვასურსო, რომ ტავის დღეში არ გაწყენინო, არ დატაღონო?

— თავად ნუ დაღონდები, და მეც სულ მსიარულად ვიქნები.

ონისემ ამოიხსრა და ისეე ჩაჭკიდა თავი. ქალმა შესუდა და შეუბუხლუნა.

— რაია, რა? ჩე!

— მაცაღე მყვალაისი, საფიქრებელი მაქვს რამე.

— რაიღა გაფიქრებს.

ონისემ შესუდა ყმაწვილს ქალს, რომელსაც ქვეყნის ვაჩაძი გამოკვლო, მაგრამ ისეე ისე გამოუცდელი დაჩენილიყო.

— ისა, მყვალაისი, რომ დღეს ამბოვი მომივიდა.

— რაი ამბოვი? საჩქაროდ ჰკითხა ქალმა და სასე შეეცვალა.

— გულაი მოდისო.

— გელაი? შეპკრთა ქალი და იუერი წაუვიდა: — ვინ გითხრა?

— ხეხნით მწუემსები მოვიდნენ და იმათ სთქვეს; ამ დღეებში გახნდებო.

ქალი განუბდა, ჩაგონთდა და შუბლი შაკმუსუნა. ეყოლობდა, რომ ამ ხმამ დასურად გაუბნინა გულში. კაცსაც თავი ჩაქვიდა და ღრმა საგონებელში წასულიყო.

— ქალაუ? ბოლოს აიღო თავი ონისემ და მიუბრუნდა მათკვალას: — სიუორულმა ყველა გადაკვაკიწყა... მოემზადე, უნდა წავიდეთ.

— რაი მომზადება მინდა.

— რაი ვიცა? ან შესაკერი გექნების რაიმე, ან გამოსატრეული. ბერეს ვი ნურას გამოუდგები, თორემ კვლამ მოსაწრობ.

— მე არც რაი არ მინდა...

— მაშ როდის წავიდეთ?

— თუნდა დღესვე.

— ახლა არ იკითხავ, სად მივალთ?

— რაი ვითხვა მინდა?

— იქნება გულმა ცხლავან დაგთსოვოს?

— შენთან ყველგან სამოთხვა.

— მათკვალასი! აკეთი ვაჩვი რამა ვშობა? მოკვივა ვაყია და დაუმატა: — ზეგოსთვის მეც მზად ვიქნები და ვახსენოთ ღიქობი!

— თუნდა დღესვე, მეთქი.

ამ დაპირავის შემდეგ ისინი კიდევ რამდენსამე ხანს დაჩხნენ ერთად და ალერსში გაჩიულნი საქმეს აღარ შეხებია. გარყოფილმა მოაღწია, როდესაც ონისე მათკვალას გამოეთხოვა, ვარი გამოიარა და მთაში მოსამზადებლად წავიდა.

იქ უნდა ცხვარი გაევიდა, ფული მოკერებინა და ისე

გადასახლებულიყო, რომ პირველში, სინამ მოეწყობოდა, რუასს გაიხენდა, მკვლასათვის გაჭირვება არ ეჩვენებინა.

სინამ ეს კაცი მთაში ავიდოდა და ცხვარს დაინახავდა, სანამ გული ლაღადა ჰქონდა და სრულიად დამშვიდებული არ-  
როვნებდა; მაგრამ, რაჟი ცხვარი დაინახა, რა წამს შესედა. თერდლებს სადაც თარა ისე მშვენიერად შეგნილიყო, გულმა აღშოთება აგრძობინა და მოუსკვნებლობაში ჩაგდო.

მთიელი მხოლოდ ამ წუთებში მისკდა, რა მწკვი მო-  
ქმედება ჰქონდა იმ ადგილების განშორებას, სადაც ბავშვობი-  
დანვე აღზრდილიყო, იმდენი მწუხარება და სიტუბება ენახა. ის დაბადებიდანვე შესწევდა იქაურს ბუნებას, შესთავიზობდა ყოველ მთას, ყოველ ღელეს, ყოველ გუნტულს, მათ შორის მისცემდა გულის ძელგარებას და თვით მოაზრება, ჭკუის მუშაობაც კი უამართლად არ ესმოდა და ესლა მათთან გამოსა-  
ძებას, იქნება, საუკუნოდაც ემზადებოდა. ამ ადგილების წყაფს, ონისეს სმენისთვის სრულიად სხვა კვარი, მშობლური და და-  
მკვავებული გაკლენა ჰქონდა; უზარმაზარს, სხვისთვის მხო-  
ლოდ ჩამოფხეკილს, უნაყოფო ვლდეებს, ონისესთვის გამ-  
ცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი ძალა ჰქონდა და თვით ცხვრის უბრალო დაბლალებაც კი შეჩვეულს უფრო დამამშვიდებელს ხანად მოესმოდა.

ვევლათურს, სრულიად ვკლათურს, — დაწეული მუდი-  
ღურის ლაყვარდოვანის ციდეან, ამაყის და დიდებულის მთე-  
ბიდეან, უკანასკნელს მცირედს ნატამლამდის, სიტყვით, ყო-  
ველისთერი, რაც კი ამ მთაში მოიხობოდა, ონისესთვის დაუ-  
ფასებელი იყო, მის არსებაში ადგილი ეჭირა და მათთან გან-  
შორება ეთანხმებოდა ნახევარის სიტყვის განწირვას, — მა-  
გრამ, საქმეში მკვლას იყო ჩარეული და ეს საკმარისი იყო!..

იმის დასაკუთრებისთვის, შეჩვენისთვის მთელი სიცოცხლეც რომ დასჭირვებოდა, წუთს არ შესდგებოდა, დაუფიქრებლად მისცემდა.

ონისეს აგონდებოდა, რომ ცხვარი უნდა გაეიდოს და საუგუნოდ განშორდეს იმ მშვენებრებით სავსე ჰიეროტიკებს, რომელნიც იმდენი ამაგი ჰქონდა, რომლების ყარაულობაშიც იმდენი ბნელი და ჯოჯოხეთი დაძებო. გაეტეხა, ათას ფათურავს წაჭკიდებოდა და გული მიეშვირა მოუსვენარის, დაუცხრომელის, მტრად გადავიდებულ ვაცთა, თუ მსუცთათვის.

ჭკრძობდა მათ მოშორებასთან ერთად გულის მრავალს ტბილად დაზევაკებულ გრძობათა მოშორებასაც, მაგრამ საქმეს მოეტანა, შემთხვევა ითხოვდა და უნდა განშორებოდა...

ონისემ დაუძახა მწუემსებს, გამოუცხადა, რომ ცხვარსა ჭყიდის, რადგანაც ფული ეჭირვება და სთხოვა, რომ მუშტარი მოეკითხათ. ეს ამაგი ყველას გაუცხადა, ყველას ეწინა და შირში სიტყვა გაუწევიტა. მათ ვარგად იცოდენ, რომ თუ ონისეს განსაკუთრებით რამ არ შემთხვეოდა, ცხვარს არ გაჭყიდდა და, თუმიცა გულით უნდოდათ ამ გვარი განზრახვის მიზეზის გაგება, მაგრამ ვაცის სულის საძირკველში ჩასუჯვა, გაქეპა ვერ ეკისრათ.

ყველამ, ვისაც ვი ეს ხმა მისწვდა, გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადა ონისეს და ყველას სიტყვაში ეტყობოდა, რომ ამ გვარი გადაწვევტილება ერთს უპირველეს უბედურებად მიაჩნდა.

თუ ონისეს მეცხვარეები ასე მოეჭინენ და ონისეს მოქმედების წინააღმდეგობა ვერ გაბედეს, დანარჩენმა ხალხმა საქმეს სხვა რიგად შესუდა.

იმ დროში ხალხისთვის ერობას ჯერ კიდევ დიდი მნიშ.

კნელობა ჭქონდა. თემობას, თავის საზოგადოება ერთს ოჯახად მიაჩნდა და ყოველი თვითოეულის წევრის უბედურება საერთო ზარალიად, საერთო დასაკლავად მიიღებოდა. მაშინ თემობა თავის მოკვლედ ხაზიდა დაეცვა სარგებლობა თვითოეულის წევრისა, ეზრუნა მისთვის და ყოველ შემთხვევაში გამოსარჩლებოდა. თემი თვითოეულს წევრს ისე უყურებდა, როგორც შემადგენელს ნაწილს მთელის ერობისას და მის ტვივილში საერთო ტვივილი გამომთქმობდა. ამითივე უსდიდა თვითოეული წევრიც, რადგანაც თემს განსმარებული, კანცალკეპული ცნოვრება თითქმის შეუძლებელი სდებოდა და მის მთარგელობის ქვეშ ძყოფი გი დახაზრული არავისგან დაჩხუბოდა. ვეკლა წევრმა იცოდა, რომ მის მოსარჩლედ მთელი თემობა იყო, მისი შეურაცხ-ყოფა — მთელის თემობისა, და ამისთვის გული ამაუღებოდა, ძალა თავს ვეღარ ასრკვიზებდა.

როდესაც თემმა შეიტყო ონისეს განზრახვა, მან მოიხურვა თავის წევრის ანგარიშის მოთხოვა და გამოჩენა იმ უფლებისა, რომელიც ზირად მის შინაურს სარქმეებშიაც გი ერკობოდა.

უფროსები შეიყარნენ არა მარტო იმ აზრის სელ-მძღვანელობით, რომ მათ ჯადაბობას ერთი შემლბებული ოჯახი აკლდებოდა, არამედ იმ მოასრებითაც, რომ ერთის მოქმედება სხვებისთვის სამაგალითოდ არ გამსდარიყო და ერთსელ შეურული საერთო ოჯახობის მშვიდობიანობა მრავალთა მომორებით სრულიად არ შესუსტებულიყო. ამ გვარად მთიელის განზრახვას ორის მსრით ესებოდა თემობა და, თუძცა თვითოეულის საკუთრების შესების უფლებას არ აცხადებდა, მაგრამ თავს მოკვლედ ხაზიდა ყოველი საშუალება ესმარა თავის წევ-



წისთვის გუნება შეეცვალა და მიღებულის განზრახვის უსაფუძლობა დაენასკებინა.

ონისე მწუქმსებთან ლაზარაკობდა, როდესაც მასთან ბუყია მოვიდა და შეატობინა, რომ ვაკე მთას თემის უფროსობა შეუწილს და გიბარებსო.

— იარე. მასწინვე უზასუსა ონისემ და გაბრუნდა; მაგრამ ისევ შესდგა და მწუქმსებს მიუბრუნდა.— ღვთის მადლსა, მუშტარი მოვიდითსეთ, ლოდინის დღე აღარა მაქვს.

ამ სიტყვების შემდეგ გამობრუნდა და სიარულში ბუყიას დაელაზარაკა.

— თუმი წაისთვი შეუწილს?

— რაი ვიცი?... ამბობენ, შესს საქმეზედ შეიყარაო.

— რა საქმეზედ?

— ცხორსა ჭყიდისო.

— შერე, იმათ რა?

— აბა რაი ვიცი?... არ გავასყიდინებთო.

— აბა! გაიკვირვა ონისემ.— ჩემს ცხორს საით არ გამასყიდინებენ!

— მართლა ჭყიდი? ჭყითსა ბუყიამ.

— მართლა.

— აუ! სსვა ველარა შარხერსა— რა მეცხვარემ და გაჩუმიდა.

— რაია?

— ისა, რომ ცხორს საით-და გაჭყიდი?

— წაისთვი არა?

— არ ვიცი, ღვთის მადლსა. მაგრამ, აბ მე... ბატკანი რაია, ბატკანი?... გასასყიდათ იმასაც ველარ გამოვიძებო...

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ ნაამაგდარეკია... კაცს თუნდა

შვილი გაუსვიდა, თუნდა ცხვარი... რაი ბედნა, ორივე გა-  
გაზრდა, ორივეზედ ამაგი გაჭკს.

— მაშ სტუმარს ცხორს რომ დაუკლამ ხოლმე, რატომ  
შვილს ვა არ დაუკლამ? მწარედ ჩაიღიმა ონისემ.

— შვილი საით დაიკვლები?... შვილი ადამიანია.

— მაშ თითქმის ერთიან?...

— ერთი ანა, მაგრამ, სიტყვას და კაცი იტყვის... ბრძე-  
ნის კილოთი წარმოსთქვა ბუყამ—ღმერთისაგან ეგრე დადუ-  
ბული, შენაი ჭირაიძე, რომ ცხორი დაიკვლებს და სტუმარი  
ვი ღვთისა, თორემ რაზედაც ამაგი გაჭკს, უფუფს მადლმა,  
შვილში ან გამორჩევა.

ამ ლაზარაკით მიადწიეს ვავე მოას, სადაც საკმაო ხალხი  
მოგროვილიყო, რკვლად შემომსხდარიყო მწვანე მინდორზედ  
და გასწრებული სჯა ქქონდათ.

ონისე მისვლის უძალ მიესალმა, მშვიდობა შეუძრახს და  
ფესზედ წამოღვამილებს უთხრა:

— დასხედით, დასხედით, თქვენაი ჭირაიძე! მე რაი ღირსი  
ვარ, რომ ფესზედ ამიდგეთ.

— რაისთვი ანა? ვაი რჯასის შვილს ხარ და ვაი გოჩრისა!  
უბარუს ერთმა უფროსთაგანმა და ხალხი დალაგდა.

ჩამოკარდა სრული სიჩუმე და რაოდენსამე ხანს გასტა-  
ნა. ათასში ერთხელ მეზობელი თუ მიუბრუნდებოდა მეზობლის  
თავსა და ჩუმიდ რასმე წასწერს ულებდა, თორემ ხმა-მალა და-  
ლაზარაკებით, ან უსეირს თავ-აწვეუტილის სიცილით მუუდ-  
რობდა არვის შეურყევა.

ვეელანი ისხდენ ჩაფიქრებულნი, თავ-ჩაკიდებულნი და იმ  
მწუხარე გამოძეტველებით სახეზედ, რომეღიც მგლოვარე,  
მოსამძიმე გუფს დაუტოობა ხოლმე.

— ახა, ფარქშაუ, დაიწყო! დღე მიდის, გვიანდება და ლოდინისა აღარაა. მიიქცა ჩამდენიმე მოსკე, უკვლახედ უფროსს, თმა-გათეთრებულს მოსუცებულს.

ფარქშამ ჩაახველა, გადაისვა უკვლახედ ხელი და დაიძახა:

— სმენა იყო და გაგონება!.. ონისეკ, აქ მოდი.

მოსეკე გამოვიდა უნცროსებიდან, რომელნაც კრებანგან შორიანლას იდგნენ, მოწიწებით მივიდა თემობასთან, შევიდა მათ შუა და განუებულად, მოკრძალებით დადგა.

წელან, როდესაც ონისეკი მოვიდა, უკვლახს ისე შესვდა, როგორც სწორა; აჩაპინ უბიარტესობას არ იჩენდა; თუ ონისეკი ვისმე განსაკუთრებითს პატივს აძლევდა, ეს იყო მხოლოდ ჩვეულებრივი წაღილობა ხნიერებით უფროსისადმი და სხვა არაფერი. ესლა კი სრულად სხვა იყო: შეუძლეს თემობას ძლევა-მოსალი დიდებულება დასტყობოდა, ამაყად და უფლების მქონებლად გავლიდა მათი ყრილობა. ონისეკი ჭკრძობდა ამ ძალას, ემოწინებოდა მის დიდებას და სრულად დაწმუნებული იყო, რომ ის წვერია ამ საერთო რჯასობისა, არის მასთან შერტებულად და მისგან დამოკიდებული; ჭკრძობდა, რომ ამ ხალხს გაკვინა, უფლება აქვსთ მის პირადობაზედ და ემოწინებოდა საუკუნობითვე ხალხის სასლასა და ძვალში გამჯდარს ადათსა და წეობილებასა.

— ონისეკი! დაიწყო ფარქშამ. — ხალხში ხმა არის, რომ ცხარისა ჭეიდი, — მართალია?

— მართალია. წუნარად წარმოსთქვა ონისეკი.

— მას რჯასსაც მოშლი?

— მო, თქვენაი ჭირიმე!

ამ სიტყვების შემდეგ ისევე სიხუმე ჩამოვარდა და ხმა-

მადლივი ღაპანაკვი შესწუდა. მხოლოდ ისმოდა ხალხში წყნარი ჩუჩხული, რომელიც გრგვინვასავით დაჭჭროდა და გამორკვევს შრიალად გამოისმოდა.

— ონისეუ!.. თემობა კარგად გიცნობს. ბოლოს დაიწყო ისევე ფარქშიმ და გააგრძელა: — გიცნობს და გაფასებს კიდევ... ღვთის მადლმა, კაი ბიჭი ხარ, მაგრამ გონჯიც რომ უოფილიყავ, მანც გულში ეჭნებოდი, გუდიდგან ვერ ამოგაღებდა... ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი... თავადც გასმოდა ესა და მუზობელი გაჭარკებაში არ დაგიგლია, რომ არ გეშეკვას!.. სტუმარი არ გაგიშვია, რომ მასშინძლობა არ გაგეწია!.. თემს არ გასჭირებია ისე, რომ მდეკრად პირველი შენ არ გვენახე, არ გაგიტეხია ხალხის პირი და დაუჩარებელს მუშას მუდამ ვაუკანად გიცხვობია..

მოხუცს ღაპანაკში ხმა აუკანკალებდა, თემცა აშკარად ეტყობოდა, რომ მისი საუბარი იყო წმინდა, ცბიერება გაურკვევლი და გულით ნაგრძნობი. აშკარადა სჩანდა, რომ ონისე მართლდაც თავის მოსაწონი იყო თემობისთვის, და ესა ღირსეულს საქვეყნოდ ავილდობებენ თემობის წარმომადგენლები.

მოხუცებ იგრძნო უძლიერესი საჩუქარი. ჭკრძნობდა, რომ თავისი ხალხი, თავისი სისხლი და ხორცი აფასებდა მას და ერთგულს სამსახურს არ უჭარწულებდა.

მოსაუბრეს ღაპანაკის შეწუკტა დასჭირდა; ონისემ ისარგებლა მის გახუმებით და მეტისმეტად ბედნიერების გრძნობით ატირებულმა გულმა ქუდი მოხსდევინა და წამოაძახა:

— ხალხო!.., თქვენამც შემოგვევლებით ონისეს თავი ონისე მოკვდეს და თქვენ იტოცსლეთ!.. ღვთის მადლმა! მაგ სიტუებების დიწსი არაა ონისეა!... რაი მიჭნია, რა მიმსახურია... უკვლა თავადა უოფილხარო ჩემი შეიწე, ჩემი მომშეველებელი..

დმერთს ლუკმა-პური მოუტია და კვ სულ თქვენი წყალობა!.. თქვენი, აგრძელებ შეძენის უფალი!...

— მოინდა-და! გააწვევინა თარქუმ. — ჭია, ჭია, რომ თემობა ბეგს შაგეწია! ჭია, ჭია, რომ კაცი თემობას დაშორებული ვერ დცხლავებს!... რასა იქ მარტო კაცი? მარტო კაცი ბეჩავია!.. ბიჭა-უ! თემობა შეილა გიუყურებს... და თემობამ იცის, რომ გაჭირვება მოგდგომია და თაკისიანს უნდა გიშველოს... თუ გაჭირვება არ გქონდეს, ღვასს არ მოშლიდი... რაი მოგივიდა, უთხარ შენს ძმებს.

ონისე გაფითრდა და ფერი საფრანად გადაექცა. თემობა, ის თემობა, რომელსაც სულით და გულით ემორჩილებოდა, ითხოვდა, რომ გული გაესხნა და წაეღოს ვერ უღასრულებდა. უნდა მოეტყუებინა?... რა უნდა ექნა? ხალხი პასუხს ელოდა.

— ხალხო, თქვენი ჭირიძე! ბოლოს დაიწყო ონიანებ. — თავი მომიტანია სასვეწრად... რასაც ბეიოსხათ, იმას ვერ გეტყვი და, სანამ მოგატყუებდეთ, თქვენგან ნაქოლვას ვირჩევ!

ჩამოვარდა ისევე წყნარი ჩურჩული და ერთმანეთის დაკითხვა.

— კარგი... დაიწყო ისევე მოთაკებ. — კაცს გული დასურული იმად აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოს... თემობა ითხოვს, რომ ღვასობა არ მოშალოს, სასლი არ გაანადგუროს, ხალხს ცუდი მაგალითი არ უჩვენოს და მით ცხვესაც გონჯი საქმე არ აჩვენოს... რას იტყვი ამასე?

— მაგაზედ? ივითხა გახარებულმა ონიანებ. — აი რასა... სადაც უნდა ვიქნა, დეითის მადლმა, რომ ჩვენის თემობის ყურმოჭრილი ყმა ვიქნები... მაგათი დალატი, თუ გულმა გავი-

ტარა, თუ-ჩვეუ მანამც ჩამსგრევიას, მეზობელთ ცრემლიმც ნუ მღირსებია... ძაგრამ რაი გქნა? აქ ცხოვრება არ შემოიღიან...

— ღარჩი, ღარჩი! გაისმა რამდენიმე ხმა.

— რაი გქნა, როგორ გქნა?.. თუ გინდათ, თუ გამოგადგუბით რადმე, მითხარით და აქვე თავს მოვიკლავ!... ღვთის მადლმა, ეხლა!

— რაისთვი, რაისთვი! შეიქნა ხალხში ჩონჩალი.

— ჩუმაღ! გააყუჩა ფარეშამ და ონისეს მიუბრუნდა:— სთქვი რას უბნობ.

— თემობა ძმას მეძახას, უნდა სამსახური გამოიწიოს... თანახმა ვარ.. მარტალს ახლობთ, ძმა ვარ თქვენი და თქვენი სამსახურიც უნდა მივიღო!

— სთქვი, რაი გინდა?

— სთქვი, სთქვი.

— ათას სწარბია, იმდენაი ცხოვრი მუყავს... ოცნანი ძროხანი მეყოლებია... შვიდაი ცხენაი... შუაზედ გაყუეთ... ნასკვარს გაყუიდა... მეც ცხოვრება მინდა... ნასკვარიც თემობისთვის მიმიტია... გაქეოს იმათ, ვინც ბეჩავად არის.

— არ იქნების, არა, ღთის მადლმა! აღელდა ხალხი და ვარჯა ხანს ხმაურობდა.

ბოლოს მშვიდობიანობა ისეე ჩამოვარდა, და ერთმა თემის ყრილობის წევრთაგანმა დაიწყო:

— ონისეუ! სულ ვარჯი ხარ და სულ კეთილი... ღვთის მადლმა, ხალხს რომ უჭირდეს, საქონელს ვი არა, სულსაც არ შეიშურებ... ცხოვრიც შენაი, ძროხაცა, ჩემო ყველა!... ცხენიცა... ყველა შენის ოფლით არის მონაგარი, ყველა შენის შრომით ნაშოვნი... უფალმა მოგასმაროს ისე, როგორც გინდოდეს, შეგარგოს, როგორც დედის ძუძუ!... განა შენი

საქონელი გვინდა?... ანა ღვთის მადლმა!... ძმა ხარ და შენი თავი გვენახების, თორემ საქონელი რაია?... აი, თემობა. აი-შვირა ხელი მოსუცმა. — თემობა ეს ხუთი თითია... რომელიც გინდა მომჭრა, ტკივილი გუფს მოხვდების, გუფს შეაღონებს... ონისეუ... ონისეისი!... ნუ წახვალ, ნუ მოგვშორდები!... გთხოვთ, ძალას ვი არ ვატანთ.

კარგა სანს გრძელდებოდა ეს ლაპარაკი, რომელიც გუფს უთუთქამდა მოხვევს, მაგრამ ღვთის ფიცი მიტეპული მსევალა-სადმი და მის წინაშე მოვალეობა, რომელიც თავის თავზედ მიიღო, მეტად მძიმე ტვირთი იყო, რომ ამ კაცის გადაწვევ-ტილების შერევა ვისმე შესძლებოდა.

საღსმა გადასწვიტა, რომ ონისეს გზა მისტენ და ჩამოესხნენ, რადგანაც უეჭველი იყო, რომ ამ მოუდრეკელობის-თვის მეტად მძიმე მიწეზებნ უნდა ჰქონოდა.

— ონისეუ! უკანასკნელ სიტყვად დაიწყო თარქმამ: — ან ომლი, მისდისარ და ხვენი გული კანკსით გასაღმების!... უფალმა მშვიდობით გამოეფოს, ნუ დაგავიწოეს შენი მიწა-წყალი, შენი მოძმენ... ნუ დაგავიწოეს შენი სალოცავები, შენი დედ-მამის ძეგლები... გახსოვდეს, რომ იმათი სული და შენ მოძმეთ გული სინარულით შეინძრება, თუ ვადეკ დაბრუნ-დი, თუ შენი სიასლოე იგრძნო... ნუ დაივიწიებ ძოდუს, რომელიც გაგზარდა, ნუ დაივიწიებ გუფს, რომელიც შენმა მო-შორებამ ააღელვას!... გახედე მთებსა! გაუშვირა მოსუცმა ხელი და თვალებში ცრემლები გაუბრწყინდა. — აქ უცხოვრიათ შენს მამა-პაპათ, აქ მოუგლიათ სკვდა, აქ აღბეკრებათ გული... აქ უცროცლიათ და აქ დასოცილან... შეხედე და ნუ დაივარებ!.. შენია, შენი. მოსუცი გადაესვია და და მდულარე ნაკადული თვალთავან გადმოსცივიდა.

## XI

როდესაც ონისე ეკლას გამოესალმა, ეკლას დატკოცნა, გამწარებულას გულთ იგრძო, თემობისთვის რა ძნელი იყო ერთის დაჯარგვა, და იმ ერთისგან შესვეულის ცხოვრების გამოცდილა.

ონისე გერც იმას დაეყბულებს, რომ დარჩენილიყო და გერც იმას, რომ ნახევარი საქონელი შამა-ხაშის სულის მოსახსენებლად თემის ბეზავათის არ დაეგდო.

ხალხი დაიძალა, და ონისემ თავის ცხვრისკენ გასწია. იქ ელოდენ მუშტრები, რომელნიც მოხევის ნათესაობასთან ყოფილიყვნენ შესატყობლად და ნების მისაღებად, რომ იმათი ნათესავის ცხვარი ეყიდათ. <sup>1)</sup>

ცხვრის შატრონმა საქონელი შეასრულ გატყეო, შემდეგ ნახევარი თემისთვის ჩააზარა რამდენსამე ამოაჩეულს კაცს და ნახევარში კი მუშტრებს ფული გამოაჩთვა.

ონად გაყოფილი ფარა ჯერ კიდევ იქ იდგა, როდესაც ონისე დაღონებული შეტყუებდა. მის გულს მწარედ გატკონდა დაგადუბი, სვედით იბურებოდა და ეძღვრებოდა. კაცი ცხვარში უნდა ყოფილიყო აღსრდილი, რომ მისი გულის მოძრაობა გაეგო, მისი გრძობა შეეგნო. ცხვარი დაიძრა და ონისე ჩომბასს დაყუდებულა, სმა-გაკმენდილი თავის ადეკნებდა. ცხვრების გამოსკლდისათნავე მას აგონდება წარსულის ცხოვრები-

1) მთაში ჯერ უკნაღ უცხო პირი რომ უცხოხიდან ყიდულობდეს რასმე, სანამ გამსუიდავის ნათესაობა ნებას არ დართავს, ხელსაღვერ მოჰკიდებს.



გან სხვა და სხვა შემთხვევანა. აგერ გამოიარა პირ ჭრელა შაშქმა<sup>1)</sup> და მის მოაგონდა მისი დაობლება ბატენობაში, მოაგონდა, როგორც ზრდიდა სულზედ და როგორ ანებიერებდა; აგერ ვიდევ ის ჭედილა, რომელსაც მშვიდობიანობის დამცველი წაერთმევას უპირებდნენ და უსამართლობას კინაღამ თავი შეაკლავ. აგერ ის კაცი, რომელიც «ძუგში» გასასყიდს ცხვარს ქებად<sup>2)</sup> გააყოლა და ვიღაც ღიზიანმა შარი მოსდო, რომ ისიც ვითომ გასყიდული იყო. მოაგონდა ონისეს ამ ქებისთვის თავის გამოდება, საჩივარა და სარჯი... მოაგონდა უსამართლობით დანაგრეულის ღვიძიანის კაცბი. მოაგონდა, რომ თავის საკუთრების შესარჩენად თხუთმეტ ჭედილაძდის გაიღო. აგერ იმ ზოქა ყოჩმაც გამოიარა, რომელიც ონისეს საჭიდაოდ დაჭყვანდა და დამარცხებით პატრონი არც ერთხელ არ შეურცხვენია. მოაგონდა მისი ხალხის ბრძოლის გულზედ, მისი კმაწა და გვირგვინის მსგავსი ჯახუნა, რომელსაც მოიუღი აღტაცებაში მოჭყვანდა! ყველას, ყველას მათგანს ონისეს წარსულში რომელიმე დამოკიდებულება ჭქონდა. ყველასთან მისი ცხოვრება რომელიმე შემთხვევით გადაბმულიყო. ყოჩმა იცნო პატრონი, იცნო ის კაცი, რომელთანაც იმდენჯერ სახელით ეკლო; პირუტყვი თითქოსა ჭგრძნობდა თავის სამსახურს, მან გამოსწია ონისესკენ თავ აღებული, გამაყებელი და მედიდურად მოაბიჯებდა; დიდსა და ხეუფს რქებს, რომელიც შუბლთან თითქოს ერთმანერთს შეერთებოდა, — წინაწად, ამყად იქნეკდა. როდესაც პატრონს მოუხსლოვდა, აიღო

1) ასაკ მოსული, გეროდ უშობელი დედალი ცხვარი.

2) ქეჩი—მამალი რამდენიმე წლის თხა, რომელიც წინ სიარულს დაჩვეულია და ცხვარს გზას უკვლევს. ავტ.

თავი მადლა, გაიძაბა კისერი და ზემოთა ტურ გაწვდილი სია-  
მოკნებით ჭაქს იზიდავდა. შემდეგ სრულად მიუხსლოვდა გაცსა  
და მუსლზედ რქების ხრეშა დაუწყო, თითქოს ბრძოლის ყინბა  
მოუძრა.

მოსკეპმ დიდხანს უაღუქსა გამაყებულს ყოხსა, რომელს  
საც, თითქოს ესმოდა, რომ პატრონს საუგუნოდ ესაღებოდა  
და უკანასკნელის აღერსით უნდოდა დამტკობარიყო.

ცხვარი კარგა განშორდა იმით, და ონისემ დაინახა, რომ  
ყოხის მეტს ხანს დაჭერა არ იჭნებოდა და გააგდო. პირუტყუ-  
მა გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი, ამ გარე მოპყრობა პატრო-  
ნისა თითქო ეუცხოვა, იუკადრისა, შესდგა, მოიხედა, დაი-  
ცქვიტა ყურები და ისეთის სიუვარულისანის, სეკდა მოცულის  
თვალბით შემოხედა მთიელს, რომ უკანასკნელმა კვლარ გა-  
სძლო, ჩაიჭნა ხელი და სანქაროდ გამობრუნდა.

მალე მოაჯდა ონისე ცხენსა, მეორე დაიჭირა ხელში და  
ჩქარის სიარულით გლეხების კასმობის დროს გელას სახლს  
მოუხსლოვდა. აქ ჩამოსტა, ორივე ცხენის აღვირები ერთი მე-  
ორის ტახტასზედ ისე გადააგება, რომ პირუტყუებს გაქცევა ვე-  
ლარ შეეძლოთ, და თითონ შენობისკენ გასწია. მისი აზროვნება  
შახრო მყუაფას სიანლოვეს, წასვლისთვის გაფრთხილებას, და  
მძიმედ დაწოდილი ღოდი თითქოს გულიდგან ჩამოესხნა.

დღეიდგან მყუაფას მასთან მიდიოდა, მას ეკუთნებოდა,  
მისგან კვლარავინ გაჭყრიდა, და ამ ძლივს, მიღწეულმა მთელის  
სიცოცხლის წადილმა, მეტად სიტკბობითა შესთამაშა გულსა,  
რომ ყველაფერი არ გადავიწყებოდა.

ონისე მიდიოდა გულდაგულ, დაწმუნებით, თუმცა სმე-  
ნად და ჭკრეტად გადაქცეული, რომ თუ ფათერაკი რამ წაკვი-  
რებოდა, მოუმზადებლად არ შესუდარიყო.

ის იყო მიახლოვდა გაჯანის კარებს და ზღრუბლებზედ თქვის გადადგმას აპირებდა, როდესაც ხელი გადასაც გააკლო და წინაწად უთხრა:

— მოიცა, სად მისვალ?

ხმა მოლანჯარმკესი იყო ატელებული, თუმცა წინარი და ხაზი. ონისე შეკრთა და უკან მოაწედა.

— მყვალაუ! შენა? გაკვირვებით იკითხა იმან.

— სუ-უ! მე ვარ, უზასუსა ქალმა.

— რაი ანბ...

— სუ-უ! გაიმეორა ქალმა და ხმის გასაგებნდათ პირზედ ხელი დაათვრა.

ონისე გაჩემდა, რადგანაც ქალი ამას ითხოვდა და გასტერებულმა უერება დაუწყო.

— ამალამ ვერ წავალთ, მოკლედ, ნიავსავით წინარის სმით. წასჩურჩულა მყვალამ.

— რად არა? ერთბაშად თერი ეცვალა კაცსა, და ციკმა ოთელმა დაასხა.

— არ იქნების.

— არ იქნების კი არა, — ესლავ, კმ წუთას!... გვიანობისა აღარაა. მტკიცედ უთხრა მთიელმა და შუბლი შეიჭმუნხა.

— ამალამ ნუ, ჩემო გულო, ამალამ ნუ! თითქმის მუდარით გაიმეორა ქალმა, და ხმა შიშისაგან აუკანგაღდა.

ონისეს წარბები შეეჭმუნხა და ქალს ისე დააკვირდა, თითქოს თვალი გულის საძირკველამდის უნდოდა ჩაეწვდინა.

— ქალაუ!... რად არა? მტკიცედ და ბრძანების კალათი ჭკითხა კაცმა.

მყვალა ჩუმად იდგა და ზასუსის მაგივრად, მთრთოლვარეს ხელებით ნაწნავის წვერებს სძენდავდა.

— ქალაუ! მოჭკიდა ონისემ სული და ძალზედ მოუჭირა. — არ გესმის? მითხარ, მეთქი, რად არა? ან აქ რაისთვი დამაყენე. წავიდეთ სახლში. გაბრუნდა ონისე.

— სად მისვალ, სადა? ერთბაშად შეაყენა გულ-გახეთქილმა ქალმა.

— შინა. უზასუსა კაცმა.

— შინ რაი გინდა, რაი საქმე გაქვს?... მოიტყადა აქა და ეხლავე გამოვალ, ესლავ წავიდეთ!.. ნაწვევტ-ნაწვევტად ეუბნებოდა ქალი.

ონისემ მიუახლოვდა პირისახეს თავი და მთვარის შუქით განათებულს ცქერა დაუწყო. ქალმა თავი დასწარა და თვალები მოაჩიდა.

ონისეს სახე დაეპრანჭა, გული გემსავით გაქანდ-გამოქანდა, და უელში მომდგარმა სისხლმა ძალზედ წაუჭირა.

— მავკალაუ! ბრახ-მოტყუვლად წარმოხსთქვა იმან და სული სახლისკენ გაიშვირა. — ვინაა?

— გამიშვი, ბენაო!... არც ვინა.

— არც ვინა? მწარედ იკითხა იმან. — არც ვინა, და სახლში კი არ მიშვებ?

— რაი გინდა, გამიშვი და ესლავ წავიდევ; ცხო რაი-ღა ვინდა.

— ვინ არის მეთქი, იქა, ვინა?

— მე ხომ მოგდევ და ცხო რაი-ღა ვინდა?

— ისა, რომ ამაღამ ან იმის სისხლი უნდა გაშკეს და ან ზემი!... ფუი, მავნეკ, მაცდურო დიაცო!

ამ სიტყვებით ქალი ხელის კვრით მოიშორა და გაბრუნებულმა სახლისკენ გასწია, მაგრამ მაშინვე უკან მოაწედა, რადგან სახლის კარებიღვან გაიგონა:

— ზეჭაუ, გულადად კი მახვალ, შენმა გაზღამ და უკან  
 რომღარღა გაბრუნდები არ ვიცი.

მოლაპარაკეს მთვარის შუქი არა სწვდებოდა, და გელამ  
 ველარ იცნო, ვინ იყო; მაგრამ თოფი, რომელიც უცნობმა  
 გადმოიტრიალა, კარს გადმოსცდა და შუქსად გაკრიალებს და-  
 ინახს. ონისეც გადმოხტა უკან, ამოეფარა აქვ მდგარს ურემს  
 და წუთოდ თოფი გაუმძინა. იმ წუთს ის სედაკდა მხოლოდ  
 მტერს, რომელმაც გულს საყურელი მოსწყვატა, სული დაუ-  
 კოდა და მხოლოდ გადახდევინების წადილს-ღა ჰგონობდა. მის  
 თავში ამის მეტს ფიქრს არ გაუჩვენია, ამას გარედ დახარჩუნს  
 მოაზრებას ადგილი აღარა ჰქონდა.

ორი მტერი, ორივე გამკელებული, ორივე ავგზნებულის  
 წადილით გულში, იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ და ერთმა-  
 ნეთს ავგზნებულის თვალებით რომავდენ.

გონ-დაგარგული მაყვალა, იჭაკე ეგდო და ძლივს-ღა ფე-  
 თქამდა.

— დიაცო! გამოდი გარედ, დაუძახა ონისემ. — დავინახოთ  
 ერთურთი და, ვისიც მზე გაშავდების, ნახავ.

— ბიჭავ, შენმა გაზრღამ, განგშორდეთ ერთმანეთსა, ის  
 ექვობინების.

— მშიშარაუ, მშიშარაუ!... აჭუ!... შერცხვეს ის კაცი, ვი-  
 საც იარაღი ხელში უჭირავს და შერვიგებას უბნოს.

— მაშ შენმა სულმა ზღოს.

ამ დროს მოისმა ორი ჩახმახის ფეხსად ერთად შემო-  
 ვენება, და წუთის სინუძე ჩამოკარდა. ყველაფერი გაჩემდა, და  
 თითოს კიდურ ჩამოხსნულდა. მოისმა გრიალი, და ორის მოპირ-  
 დაპირე მხრიდგან ორი ცუცხლი ენებსავით გამოგრძელდა,  
 ორი ტყვია გაჭანდა ორის მისი ჩახმახობლად. დაჭურა ქარ-

მა, შემოფანტა შემოსვეული კომლი და ორში ერთს გასვრე-  
ტოდა მკერდი და სისხლში გათხრილი მიწაზედ თვარ-  
თხალობდა; მეორე დამშვიდებული თავს ადგა და თოფისა სწმენ-  
დავდა.

დაჭრილი იყო ონისე, ხოლო ზესე იდგა გელა. გამარ-  
ჯვებულს პირი უღიმდებოდა და სულთ მოხრძაკს სიამოვნებით  
დაჭყურებდა.

მაყვალა, რომელიც თოფის ხმაზედ გონს მოსუფიყო,  
სატრფოს ზედ დაჭკდომოდა. გელამ შეჭკრა თვალი და ხელი  
წაავლო.

— ურცხო! ჩემთანაც აღარა მალამ?... დასჭყივლა იმან და  
დაუმატა: — მაინც ეკ გიყვარდა და შენც მაგას გაგაყოლე-  
ბენ.

ის იყო ხანჯალი შეუმაღლა, რომდესაც სოფლიდგან, ვი-  
საც თოფის ხმა გაეკონათ, მოჩგოედენ და ცოცხალ-მკვდადარო  
ქალი ქმარს ხელიდგან გაავდებინეს.

ონისე წაიყვანეს და ექიმა დაიყენეს; ძლიერ დააშოშმინეს  
ორი გვარეულობა, რომელიც სისხლის საძიებლად იარაღით  
გამოვიდა. მაყვალა ვი ამ დღიდგან განქრა და მისი ამბის გა-  
მკები აღარავინ ხნდებოდა. გელაც სადღაც გადაიკარგა, რადგა-  
ნაც სისხლი დაედო და თუ სადმე მოასწრობდენ, მზეს გაუ-  
შაკებდენ.

## XII

უბედურის შემთხვევის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და  
თუმცა აღარც ონისე, აღარც გელა და აღარც მაყვალა საქვეუროდ

აღარ გამოდინდენ, მაგრამ ხალხი ჯერ კიდევ მღელვარებას, საუბედურს შემთხვევასად ლაპარაკობდა.

განადგურდა ონისეს სახლ-კარი, მაგრამ გელას შეძლება-საც უკეთესი დღე არ დაადგა, რადგანაც ამას სისხლი «დაუმართა» და იძულებული იყო დაჭრილის გვარეულობას მოძიებოდა; ორივე გვარეულობა შეიარაღებული დადიოდა, რადგანაც უკვლავ მათგანი უსახბოთადაც უსიამოვნობას მოელოდა. მათ შორის თემის მდგომარეობაც სასუძარი არ იყო, რადგანაც ორი ოჯახობის განადგურების გარეშ, კიდევ სხვა, მრავალი უსიამოვნობა მოელოდა, და უბედურების სასადენად მთელი სოფელი დაჩაჯათ უნდა გადაქცეულიყო, რომ მოწინააღმდეგეთ ერთმანეთში ჩხუბი და აუცილებელი მკვლელობა არ მოსკლოდათ.

მთელს თემობაში ვაცე არ იყო, რომელიც უზღლით არ მოიხსენებდა სამივე დამნაშავეს, რომელთა მოქმედებაც ხალხის ღარსებას, დებულებას და წესს ისეთს შეურაცხ-ყოფას აუენებდა, ისე სამარცხვინოთ არღვევდა, დამნაშავეთ საქციელს ხალხი აი რა თვალთ უყურებდა:

გელა, მართალია, წინა აღუდგა თემის დებულებას, და მათი გადაწყვეტილების შემდეგ ცოლი ძალად მოიყვანა, მაგრამ ალბათ მავკადას ნებაც იყო, თორემ ქმართან არ დადგებოდა, და მასთან თემი გამოსაძინებოდა. ეს ქალი ქმართან მშვიდობიანად ცხოვრობდა, მის პირისაგან უბრალო საჩივარაც კი არავის გაუგონია და აქედან შემდეგი დასკვნა გამოჰყვანდათ: ალბათ ერთმანეთის კმაყოფილნი იყვნენ, ერთად ცხოვრობა შესაძლებელად მიაჩნდათო.

მაგრამ ამასთანავე იცოდენ, რომ გელა იყო ლოთი, ჭირვეული და საზოგადოთ ადამიანის უსამართლოდ მწვალებუ-

ლი. ცოლს აწამებ თუ დიდს ჯაფას აყრიდა და მთელის თვე-ობით თავს ანებებდა, აწამებ ლანძღავდა უშუკრის პირით და ხშირათ კიდევაც სტუმბდა. ამ საქციელმა ქალი გაწილუბამდის მიიყვანა, დაღუბა სასლი და ბოლოს მეზობლის, მოძმის სისხლიც გი დააღვრეკინა. ქალი მართლა და ჩუდს მდგობარუობაში იყო, ძნელი გასამღებელი ცხოვრება დასტესოდა, მაგრამ, საფსის რწმუნებით, აწავითარნი უფლებს მაინც არა ჰქონდა. ოჯახსობისთვის ამ გგარად ეღალატა. მათ თემის ხმის ძალის იმედი კიდევაც ჰქონდათ და იძახდნენ: «მაყვალას ქმართან გაყრის უფლებს აქვს და შეერთება ვისთანაც მოისურვებსო, მსოფლოდ ქმართან ყოფნის დროს მოტყუება და ღალატი არც ღმერთისაგან და არც კაცისაგან არაოდეს არ ეპატივბაო.»

ონისეზუდაც ამბობდნენ, რომ მას, მართლაცა ქალი უყვარდა და «სიყვარული» გი კაცს გზას იქით გადააგდებსო, მაგრამ წვეროსანს უღვაშ იმდა აქვს და ქუდი იმდა ჰსურავს, რომ ნამუსის ყურ-მოჭრილი ყმა იყოსო. ონისეზმ შეურაცყოთემის ზნეობრივი რწმუნება და თემა არ მოუთმენდა.

საფსი ამ რწმუნებით იყო და გადაწვეუტილება დამსაშაკეთ შესახებ გუფში ნათლად და გარკვევითა ჩასტვდოდა; მათ უყურებდნენ, როგორც ერთის სიღვან მოწვეუტილს და შორს გატყვარცნილს შტოსა, რომელთანაც ღლარაფერი კავშირი, ღლარაფერი საქართო არ მოიპოვებოდა.

გელა სადღაც წასული იმალებოდა, ონისე თუმცა უკედ შექმნილიყო, მაგრამ მაინც ჯერ კერ ამდგარიყო და გარედ კერ გამოდოდა, მაყვალა გი ესღაკე ყველას დაშორებოდა, რადგანაც ნათესაობის სასლის კანიც დასშული შექნილიყო ღუნაქ-მოხდილის ქალისათვის.

ერობაში, ხატობაში, მთაში, თუ ხარში, ყველგან ისმო-



და სიმღერა, ლექსები ამ შემთხვევის შესახებ; ეგელს ამასი  
საღვთის შეუწყალელობა გამოითქმოდა იმ პირთა მიმართ, ვინც  
თემოსნობის დიდების დარღვევა და შეურაცხყოფა მოიწადინა.

საღვთი, დღემდის გაბრახებული, მწუხარებით იგონებდა ამ  
შემთხვევას და მელევაობდა.

მაეგალა იმალებოდა ცისის ხანგრძობებში, მაგრამ არ შეი-  
ძლებოდა, რომ სანდისხან არ გამოსულიყო. ერთხელ ორჯერ  
შესვდენ, დაინახა საღვთა და მისი გაბრახება იქამდის მივიდა,  
რომ თემის ყრილობამ საქვეყნოდ განშორება მოითხოვა, რად-  
განაც მათი სოფელთან სიანლყოვეც კი შეურაცხ-ყოფათ ჩასთვის-  
ლეს, ამას ზეჟ დაერთო მეორე შემთხვევა, რომელმაც სრუ-  
ლიად გარდასწვევითა უბედურთა საქმე.

ზედენიშის ავარობა იყო და დიდ-ძალი საღვთი შეკრე-  
ბილიყო. დიდი და სწორე ტაფობა, სადაც ეს ხატობა იმარ-  
თებოდა სოფელ, საღვთს ნებსად აღეგება სხვა და სხვა თამაშო-  
ბა გაემართა და ვარჯიშობაში თავი გამოუჩინა.

აქ იმართებოდა ნიშანში თოფის სროლა, თარ-ხმალო-  
ბა\*). გუდურგუდურა, «ქვის გადაწევა», ცხენების თამაშობა,  
და სხვა ათასი ვარჯიშობა, სადაც სიმარდე და მოაზრებული  
სერხიანობა თავს გამოითქვამს.

ერთს ადგილს შეიგრიბენ ყმაწილი ბიჭები და მოისმის:  
«ქუდის გატაცება, ქუდის გატაცება, ვის გინდათ?» მიაწედა  
იქით საღვთი და თამაშობის მსურველნი წვეილ-წვეილად გაკა-  
დენ. ერთი წვეილი განშორდა ეგელს და მასთან რაგ-რეგად  
მიდიოდენ დანარჩენი წვეილები. მისულ-ს უმაღ წინად გასუ-

\*) იმ ხანში ფარი და ჩაქანი ჯერ კიდევ არ მოსპობილიყო  
ხევში.

ფუბთაგანი ერთი იტყოდა: «არჩევანი მე.» მეორე დასასხელებ-  
და ერთერთს შემდეგ მისუფთაგანს, და ამ გუაჩად მოთამაშენი  
გაიფოფდენ თამაშობაში მონაწილეობის მიმღებთ. აიღეს ერთი  
საპი რგვალი კენჭი და, ზედ დაფურთხების შემდეგ, მშრალი  
მხარე ქვის ერთმა მიიღო თავის ნიშნად და დასხელებული  
მხარე — მეორემ. შუადგეს მალა, რომელი გვერდიც, სველი თუ  
მშრალი, ზეიდგან მოჭყუბოდა, იმ გვერდის ამხრეე ბიჭებს ქუდი  
უნდა დაეცვათ და მეორეს კი გაეტაცნა.

— თქვენია, თქვენია! დაიძახა ერთმა მხარემ.

— დასხედით, დასხედით! მოისმა მეორეს ხმა, და თამაშო-  
ბა განაღდა.

პირველ ნაწილმა მოთამაშეთა ცალ მუხლზედ ისე დაი-  
ჩოქეს, რომ ზურგი ერთმანეთსა ქქალდათ შექცეული. სალსი  
გაიძალა, გზა დაუგდო და მოთამაშეთ მეორე ნაწილმა დაუ-  
ჩა. ამათ ქუდი უნდა გაეტაცნათ და სჯემაოდ მოშორებულს  
დანიშნულ ადგილზედ მიეტანათ, ხოლო მსხდომთ ან ქუდი  
არ უნდა დაეხებებინათ, ან დაეჭიჩათ მისკენ გაქანებული მტ-  
რებელი და, თუ ვინცაა გაიტაცებდენ, მსხდომნი წამოუ-  
ცვიოდებოდენ, გამოუდგებოდენ და ერთმანეთის მიშეკლებით  
უნდა წაერთვათ.

კარგა ხანს გრძელდებოდა თამაშობა, ბიჭები მხიარულად  
და ყოყინით დაბოდენ, გაიტაცებდენ ქუდსა, იჭერდენ გაჭე-  
ულებს. მსხდომნი იცვლებოდენ და მათუბებულნი მხიარულის  
ყოყინით აქეხებდენ.

მოთამაშეთ შორის, წასაკვირველია, გელას და ონისეს  
გვარეულობის ბიჭებიც კრივა და თუმცა ერთმანეთს ნამდურ-  
კობი ხმას არა სცემდენ, მაგრამ საერთო თამაშობაში მონაწი-  
ლეობას მაინც იღებდენ.

თამაშობა წესზედ მიდიოდა, ერთხანად მოისმა ყიყინა და ზესზედ მყოფებმა იერიში მიიტანეს. ყოველის მხრიდან შედგრაღ ეტანებოდნენ დახრქილებს, მაგრამ ისინიც ფრთხილად იყვნენ და მოწინააღმდეგეთ მარდათ ექცეოდნენ. ვარსკლავსავით მოსწედა ვილაცა ასალუსა. თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა, შეჭკრა რამდენიმე გამარა და თვალის დასამხამებასთან ერთად, ქუდ მოტაცებული მიქროლამდა; წამოიშალნენ ყველანი, გამოუდგნენ გამტაცებელს, მაგრამ დაწინავებული ბიჭი საკმაოდ დაშორებულა და დაღწმუნებული თავის სიწბილზედ მხიარულად მიითამაშებდა.

— აჩქა, გივარგი! აჩქა, თორემ ქუდი წაიღო! მიუბრუნდა ერთი ბიჭი მეორეს, რომელიც იქვე ჯგუფობაში გარბოდა და ეკუთვნოდა მსხდომარეთ მხარეს.

— ონისეს სახლის კაცი არ იყოს, თავად ვიცოდი, მაგრამ ესლა რაი ვქნა? უზასუსა ემაწვილმა ბიჭმა.

— რაი ონისე? იგიოთსა პირველმა და გაჯავრებით დაუმატა: — რა დროს ონისეა, ღთის მადლსა, ხედავ ქუდი წაიღო!

— სისხლი გვიძარტებს და მორიდება გვინდა.

— აუ! გაიკამათა პირველმა. — სისხლი გი არა, ისა სთქო, ვერ დაგეწევი და შერცხეინისა მეშინიან თქო..

— აბა მამ მიცქარი! დაიძასა გივარგი და გადასტა.

გადასტა და გაიძაბა, გაიძაგრა და იქამდის თავს ძალა მიაყარა, რომ ნეშტკები სისხლისაგან ამოეპურცა. მალე დაეტყო, რომ სიწბილში გივარგი სჯობნიდა, რადგანაც წინ წასულს თან და თან ჭკრუფამდა.

— აჩქა! თანაგრძობით უძახდა ხალხი და აქეზებდა.

— გაიქე, გუგუაუ, გაიქე! მაჭყყინებდენ მეორენი ქუდის წამლებსა.

გუგუამ მოიხედა, თვალი შეჭკრა, რომ კილაცა დაახლოვების, გაიღიმა და წბოლას მოუმატა.

ოწნივ მიწოდენ, რაც კი ძალი და ღონე ჭქონდათ, ოწნივ განუმეუღიყენენ და ცდილობდენ გამარჯვება ერთმანეთისთვის არ დაეთმოთ, მაგრამ გივარგი თანდითან უახლოვდებოდა.

გუგუა ჩინებულად გარბოდა, მარდათ იცვლიდა თეებს, დაღაღვა არ ეტყობოდა, მაგრამ მეორე წამოსწვდა და თავმოწონებულმა შესძახა:

—სად წახვალ? გაიშვირა ხელები და სწორეთ იმ დროს, როდესაც ხალხმა დაიძახა: «დაიჭირა, დაიჭირა!» გუგუა განსუდ გაუსხლტა და მეორის გაწვილი ხელები აიცილია; გივარგიმ თავი ველარ დაიმაგრა და მიწასუდ გაიშლართა.

ხალხმა სიცილი დააყარა და უკან მოცქერილმა გუგუამ დაცინებით წამოიძახა:

— ბიჭუ! მიწასუდ რაი ეგდო?... წილი მეც მეტეების!

წაქცეული გაწითლდა, მარდათ წამოსტა და ძაღვ ისევე წამოაწია. გამარჯვებით გათამამებულმა სცადა წელანდელი სერხი ესმარა, მაგრამ მეორეც გათრთხილებული დაუხვდა. გუგუას გაბრუნებასუდ, ახალუხის ბოლოები ქარმა გაუთრიალა და გივარგის შირდაშირ ხელში მისცა. დატყრილმა რამდენჯერმე გაიბრძოლა, მეორემ არ გაუშვა და ახალუხი გაისა.

— ესლაც დაიკავს, გუგუაუ! თავის რიგობასუდ გივარგიმაც ჩაიციანა და ძელაკები მოხვია.

გუგუამ მსოლოდ ესლა დაინახა, ვინც ელაუტებოდა და მოსისსლე იცნო.

— გივარგი! კარგია! შეუტია დატყრილმა და დაუმატა:— რას შირით მოსდისარ?

## მოდღვარი

— წაიტ პირი მძკვს. იმავე კილოთი მიუგო დამჭერმა.

— სისხლი გამართებსთ, არ იცი? მორიდება წესია და ადართი!

— ჩვენ ვი არა, თქვენა გამართებსთ... თქვენ გაგვიწილეთ რჯასობა, ძმა დაგვაკარგვინეთ და მე უნდა მოგერიდო?

— გამიშვი! დაუუვირა გუგუამ და ორივე ხელი გულში ჭკრა.

ორნივე ყმაწვილები, მაგრამ თავ მომწონე და საკმაოდ გულაღნი იყვნენ, ორთავს მთის ჩვეულება და ხასიათი სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა; უეჭველი იყო, რომ ისინი მშვიდობიანად ვეღარ გადაჩნებოდენ; მაგრამ, საბედნიეროდ, მათგანს არც ერთს იარაღი ზედ არა ჭქონდა, რადგანაც თამაშობაში იარაღის შემოსსნა სავალდებულო იყო.

— გამიშვი, გამიშვი! დაუუვირა ისევე გუგუამ და ხელი გაავლო.

— არ გაგიშვებ, უპასუსა გივარგიმ და ორთავ ერთმანეთს ხელი გაავლეს, შეუთამაშდენ, შემოტრიალდენ და განიყარნენ.

განს გასულები რადენსამე ხანს ერთმანეთს თითქოს თვალთ ზომავდენ და შემდეგ ისევე ერთმანეთს მიუხლავდენ; დაჭკრეს, დაიწყეს ჩხუბი და ცემა.

ხალხს, რომელიც მათგან საკმაოდ შორის იყო, ვერ მოეზრა მათი ჩხუბის მიზეზი, როდესაც ერთბაშად იქვე მოესმა ყიყინა, სმაურობა, მუქარა და იარაღის ჩხარა-ჩხურა. გუგუას და ონისეს ნათესაობისთვის ეს მცირედი შემთხვევა საკმაოროსი ყოფილიყო, რომ იარაღით ხელში ერთმანეთს დასტახებოდენ.

მოჩხუბარნი ერთმანეთსედ მიდიოდენ და ხალხს მათ დასამშვიდებლად ცოტა ჯათა არ მოუჩნდა. ევლს გამშველებლად

ხაიჭკა, ყველა ამშვიდებდა, იჭერდა და მხოლოდ მშვიდობიანობა გამსკელებელთ სამიწველემ დაიცვა.

აღელვებული ხალხი სახსუბრად აღარ გაუშვეს და ჩსუბის შედეგი კი მხოლოდ ორიოდ კაცის სუმბუქად დაჭრა იყო.

ამას ბევრად არაფრად სთვლიდნენ, რადგანაც ნასკამის ხალხისაგან ბევრად უფრო მომეტებული უბედურება იყო მოსალოდნელი.

გაიმართა შუა-კაცობა, დამშვიდება, ჩაერია თემის სასული. ხალხი რაოდენადმე დაწინადა, მაგრამ მსიარულება კი აღარსად ისმოდა; საქეითოდ მოსულნი—შუა-კაცებად გადიქნენ და ერთხმად დაიძახეს: «თემის ყრილობით გადაწყდეს, თემმა გააჩნოს ეგ ორი გვარეულობა.»

ყველამ აშკარად დაინახა, რომ უძმასოთ დიდი ცოდობრადი დატრიალდებოდა და თემობასაც დიდი საჩაღხ მიეცემოდა.

ამ დღიდან ამ საქმეს ხალხმა მოჭკიდა სული და ერთის კვირის შემდეგ სამების საბჭოში თემის ყრილობა გაიმართა და შემდეგი გადაწყვეტილება დაადგინა:

«მეყვალა, როგორც მიზეთი ყველა ამ უბედურებისა, მოლალატე ქმრისა და მოკალეობისა, შემრცხვენი თემობისა და სახლისა, გამწილვებელი ოჯახობისა და ნათესაობისა, — შეკრულ იქმნას და განდევნილ სკვიდგან.»

«ონისე, როგორც დიაცის გამწილვებელი და მეზობლის ოჯახობის შეურაცხ-მყოფელი, შემრცხვენი ქედოსანთ სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა, — შეკრულ იქმნას და განდევნილ სკვიდგან. გელა, როგორც მეზობლის და მოძმის სახლის დამღვრელი, მიზეთი ცოდვის

ყოფა-ქცევისა; დამნაშავე თემის მშვიდობიანობის დასრულებით, გაბტესი თემის პირისა, (რადგანაც თემის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ცოლი ძალად დაიბრუნა), — შეკრულ იქმნას და განდევნილი სევიდგან,

ასამთავ ჩაკეათ სათემო სამინი, სამნივ თემისაგან მოწვევით და შესვენებულ იქმნენ.

«ღვის იქით», გააგრძელა თემის ნების დადგინების გადა-  
მოძრებმა: ამოწვევით იქნებთან ჩვენის თემიდგან, მოშორებულნი ჩვენის კერიდგან, ჩვენის მიწიდგან და წელიდგან... მათ აღარ ელინების არც ჩვენი ცრემლი, არც ჩვენი სამარე, არ შესება არც ჩვენი საღმრთო, არც ჩვენი საწირი. წყუღიმც იქნება, ვინც მაგათ ხელს გაუწვდის, მოწუგებულს წყალს მიაწვდის, შეციგებულს დაათბუნებს და შებრალბულს ჭყოფს. წყუღიმც იქმნება და განდევნილი თემისაგან».

ომენ! გაისმა ამ სიტყვებზედ ხალხის ხმა და გრკვინვასაკით შეარყია ჭაერი. ძლევა-მოსილი დიდება ისმოდა ამ გადაწყვეტილებაში.

ეგელა ჭკრძინობდა რაღაცა იღუმალებას, რაღაცა ძალას, რომელსაც ანგარიშ მიუცემლად ემორჩილებოდა, ემონებოდა და ემად უხდებოდა.

ხალხი მიესვია მიწა, მოთხარა ღრმა ორმო და ამისთანა შესამწუნებელის შემთხვევის მოსაგონებლად ძალიან ჭაჭის ქვა სამნად ჩასვა.

ამ დღიდგან გადამტერებული ორი გვარეულობა, თემის შუა-კაცობით შერიგდა და ორ მოსისხლეთ მაგიერ, ორს, მშობით დაკავშირებულს; ერთმანეთისთვის თავ გადადებულს სახლობათ გადაიქცა.

ხალხი დამშვიდდა, გამართა საღმრთო და საოჯახო

ლსინის დროს გელას და ონისეს გვარეულობაში უფროსნი ძმად გაიფიქრნენ, უფროსები უფროს დადა-გაცემს ძუძუზედ კბილს ადგამდნენ და შვილობილად უხდებოდნენ და ამ გვარად საერთოდ ნათესავდებოდნენ.

განდევნილთათვის ძნელი ასატანი იყო თემის გარდაწვეუ-  
ტილება, რადგანაც ამ დღიდან ყოველის ფერს ჭკარგავდნენ და თვით სულის მოსაბრუნებელი საშუალებაც კი ესპობოდათ.

მათ თემობაში ადგილი აღარა ჭკონდათ და ამისთვის დაწვეუტილის, მოკლულის გულით გამოგსალმნენ თვით წკრილს კენჭებსაც კი, რომელთაც მათთვის ესლა ფასი დასდებოდა და ისე ტბილი, სანეტარო შექნილიყო.

### XIII

— ეჭ, ჯანი გავარდეს მეთქი. დავესუფდი. ღვთი წინაშე (ღიმილით) ი ჩემ უბედურ ჰელეუსზე ნაკლები ქალი ვი არ არის. ასეთი მოჭტორიგი გოგონაა, რა შენი მოწონებული (ღიმიეზა). რა ვქნა, შენი ჭირიმე, ნუ დამძრახავთ, სველი ლუკმის მამწოდებელი აღარა ვინ მყავდა. ესლა, შენი ჭირიმე, (ხრეჭით) საკვირაცხოვლოდ ჯვარს ვიწერ ბერიძიანთ ქეთევანაზე, და თუ თქვენი ნებას იქნება, ქორწილში მეწვიენით.

ს. მელორბლიშვილი.

## სახალხო ლექსები.

(შეკრებილი ს. შვა—საგან)

მონადირე და თოფი

თოფო, სიათავ, გემდური  
უხორცოდ გაშეებისათვის;  
გაგტენე ტყვია-წამლითა,  
წავიდე ნადირისათვის,  
სარ-ირემს დაგატემინე:  
რად არ გაკარდი, რისათვის?  
უნდა მჭედელთან წავილა,  
სასნისზე დადებისათვის.

თოფი.

ეგ ერთი დანაშაული  
შამინდე შენი დღისათვის.  
გამტენე, ესლა წამილე,  
წავიდეთ ნადირისათვის.  
ამდენს დაგისოც ნადირსა,  
ღონობდე წაღებისათვის:  
ჭალაში ღორი მოგიკლა

იმ სატილო მგლისათვის,  
 გამძღარიუოს ლეშითა,  
 მოძუნძულუბდეს წყლასათვის.  
 ნეტავი წინ შემასკედრა  
 ი ჩემი ნატვრი დღისათვის;  
 საპირი-წამლე ამეწვას,  
 გადმეგდოს უაჯარისათვის.

მოჯამაგირის საქმესა  
 ადვილად იტყვის ენა:  
 დილით რა ქალაქს გააკდონ,  
 საღამოს გორისკენა.  
 «თუ გურდღელი დაიჭირა,  
 სორცი მე, ტყავი შენა;  
 თუ რამ ძელა დაიჭირა,  
 ტყავი მე, სორცი შენა.»

ესლა მოკა გაზაფხული  
 დედა-მიწის გამსარეული;  
 ტყე-ველი როცა აუკვდა,  
 მინდოებს დედა სხვა ფერი.  
 სოფლის ბოლოს რა მოკედი.  
 გამოსულა საყვარელი:  
 შავსედე და შამომსედა,  
 ტურფად დამიჭნია სელი.  
 საწყინარმა მსარმა მითხრა:  
 ღმერთო, შენ კეთილი ჰქენი!

ძეგვს რა ქალი დავიკარგე,  
 განჯას თათარსა ვუეკარა;  
 მაცვია სიასამური,  
 მამიებზე ვდგეკარა.  
 ცხრა მძანო, ცხრანო ბიძანო!  
 სულ ჩემო მოსადეკარნო!  
 მოკრიფეთ თითო თუმანი,  
 დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარა.

კარებზე შუშა გიგდია  
 უღელა ხარის სათარი,  
 თუ თქვენი ქალი ვარგია,  
 რად არის გასათხოვარი.

ესლანდელი პატარძლები  
 სახლასაც არ დაგვიგვიანო;  
 არც დაგვირეტსენ ჭურჭელსა,  
 კოვჩებს არ დაგვითვლიანო;  
 თითო ბაღლი გაგვიჩნდება,  
 ტუტუნით გაგვიზდიანო.  
 გომელებო, თქვენი ნინო  
 ნეტა როგორ მოიქცევა;  
 ადგომასე კეტი უნდა,  
 დაჯდომასე სულ იქნება.

## საგვარჯლოს სათავად-აზნაურთა სკოლის კურთხევა

(«ივერიის» კორესპონდენცია)

დ. ძველი-სენაკი. 27-ს ოქტომბერს ძველ-სენაკში აკურთხეს ახლად აშენებული სახლი, რომელშიაც ამას შემდეგ მოთავსდება სენაკში ამ ორის წლის წინად გადატანილი ქუთაისის სათავად-აზნაურთა სკოლის განყოფილება. — თუ იცნავენ ადრე იყო იმ დღეს, მაგრამ ხალხი მაინც დიდ-ძალი დაესწრო. ზანაკლისი გადაისადა ყოველად სამღვდელთა ბესარიონ ეპისკოპოსმა. ახალ-გაზდა ბლადიმირმა, რამა ბერიძემ მიჰმართა საზოგადოებას, მასწავლებლებს და მოსწავლეებს გრძელის სიტყვით, რომელიც დაბოლოვა ოცდახუთი მანეთის შეწირვით თავის მხრით. ზატიუ-ცემუღმა დ. ი. ყიფიანმა წარმოსთქვა სიტუვა, რომელსაც მთელი საზოგადოება, ქალი, თუ გაცი, ყველა სიმოკნებით უკდებდა ყურს. — შემდეგ მასწავლებლის ზედ-დამხედველმა ბ. ს. ყიფიანმა, რომელსაც, უნდა აღვიაროთ, საზოგადოებრივად მიჰყავს ყოველის მხრით სკოლის საქმე, ანგარიში

წარმადგინა და სსკათა შორის სთქვა: «საზოგადოდ მეგრელები, სადაც ქართველობა, როგორც, ერთ, ისე მოქმედებითაც უკეთ შენახულა, დიდს თანაგრძნობას უცხადებენ სკოლის საქმესო. უკანათლებულესმა მეგრელის თავადმა შემოსწირა წამოდენიბე ქცევა მიწა და ასი მანეთი ამ ხანად და მომავალშიაც გვპირდებათ, ერთმა ვაჭარმა, რომელმაც ეს სახლი ააშენა, დღეს ასი მანათი შემოსწირაო. ერთის სიტყვით, ვგულა თანამგრძნობია და გჭკი არ არის, რომ საქმე სამაგალითოდ წავაგო. მას შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა, იქ დამსწრე, «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრმა აკ.—შემდეგ ჰატეცემული სტუმრები მიიწვიეს მოთავის მომხადებულ ოთახში. იქ წარსდგა ბ. დ. უიფიანის წინ, ადრიდგანვე ცნობილი, ბასვა ფაღაკა, რამდენიბე დარბაისულ პირებთ და სახალხოდ წარმოსთქვა მთელი მეგრელიის გულის-ტვივილები.

ორ საათზე სტუმრები მიიწვიეს სუფრასზე და გამანართა ქართული ღვინა სიძღვრებით და სადღეგრძელოებით. ბატონიკო დადიანმა წარმოსთქვა ჩვეულებრივის ტკბილ-ქართულობით მოსდენილი სიტყვა, დიად საგულისხმო საზოგადოთ; მან გამოაწვია ბატ. ვ. მახაბლის მხრით საგადრისა და საგრძნობულბ ზასუხი. ბატ. ბასვა ფაღაკას ქება შეასხა აკაკიმ, როგორც ბეჭით მუშას და თანამგრძნობს ყოველ კეთილ საზოგადო საქმეთადმი. — მარჩის უფროსი ბ. ბებურიშვილიც დაესწრო და, როგორც შეჭფერის მის თანამდებობას, სწორედ ისეთი თანამგრძნობა გამოურსდა სკოლას და, იმედა, რომ იმ გვარსაკე თანამგრძნობასა და შემწეობას შემდეგშიაც არ მოუშლის. ბოლოს საზოგადოდ დადიეს მეგრელიის თავა-



## ივერიის კორესპონდენცია

დის სადღეგრძელო. დეპუთთ გამოუცხადეს მადლობა და  
 სთხოვეს მიეღო იმ სკოლის «საპატრიოტული» შედამხდველ-  
 მსწერელობა».

ს ი მ ლ ე რ ა .

ღამით ვნახე ჩემი წინა  
მთვარეს შუქი მოეფინა,  
ნეტაუი იმას შემყარა,  
იმის გულთან მომტა ბინა.

ძნელი არის სიუკარული,  
გონიერსა შეიქმს ხელად;  
ცხოვრების გზას მთლად დაუბნევს,  
არბენინებს მთა და კელად.

სიუკარულის სხივი მომხვდა,  
გულსა დაღი დამაჩნია;  
წინას ეშვი მწარედ მტანჯავს,  
ცისესავით გარს მარტუია.

ვერ მამებს და არც მინდა  
გაზაფხულის კარდის გონა;  
ნეტამც მომკლა და მე ერთსელ  
წინას თეთრ-მკერდს ჩამაკონა...

ი. ლ.

## დიდ შალაში

(პროვინციალური სურათები)

მეჯღიშია. დიდი კაცის შალა განალებულია; ქუჩიდან თანჯრებს სალსი მისდგომია და შესტრიალებს; შალაში ჩრდილები ირევიან; სალსი ამით აყოლებს თვალს.

ისმის მუზიკის გრიალი — ვალსს პროწიალობენ. თაიტონი თაიტონზე, კარტა კარტაზე მოადგა შალის დერეთანს. ქალბა, ძვირფასს თანსებში ჩამსხდარნი, მარდად ფრინდებიან კარტებიდან და დაბუზანაკებულნი მითამაშებენ კიბეზე, მითამაშებენ გულის ცმეკვით, რომ მალე ჩაევიანს «პროწიალობაში».

აკერ გაისმა ჩვენი ტკბილი დუდუკის ზმაც. ქუჩიდან მუხრებელს სალსში სმაურობა და არეკ-დარეკა ჩავარდა. დუდუკმა კსენიტ გამოათისიზლა; ყველა სმენად და ყურებად გარდაიქცა: ზოგი ქაზე დგება, ზოგი თითის წვერებზე, რომ დანახონ ლეკურის თამაში; ქონდრის კაცები კი გამყოფილდებოდენ მხოლოდ ჭერზე ჩრდილების ციმციმის დანახვით.

ამსუბით აიძსო დიდი კაცის დიდი შალა მშენიერის სქესით. არც ღოკელასები აკლდნენ: მოცლილი სალსია, ვინ არ წავა; შერე ისიც, დიდი კაცის მეჯღიში, სადაც მოთელი ქალბას ლამაზი, პაწაწა ფეხებ-თათებისანი იქნებიან თავ-მოყრილ-

ნი, სადაც ქალების მდევარი არა ერთსულ ათორთოლებს და აიყრყოლებს გუფს ფურცელავით, რომელშიაც ნეტარების ნაპერწკალი ისრავით გაუსლივინებთ სოღმე; სადაც დად-კაცს შატარა კაცუნები სელს ჩამოართმევენ და იმის დაბუა ქაღს გამოელაპარაკებიან და მით გუფს დაიტუბობენ.

ქალები ზლომად არიან; ჩამწკრივებულან რიგზე; ზოგ კავალერს სამი-ოთსი შემოხვევია გარს; გაჯობრებულები ელა-პარაკებიან: რუსულად, ფრანციაულად, ხან, — ეინც კოჭლად არის რუსულ-ფრანციაულზე, საცოდავ ქართულსაც ჩაუტყვენ სოღმე, მაგრამ ჩაუტყვენ მორცხვობით, ენის მოკიდებით, თა-კიდით. რომელი რომელს დაასწრობს სიტყვას, რომელი უფ-რო მასვილად ეტყვის, რომელი უფრო მოაწონებს თავს, აღარ იცნან. ზოგი იგრისება, ზოგი კისერ გადაგდებით სარსარებს და სატანურავით იმტყვკა, რასაკვირველია, განგებ; ზოგი — ვითომ და რა! — სერაოზნობს; «პარდონ» და «მერსი» სომ წელში გადასწვიტეს და ცხვირები დახეთქეს. კავალერიც თავ-გამოდებულა, ეველას პასუხს აძლევს, ეველას უცინას, ევე-ლას დაპარაკში თავს ეველებს; არც ერთი კი არ უყვარს, ევე-ლას ატყუებს. გაცკოთილია, იცის ქაღის გუფი; იცის, იმი-ტომ ეველებიან ფარკანასავით, რომ თავი გაისაღონ, გათხრე-დენ და შემდეგ სხვა ქმარი გაიჩინონ.

ზაღის აღმოსავლეთის გუთსეში ზის თეთრებში ჩაცმუ-ლი ქაღი, ისე გამოწუთხული, ისე გამოკრული კაბა-კარსეტი-ში, რომ დრეკის სავატობა აღარა აქვს; ზის გაჭმეული, მარ-ჯვენა იდაყვი აქვს დაბჯენილი სკამის მოაჯირზე, მარცხენაში მარაო უპყრია და კალთაში ნაზად იფართოსუნებს.

იგი თეთრისანი დაფიქრებულა. თითქოს ზაღაში არა-ვის ხედავს; იმისთვის აქ ბნელა; იმის თვალში არაფერს

მნიშვნელობა არა აქვს; არავინ არად ეპიტხავენ. სიყვარული-საგან ხომ არ არის დახატული? გული ხომ არავინ ატყინა? ან იქნება გავალრებმა ყური არ ათხოვეს? ახა ერთი ასეა მი-ვიდეთ ამ ანგელოზთან, ავსადლოთ იმის გულს დასდების ფარ-და და ჩავიხედლოთ.

ნჱ! დიერთო ჩემო!! ჩემი ნაცნობი ღიზინკა არ გამოდგა! ღიზინკა საშინელი წერწეტი ტანისაა; იმისი წელი სწორედ მუჭაში გაძვრება; რომ დადის, სული მიგდით, გული ღი გიღონდებათ: აი აგერ, აი აგერ წელში სატაცურივით გადმტკრება. ამის ტანი ერთს ქალად ჭღირს, მაგრამ, რა გინდა ჭჭნა ამ ოსერ წუთი-სოფელში?! თუ სულ თავიდან იფხება მდგ ღამაში არა ხარ, ზედ არავინ შემოგხდავს. ღვთის წინაშე, არმოყოფით ვი გავკარშიუებთან და, — თუ მშვიდობაა, რა ვიცი, კაცნი ვართ, ისე როგორმე მოხდა, — ბადეშია გავაბმენ, მაგრამ ამ ოსერ ბედნიერებას რომ ეტყვიან — ბედნიერებას ვი ვერ ეღივებო.

ღიზინკა სურმადის ქალი მსწორედ ამ ნაირი იყო. საბრალო ესაა ოცდაათის წლისა; თმა წაბლის ფერი; სახე ცხვირსა და ღოყებს შუა მოღმენჭილი, კანი მოშებუდი; ღოყები გუდა-ღეღვივით დაშებუდი; რომლებიც სარკულის დროს თამთამებენ; ქვედა ტუჩი ერთობ დაშებუდი — უკაცრავად ვი ნუ ვიჭნები აბარებთან — გამძლარი ცხენივით; და რომ ტუჩს უმგზავსოება დაუკარგოს, არ მიაჭკვიონოს თავუანის-მცემლებს ყურადღება, თუ ვი გამოხნდებიან, წითელი წამლით ისე იღებავს, რომ მისისის კარდივით კაკაჩი გაუდის; ცხვირი ჭრუკა და ისე დადრენიდი, რომ ნესტოებში ჩიტი თამამად შეფრინდება; სახეზე აქა-იქ აყრია ფერის-მჭამელები; შუბლი ვიწრო და სამად შესამუჭენილი; თვალები

ღრმად წასული ფოსოებში, რომლებსაც, უნდა გაცმა სთქვას, ჭიჭიანკენ ისარივით გაწონილი წამწები; გბილები უსწორ-მას-წარმო.

მზითუკვი, ამ უფულო ღრმას შესაფერად, ძაღიან კარგი აქვს: ოთხასი თუმანი ქისაში გამოკრული; ახლა ზინათი, ფარსეულაობა, მაგრამ რაკი ერთხელ და ერთხელ დაუძვირდა ბედი, დარჩა და დარჩა: ჯერ ის იწუნებდა ყველას, ყველას ტუჩი ჭკრას; მერე ის დაიწუნა ყველამ. რამდენმა გაცვეთილმა აფიცურმა სდია და დანიათობირა, რამდენმა მისცა შერთვის პირობა, რამდენმა სდია, სდია, და ბოლოს საბრალლო ლიზინკა მიატოვეს.

როდესაც ლიზინკა ზემო-აღწერილს მდგომარეობაში იყო ჭზალაში დამ-კავალრებს გაჭქონდ-გამოჭქონდათ ერთმანერთი, დაღალულობით ქასქასებდენ, ამ ღრმას შუბლის წმენდით და ქას-ქასით მოადგა ლიზინკას სკამს ძაღალ-ძაღალი, წამოსადეგი, ულვასებ გამწვიტინებული ვაყ-კაცი სამსედრო ტანისამოსით. ამ ვაყ-კაცს მოციმციოე, მუდამ ნოაჩშიეე თვალებს, უშკენებდა ოქროს სათვალეები; ქვედა ტუჩს ქვეშ ჭქონდა შერჩენილი წვე-რი, რომელსაც ერთობ უდიერად სტანჯავდა ბასის ღრმას; სათვალეებს წამის-წამ ჩამოიგლეჯდა, თითებზე შეიპროწიალებ-და; წამის-წამ ისეე წამოიცვამდა და მსუფრებლებს თაჯ-აღებუელი, ამაყად, დაუწყებდა ლაზარაკა, რომლის ღრმასაც ზედა ტუჩს მუდამ იფხლეკდა, ძაღლა იწევდა ბრანზიანი ძაღლივით, რომ დაენახებინა შუშა-შუშა გბილები, რომლებიც ისე დაწმენდილი ჭქონდა, რომ ბროლს მიაგვანდნენ. ეს კაკალერი, მოადგა რა სკამს, ჩაელაზარაკა.

— აა, ლიზინკა, როგორ გივითხოთ?

— უჭ! შენა ხარ, შენა!! მიატანა ლიზინკამ სიტყვა და

მკლავები კალთაში გადმოიყარა; სიხარულმა ისე დასთუთქა, თითქო დაღალულიაო, თითქო ზვად-მყოფი ამდგარა და სკამს მისვესებაო.

— რა იყო? მეძღურები, თუ გისარჩიან, ჭა?... რას ნიშნავს ეს: «ეჰ! შენა ხარ, შენა!!» უთხრა გავალერმა და მიაცოცა ღიზიზვასთან სკამი; არ გეგონა, რომ აქ ვიქნებოდი?

— რა მამაგონებდა, მიტია, თუ მოხვიდოდი და უწინ მე არა მნახავდი! მაგას არ მოკვლავდი. გასსოვს შენი ჰირობა? გასსოვს ის ნეტარი დღეები? გასსოვს ის მთვარისანი ღამეები, რომლებსაც ისე ტკბილად ვლავი-ვლავს გაყრილნი გატარებდით? მზივდებოდი: მალ-მალ წერილს მოგწერო; მაგრამ როგორც თუადი შორს, ისეც გული შორსაო, ნათქვამია. იქ შენ, მიტია, სხვებს იშოვნინდი და მე... მე რაღად მოგაგონებოდი... წარმოსთქვა ღიზიზვამ ყვედრებით.

— ხომ იცი, სულივო, რომ მე წერაში ზარმაცი ვარ; ჯერ ჩემს სამსახურში ქაღალდებზე ხელი ვერ მომიწერია, და წერილი სად გაგაჭრელა. დარწმუნდი, რომ ჩემს გულში, სხვათა შორის, თქვენც გიგავათ ალავი. ჩემი გული ვერას დროს ვერ დაივიწყებს იმ ნეტარებს, რომლებიც თქვენ-მაერ მას შეუსვავს და შეწყეულა ძირამდინ სიამოვნებით.

— ჭმ, სხვათა შორის, სხვათა შორის! რამდენჯერმე ხაი-მოხარა გულში ღიზიზვამ ეს სიტყვები: ამას ეტყობა სხვა უფარს, სხვას დაუბამს ამის გული. მე გი ისე უფარვარ რაღა, ჩვენში რომ იტყვიან—საყველ-პუროდ; ეე, უბედურ ეტლზე ვარ დაბადებული, უბედურზე, ფიქრობდა ღიზიზვა.

— რას ჩაფიქრდით? თქვენს თვალები კვლავ სიამოვნებით იტყვირებოდნენ, მუდამ ეშხის ნაბერწკალს ისვროდნენ და ესლა

ვი ამდგურეული გაქვთ, თითქო ბოროტი საქმის ჩადენა სურსათ, უთხრა დაცინებით კავალერმა.

— ერთიც და მეორეც თქვენი ბრალა. თქვენ არ იუჯვით, რომ დამპირდით, პირობა... მისვდით თუ არა? პირობა მა...

— მოძითმინეთ ცოტა სანს, წააჩოვა სიტყვა კავალერმა; სომ იცით, რომ მე სამსახურში უკან ჩამოწმობილი ვატი ვი-  
უჯ, ე. ი., როგორ გითხრათ: ჩემს გვარისშვილობას არ შეშვე-  
ნოდა ის ადგილი.

— უადგილობას არ შეგამჩნევინებდი: ფული ბევრი და გუ-  
ლი პატრონისანი, შენი სიყვარულით აკუსებულდი. მაგრამ...

— მათქმევინეთ: მე ამ ქალაქიდან მეორე ქალაქში წაველ-  
ბუდის საძებნელად; მაკაწყდ-მთვასწედი სასოგადოებას; ვაკიცან-  
ქრთი მალაღ-გვაროვანი ოჯახი—უღარდელადი. უნდა მოგასსე-  
ნო, სხვა მალაღ-გვაროვან ოჯახებთან, ხუღარ მეტყუა, შედა-  
რება არ აქვთ: ვინ გინდათ, რომ იმათი ხათესავი არ იუოს;  
სად გინდათ, რომ იმათი ხათესავი არ იჯდეს უფროსად. აქ  
გამილიმა ბედმა, აქ დაინახე ჩემი წადღის შესრულების დღე.  
აბა, ჰა, მიტო მეოქი, უთხარ ჩემს თავს, ესლა გამართებს  
პიტობა და გამჭრიახობა მეოქი... დაუწეე უღარდელადთან  
ქალებს დეენა. დედამ მითხრა, თუ შენი თავისთვის ბედნიერე-  
ბა გინდაო, ჩემი უფროსი ქალი შეირთეო. მე, რა უნდა მე-  
თქვა. მე ქალი ვი არ მინდოდა, ადგილი მინდოდა. უნდა მო-  
გასსენო, რომ ის უფროსი ქალი, ესლანდელი ჩემი ცოლი,  
ცოტა ვი არა და ძალიან ჭკუასე თხლად გახლავთ, თუმცა  
ჩემი ცოლი ვია, როგორც მოგასსენეო. რას ვიქმოდ. შევირ-  
თე გიუი ქალი, მაგრამ არა შეითხავთ, მხითევში რა გამოა-  
ტანეს სიგიყესთან: «ანახალნიობა!» მასში! ჯვარის წერის შემ-  
დგე, მეორე დღესვე მე «ანახალნიობა» გამოვიხვიე კალთაში



და შეკუდებ ცხას. სიტყვას «ნახალნიეობა» ისეთის უშხით, ისეთის გბილების კრჭიალით ამბობდა, თითქოს ქვეყანა ამ სიტყვაზე სდგასო.

— მამ უკელა შენი ჩემთან ლაპარაკი, მსჯელობა, ახალ-ახალის აზრების რასა-რუსი, ათასნაირი პირობანი, სულ რა-პირობა, სულ სიტყუე იყო! წარმოსთქვა ღიზიჩკამ და მესი-კით დაუწყო სიტყვებს სრულა. კაკალერის უურში ბაიბურდიც არ იყო. — მამ ეგრე? რა, დამბადებულა! ამას რას ვსედავ, ამას რას ვსედავ? შენმა სიყვარულმა, შენზე ფიქრებმა — აი ხე-დავ? — რაგორ დამადნო, და შენ გი გამცვალე ვილაც გიყსე, არა, გიყსე არა, — ადგილზე, სამსახურზე? ფუ, შენს კაყ-კა-ცობას, შენს ახალგაზდობას! რაღა პირით მიცქერი და მელა-პარაკები! რაღას მაკვებსუ მაგ შენს გარყენილობას! რაღაც ბე-დად მოვარდნილხარ აქ და სარგებლობ, რომ სიტყუის ბადეში გამბაზ? რბობას ხელობა დიდი სანია დაგიჭერია და მე გი ესლა შეგიტყუე. გთხოვთ, რბობავ — ნახალნიეო, შენის უნამუსო პი-რით მომცილდე აქედამ; შენი სასის დასახვა მელავს მე...

ეს უგანასკნელი სიტყვები ისე მალდა, ისეთის ალელკე-ბულის სმით წარმოსთქვა ღიზიჩკამ, რომ მთელი ზალა ფეხ-ზე დადგა. კაკალერმა ურცხვად გაიკასკასა, ხელების მტკრუკით ვაიარა და ჩაურია ხალხში.

II

ჩრდილოეთით ზალას აქვს დერეფანი, რომელსაც აკრავს ზნელი ოთახი, წოდებული «საგრილობელ ოთახად», რადგან-აწარმოებდა კიბისა და დაღალულობის გამო დამა-კაკალერი საგრი-

ლობლად გადიოდნენ. ანეტა იაზონოვნა ძიელ დაქანცუდიყო-  
 და ამ ოთასში მწყერ-ნიტასავით გამოგოგდა. კავალრები მოჭ-  
 ხიბლა, დასწვა და გადაჩია ამ დასაქცევმა. იმდენად ლამაზი  
 არ იყო, რამდენადაც მარდიანი, გოშწია, თამაში და გამგი-  
 ყებელის მიხვრა-მოხვრისა. მარტოდ-მარტო თვალები ჭჭონდ-  
 ლამაზი, ყუყუნა, მუდამ წყლიანი, ისე შავი, თითქო ძელნის  
 ტბა აგუბიაო, ისეთი დიდჩონი, თითქო მისხელი გიშრები-  
 ჩაუსსაკოო. აი ეს თვალები ჭხიბლაგდნენ კავალრებს, თუმცა  
 ამალამინდელს ღამეს ბეჭნი კავალრები დასჭრა თვისის გიშრის  
 თვალების ისრით, მაგრამ ისიც ვი იქმნა დაჭრილი, ისე გა-  
 გიყებულა, რომ მტკიცედ განიზრახა გულში თვისს ასლად  
 შექორწინებულ «გნაზისათვის» ელაღატნა და ჭერა კავალრის-  
 თვის ეხუჭებინა თვისი გული. სულ მესამედ შეხვდა ამ კავა-  
 ლერს, მაგრამ დაადნო, გონებიდამ გამოიყვანა. კავალრიც ანე-  
 ტასავით გოშწია, თამაში, იმისავით ქარაფშუტა და ტუტრუ-  
 ცანა იყო. ჭკუა ჭკუას მოხვდა. ანეტას შეუეკარდა ზასომ პრ-  
 ხორიჩი — ეს სახელი ერქვა მის სახატრელ კავალერს. ზასომ  
 პრახორიჩის გულში ვი გაკვრა-გაგლეჯის სიყვარულმა დაიბუ-  
 და, თუ შეიძლება ასე ითქვას. იგი ანეტას ჯადოხნურ ბადეს  
 ესროდა, რომელშიაც გაება კიდეცა. ანეტა იაზონოვნა სულ  
 მთლად ირეკოდა, როცა ზასომი იმის ასლო იყო: კალსი,  
 რომელსაც ანეტა გასაოცრად აზროწიალებდა; მარურკა, რომ-  
 ელშიაც შროიანად დაფუნდრუკება; ლეკური, რომელსაც გასა-  
 ცნაჩის ფეხის სიმაგრით და თამაშით უკლიდა ხოლმე, — სულ  
 ერთიანად ერეკოდა, ეშლებოდა, იჭნამდე გართული იყო ზა-  
 სომითა- ერთობ გრძნობიარე იყო ჩვენი ანეტა. ზოგზე სრუ-  
 ლად სსვა გვარს გავლენას აწარმოებს ამ ნაირი მიხეობი, ამ  
 მდგომარეობაში ზოგი უფრო ცდილობს, რომ გამოიჩინოს

სკლონება, ყველაფერი მოაწონოს მოტრფიალეს. ამ გვარად  
აღმდინი უფრო ჭკუას ემორჩილება, ანგარიშისა და გულ-  
ცივისა. ამ უანგინებს არ ეკუთვნოდა ჩვენი ანეტა იაზონოვნა-  
ვისაც გულს მისცემდა, გათავდა! — თავ-დავიწყებამდე დაწავი-  
ბოდა ნეტარების წყაროს.

იგი ძლიერ აღელვებული გამოვიდა ოთახში. სარკვემ აც-  
ნობა ეს მდგომარეობა და სახესე ხელი მიისვ-მომისვა. მულ-  
ნის სადგურნი მოისწორა, ისარს შეიღდი დაუჭიმა, რომ ხა-  
დირი დაუგოდავი არ წასვლიყო. დიდ ხანს არ ილოდინა. გა-  
კაღური ლომივით თავ-აღებული შემოვარდა, თითქო შესე  
კაგლეჯა ჭსურს მშეელის ნუგრისაო. იღლიაში იგდო ანეტა  
და ერთი შემოაჯვარებინა ოთახში, გაკაღური გვარად ჩრდი-  
ლეღია, მაგრამ ქართულს სუფთად დაჰმარკობს, სამხედრო  
ზირის; დებს მადი-მალ ახსარუნებს და მუდამ გოწა-  
წობს.

— ზახომ ჰრთხორინ, გიყვარვარ? მე გი გამაგიყუ და! ჩემი  
თავი აღარ მახსოვს.

— ანეტა იაზონოვნა, რას მიბრძანებთ? თქვენ განა ვაცს არ  
შეუყვარდებით? ეს თვალები, ეს შავი თვალები, ოჰ! მისწვდა  
და თვალები თითებით ამოზიდა.

— ოჰ, ზახომ ჰრთხორინ! შენმა სიყვარულმა დამდუჰა-  
დაძის ქმარ-შვილი შეიძულეს.

— ნუ თუ ეგრე უმწვიდი ხარ, რომ თქვენს გულში ორი  
სიყვარული ვერ მოგითავსებიათ. თუმცა ზოეტები სწერენ, რომ  
სიყვარული ერთიაო, ერთის ბეტს ვერ დაემორჩილება გულიო,  
მაგრამ это дудки, ჩემო ანეტა... აი ესლა მე რამდენი მო-  
მითავსებია ამი ზაწია გულში.

— ვინა სწერენ? ზოეტები რა არის, აქ არის ვინმე?

— ჰოკტები, სოფლიკო, მწერლები არიან, აი ლექსებს რომ ზღაპრნიან, ისინი.

— ბესა, მე ვინ მეგონენ: მე გარეები მეგონენ... ესლა ამ ზღაპრში ვინ უფრო მოგწონს? შენი გულში ვის უპყრია?

— ბეკს, მაგრამ უფრო თქვენ; ვერ წავუყვადი ამ თვალებს, ვერა.

— ეჭ, ნეტა მე ქართველი არ ვიყო, უფრო შემთხვევადი, სოჭა და შესაბრალისად გადავყო ზახომის მხარზე კისკრი.

— ვაჭ, რას ამბობთ, ქალო? შესაყვარებელი ქართველია და! ჩვენ მაგითი მოგვაჭკვს თავი, რომ ქართველი ქალები გეწყალო-ბენ... ეგ სიყვარულს რად დაუშდის.

— მანც რაც უნდა იეოს... თავის დღეში შესწავით არა-ვინ არ გამარძიებია. ჩვენებმა არ იცინ, НЕВЪЖДЫ, დაიკარ-გონ... ეჭ, რუსულიც არის მანც ვიდოდე კარგად, რომ ვე-ჭუეტუკო. ქართულად არ მეხერხება ადერსი. აი ესლა ქართუ-ლად რომ იტყვი: «სოფლიკო!» არ ვარგა, დამაწინდებს სოლ-მე, «Душка» ვი სიამოვნების ურუნტელს მომეკერის სოლმე.

— მაშ დღეიდაშ «Душка»-ს დავიძახებ... არა, მე და შენ ქართულადც კარგად ვიჭუეტუკებთ.

— ნეტა რუსული მასწავლა და! მაშინ სმას ადარ ამოვიღებ-დი ქართულად. ვიცი ვი, მაგრამ მიეფ მინდა ვისწავლო, -ისე, -ისე, როგორც ვალსი ვიცი. ებერება ზახომის და შემოპრ-წილდებთან. ამ დროს ბიჭს მარაყინი მოაჭკვს.

— «დუშკა», ზახომ პრახორის, ერთი კოვსით ვსტამოთ.

— Какъ можно, ქალო, სირცხვილია.

— Очень можно, очень можна! კოვსს გადაუგდებს. ჟერ შენ აილე, მერე მე სოლმე. მე მანდა შენი ნაშირალი კოვსი; მე მინდა გულში ჩავიტანო, შეგტამო.

— შეგჭამოვო?! ეს რომელი სიტყვის ნაწილია, ქალო?

— იშ, წა ვქნა, ქართული ბოროტიკი ენაა, გაბუტვიით და ტუნ დაშეკბული უთხრა. ემაგიტომ მიხდა, რომ რუსულია ვი-სწავლო. რამდენჯერ გამაწითლებს სოლმე. *ПРАТИВНА!*... მამა ჩემს ვი ოცდა ათი თუმანი შეაწერეს სკოლისა და ამისთან ბოროტიკი ენა ვი უნდა ასწავლობ. *ФИ, ПРАТИВНА!*

— რა გემრიელია შენი ნაშარალი! ვარდია რაღა, ვარდი!... იცი, ჩემთან იარე სოლმე, ანეტა იაზონოქნა, და რუსულს და ფრანგიულს გასწავლი. მე ბერს რამეებს გასწავლი.

— შენ იარე, შენა! ჭო, იგლა, უხომ ვროსორონი?... ვიშ, ვიშ! უხომ ვროსორონი რა სახელია და! თაფლია, თაფლი, ჩეტა შეიჭმებოდეს. არა ჭკავს ამ სახელებს: არხიღ, ლუარსაბ, ვასტანგ, ერაკლე, ელიზბარ... აი თუნდა მამი ჩემის სახელი — იასონ, — სულ რაღაც უცნაურებია. *ФИ, КАКЪ ПРАТИВНА!*

— მერე, რომ ვიარო, შენი ქმარი?

— ჩემი ქმარი, ამისმა მხემა! იმას ღვინო მიუღვათ, გამოვართოთ და მერე მე და შენ ვისწავლოთ.

— ბადა ეგ არის, რომ მე უფრო კეწოები და მერე ოტკას.

— ჩემი გულისთვის უხომ-ჯან, ჩემი გულისთვის! ნახავ, როგორ თვალები დაუდგებთ აჭურს ქალებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენ ჩემი კვალერი ხარ, მეორე იმიტომ, რომ რუსულს კარგად ვისწავლი. გადაუდებს სანატრელ ვროსოროს მხარხედ თავს და შემოვროწილდებიან; იცი, ჩემ უწია ქალს სახელი შენ აურსიე.

— ორინა, ვრასკოვია, კატრინა...

— ვატო არა, არა; ორინა, ჭო ორინა! დუშკა, ეს სახელი, რა პრელესტია და!

ამ დროს მუზიკა ვაღსს უკრავს და ეს ორი ქარაფშუტა  
ოთასიღამეკე შროწილით გაქანდებიან ზაღისკენ.

## III

მუზიკა გრიაღებს; იატაკი ზანზარებს; ყურთა სმენა  
აღარ არის; დამა-კავალერთა ბრძოლას საზღვარი არა აქვს.  
თითქო ამ ღრინცუელს ყურს არ უგდებენო, თითქო ამ სა-  
ზოგადოებს არ ეკუთვნიათ, განცალკევებით სსუდან სასტუმ-  
როში ერთი დამა კავალერთ. დამა მისკენებულთა დივნის სა-  
რისაზე, სამოსელი ერთობა აფეხადებულთა აცვია: ქვედა ტანი  
კაბისა თეთრი ფარსისა წითელი არშეებით, შუა ტანი მუქი  
ლაყვარდი საკერდისა, მერე წითელი, უვითელი და სსუა შიდა  
აფეხადის. თმაში ცოცხალი ვარდები ატანია; იგი გაუმენდი-  
ლია, არ ერევა ტლინკაში; აგრე რიგად არ ეწეობა ტანცი-  
მანცებს. ტოლ ქალებს არ უუვართ.

— ამოდნას ქალი არ არის, უველას გკწუნობს. არც კი  
სცხენიან, თავადიშვილს ქალია და ტანისამოსს თვიოთხ იკე-  
რავს. ეს რა კიდე! თურმე სხვასაც უვერავს. ღმერთო, დამ-  
ბადებულო! რა დრო შეიქნა», ამბობდნენ ხოლმე ამ ქალზე.  
მაგრამ იგი ამ ოხვრა-გოდებას ყურს არ ათხოვებდა.

სახით ეს დამა ღამაწია, ერთობ ნაწია, წყლიანი მოლა-  
ზარაკე, მშვიდობიანი, ჭკვიანი, მაგრამ თვალები, თვალები—ეს  
მკვლელები კავალრებისა—არ უვარგოდა. იგი ცოტა რამ ელა-  
მია; ელამს თვალს ჭკიუყავს, დასელოვნებით ხმარობს, მაგრამ  
წვეული მანც და მანც აუშროვებს. იქნება ეს თვალებიც იყვნენ  
მიზეზად, რომ იგი არ გაჭყვა ქარავანს და სსუა გზა მონასა,  
გზა შრომისა, გზა პატროსანი ვინ იცის, ან რა ხენი სსუ-

მე. ბუნება ერთი ხელით რომ ძუნწობს, მეორეთი ასახუქრებს. ეს ქალი იყო ვნაყნა ელისაბედ ამეფადისა, რომელსაც უკლანი ზიზოღ უწოდებდნენ. გაკალერიც ამ ნაირივე მშვიდი, დაფიქრებული, სასიამოვნო გამომეტყველებით. იგი იყო ზირ-სმელი, თეთრ-ყვითელი: ჩრდილოეთს თავისი ბეჭედი დაესვა. იგი იყო ნამყოფი რუსეთის უნივერსიტეტში. ატვია სუფთად; სახეს ქალივით უფროთხილდება; ფრჩხილებს სუფთად ინახავს, მალეძალ ისინჯავს და ზედ ისელება. როცა ლაშარაკს იწეობს, კმზადება, ტუჩებს იკვრეტს, იწეობანებს, თუ კით უფრო კარგად, მოსაწონად ილაშარაკოს. უყვარს ყველა თავისი; ცდილობს რითმე გამოადგეს თავისას. ჩამომავლობით ეკუთვნის ერთს უძველესს აზნაურშილის გვარს. მისი გვარი თურმე ერთსეულ ერისთაობდა, მაგრამ უამთა-ვითარებას ჩამოუგდია მალა კიბიდაძე, როგორც სხვანი მრავალნი. სანაცვლოდ ვნაყნა ზიზო დიდ-გვარკანი იყო. ყველას უკვირდა, რომ აზნაური ვასილ კავკასიძე დაიარებოდა ზიზოს სახლში, უკვირდით მისი ასეთი დასალოკება. ზიზოს დედ-მამა, ერთობ ამხარტავენები იყვნენ: დაბალი კატის შვილებთან კაკშირი არა ჭჭონდათ. თვით თავადებსაც კი არ კადრულობდნენ, თუ არ თავისი გვარისას, დანარჩენები მათ კატუნებად მიანხნდათ. ვასილის დასალოკება ზიზოზე იყო დამოკიდებული. რითაც იყო იძალაგა და თავიანთ ფეოდალურს ოჯახს დაუხსლოკა; საკვირველი ეს იყო, რომ ზიზოს ესრეთი გაბედული, არა თავადიშვილური მოქმედება მშობლებს არ აკვირებდა, თუმცა კი სწეინდათ: **დრომ მოიტანა, დროძალ, რომ თავადიშვილის ქალი თავის ხელით თავს ირჩენსო; უწინ ხელსაქმეს კსწავლობდით, მაგრამ არა სხვის მოსახმარისად!** როგორც იყო ზიზო და ვასილი დასალოკდნენ, დამეკობდნენ, სული სულს შეატებეს.

კასილი დიკანზე გვერდთ მოსჯდომოდა ზიზოს, მუხლი მუხლს შამოედო და დაწინარებით დახარაკობდნენ. მსოფლოდ ხანდისხან დუდუგის ხმა თუ შესწევებდა სოლომე მათს ბასს. მამინ კი ჩადგებოდნენ ხალხში და უცქეროდნენ ლეგერის თამაშს. ამათის მშვიდის, წინარის ბასის დროს ბეკრჯელ დინჯად გამოიფხაკურებდნენ სოლომე კნეინა დარეჯანები კრილოსნის ჩხაკუნით; უურ-გამასკილებულები აუკლ-ჩაუკლდნენ დიკანს, რომ ერთი სატყვისთვინაზე ჯარის მანზე მოკვრათ უური, რომ დანარჩენი თვით ჩაკურებინათ და ასადი ამბავი დაუბანათ ქალაქის სალადადოდ. საქმეს კი უფრო უჭინკებდნენ ამოცს განდუგელს იჭაური ვაჭრის ცოლები, რომლებიც მასპინძელს მოეწვია.

— ვინ უფრო შესაბრალისნი არიან: ჩვენ, თუ სკამები, რომლებზედაც ეგენი სხედან? ჩაკეითხა ზიზო ვასილს, რომდესაც რომა ჩაკურატებულმა ვაჭრის ცოლმა ამოუარა ამათ თვალების ბღვერით, რომლებიც (თვალები) ქონის ბადით ჭქონდათ გავრული; მათი ფშვინვა ნიავს აყენებდა სასტუმროში და მათგან ამონაფშვენი ცხვირს უსიამოვნოდ აკოტებდა.

— ერთი რცვი ათასი ამისთანა დორი? ინატრა კასილია.

— მამინ ონანოც აღარ გვეჯობის ბოდა, უთხრა ზიზომ. ლიმილით. ნეტა ესენი რადას აკეთებენ; საცოდანებს ჰირის ღანხები დაესათ მოჭნარებით.

— ქალებს უცდიან. ასლა რომორი ნასიამოვნები წაკლენ. რომ დიდი კაცისას იყენს და მათი დაღიზნული ქალები კავალრებთან მუნძულებდნენ.

დირიყორომა ილაჯი წვილა: გამეკლებული უვიროდა, ჩლიქებზე დგებოდა. ამ დროს ზიზო და კასილი თვის შუედლებზე ბასობდნენ.



— შენ სხვას არ გაჩქევები, ხომ? და უნდა საქმე ისე მოვაკვა: რაჭინათ, რომ ერთმანეთს არ დავსცდეთ.

— შენ დარწმუნებული იყავ, რომ ჩემი თვალები შენზედ უკეთესს ვერავის დანახვენ, მაგრამ უნდა გაგიტყუდე, ერთი უბედური ხასიათი მაქვს: დედ-მამასთან ძიულ ვსუსტობ, ძაღვ მიეოფლებენ, როცა საქმე ეხება ჩემს გათხოვებას. გულ-წრფელად გუუბნობი: მე აჩრად არა მაქვს შენი დაწინაურება, მაგრამ ჩემი გვანჯერის სენი მეც გამოძევას; ასე მგონია, ჩემზე დაბალი კაცის შვილს რომ მივთხოვდე, ერთი წაღაც მოსდება მეოქო, თუმიცა ვი, დარწმუნებული ვარ, არა მოსდება-რა. რაღაც უცნაურია, ჩემივე გამოუჩვეულები, ძალა მხარვეთებს, ხელს მიტყვას თითქო. უნდა ძალა მოვიკრიბო და შევებრძოლო ამ სენს, თუ ვი შევიძლებ.

— დიად, ჩამომავლობითი სენია; დიდ-გვარებს მოსდგამთ ეს სენი... მაგრამ ამ სენსა და მართლად ჩამომავლობითს ავად-მყოფობას შუა დიდი სიღარიბეა. ეგ სენია, ეგ ავად-მყოფობა, მართლად ავად-მყოფობა ვი არ არის, — ეგ გაკვრებული, გაჭკვრებული, უმოდრავო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვეულებაა. სავსოგადოდ ამ გვარ კერზად გახდილ ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა მხელა, მაგრამ აქაო და ბრძოლა საძსულა, უნდა აღვირი მიუშვათ?

— ვეცდები ამ ჩემი სუსტი ძალით შევეჭიდო მაგ კერვს, სთქვა ზიზრომ ხელების შლითა, ეშხიანად გაიღიმა და ბროლ-ფიქალთ წყობა გამოაჩინა... იცი, ვასილ, რა გითხრა? მაგალითი არ არის, ჩვენი გვარის ქალი დაბალი კაცის შვილს ჭეუვდეს.

— რა კარგს შერბობი... მე თუგ ინდ სუთს, ექვს ჩამოვითყლი.

— ვისა? რომ არ ვიცი.

— ვრახოვი, ჰსაროვი, სკვენოვი...

— ხა, ხა, ხა! ჩაიკასკასა ზიზომ და თვლა შეაწვეტიანა ვასილსა. ეგენი ხომ ჩვენებურები არ არიან. მე გეუბნები ქართულებზე, რომ ქართველ დაბალი კაციის შვილს არ ათხოვებენ მეთქი. ეგენი ჩვენში ჩასათულები არ არიან. მაგათ ნაირს ხაფხს ჩვენები, ე. ი. ჩენი გვარეულობა სულ სხვა თვალთურჩაქრის.

— ღმერთო, შემაწყალე! ეხლა, ზიზო, ჩვენ აზნაურები ვართ და, ნუ კი გეწეინება, თქვენებს ბევრით ვსჯობივართ.

— იქნება, მაგრამ აბა ჩემს მშობლებს გავუხსენო შენი ქმრად შერთვა! ავის დაქარგვიანო; ჩვენ აზნაურს უნდა ქალი მივცეთო; რადის მომხდარა ეს ამბავიო», ასე მეტყვიან.

— საკვირველია. მაშ მალანა დაბრკოლება ელის ჩვენს შეუღლებას. იქნამდე მოვიცდით მაშ, მინამ დრო ნებას მოგვცემდეს.

— ესე იგი მშობლების დახოცვას მოუცადო, არა? მაგრამ ჩვენ რომ უფრო უმაღ დავისოცხეთ. ან იქნობამდე ვინ დამაუყენებს. უმწვილო, თავადიშვილები მთხოულობენ, მშობლები ვურუბში თითს იცობენ ამის გავონებასე. თუ არ დიდი, უბირკელისი საქართველოს თავადი, არ შეიძლებაო. გუშინდელს კათავადიშვილებულს როგორ მივცემთო. უბირკელისნი მე არ მთხოულობენ, შენისთანას არ მამდევენ და ვარ ასეთს გამორუკვეკელს მდგომარეობაში.

— მე მაკვირვებ; თუ კი ბევრს საქმეში შენი აზრი გაგიყვანას, აქ რაღა გაბრკოლებს.

— ის, რაც წოდანაც გითხარო; მეც წილი მიღეეს იმ კერძის შექმნაში, რომელსაც გვაბრკოლებს... ხა, ხა, ხა! მართლა შესანიშნავი საამბობი ავი დამავიწყდეს ლამის: წაშობიღვინე,

უმაწვილო, სასაცალობა ჩვენებისა. თუ გასსოვს, შარშან ჩვენ-  
სას ერთი მასწავლებელი პოტაპენკო დაიარებოდა; ვატყობდი,  
რომ მოვსწონდა. იმას ესლა რაღაც უფროსობა მიუღია; მო-  
უწერია მამიჩემისათვის რუისის სიგბე ეზისტოლე. წარმოიდგო-  
ნე, ჩვენები გაგიუბულები არიან, უნდა იმას მიგცეთო; სტატ-  
სკი სოკუტნიკო, დიდს პენცას დაიმსახურებსო, რაც უნდა  
იყოს ის სულ სხვააო. ის გადაბრუნდება, მოკვდება და შკერჩე-  
ბა ცარიელი სტატსკი სოკუტნიკობა. მაგათ ხომ ვერას დააჯუ-  
რებ... მერე უნდა მოჭყეე და ხელ-გაშეკრილი იარაო, რომ  
თრიალდე გროში მოგცენ საცხოვრებლად, აი მაგათი შესედუ-  
ლობა.

— ექვ, მამ ცუდად ჩენი თათბირი და ხელაგნება.

— არა, ერთს ვცდი კიდევ, პირს უკითხავ და მერე დაუ-  
კითხავად წავიდეთ საუდანში საქარწინოდ. ხელი დაჭკარ...  
არაქა ვატყლიონს ათავებენ... ჩვენ ბარემ გავიდეთ, თორემ  
ხალხი აირეკა.

ს. შგალობლიშვილი.

\*  
\* \*

დასვედიანდა ქვეყანა, ცას გადმოაწვა ღრუბლები  
და აქვითინდა ხმელეთი სენ-მოკრეული, უძლები,  
მწარედ აგლოკებს ბუნებსა ქარი მრისხანედ მბერვალად  
და თოკლმაც თეთრის მანტიით შემოსა მთისა მწვერვალად.

წავიდენ, გადაიხევენ სამხრეთისაკენ ფრინგლები,  
ზამთრობით ჩვენის ქვეყნიადამსსკა მსრისკენ გადამფრენლები,  
დაჩენილა-ღამსოლოდ ესწუგანასკნედი მერცხალი  
და ესაჯ მიჭქრის შორისკენ, ასე მკვირცხლი და ცოცხალი.

მერცხალო, ტუბილის ჭიკჭიკით ჩემსწათავზე გადამფრენელო,  
დღეებდუ დამტუბობო ნაზის ხმით, დღეს ჩემო სუკდის მიფენელო  
ფრთები შემასნი, ხმა-ტუბილად დამძასე, აღმა ამტუორცნე,  
გუფს ჩამინერგე უმანგო გრძნობა და გრძნობით გამეორცნე.

სოფლად ცხოვრებამ გამტესა, მომწამდა ხალხში ტრიალმა,  
არ შემინიგა, არ მიინდო სუედრმა, ამოხსერ-ტიანმა,  
ვერ შევეჩვიე ქვეყანას, ვერ შევიყვარე — რაცა მიუფს  
და ვერ ვიმონებ გონებსა, ველარ ვიმშვიდებ დამწვარ გუფსა.

ბუნებით თავისუფალმა სულმა აქ ბინა ვერ ჭზოვა  
და სამუდამოდ აქედამ შოწის გამეზავლება მომთხოვს.  
აწ ვსტოვებ მხარეს მშობლიურს, მტრობის და შურის სანდგურსა,  
და უკან გაკედლები შოწის მე ოცნებას მანდურსა.

მერცხალო! განვესალმები ჩემს მხარეს დაუნანებლად  
და აწ მეც გაკეშურები შენსავით ქვეყნად საჩუბლად.  
დავბინადრდები იქ, სადაც მშური ვავშირის ბუდეა  
და სადაც სულის საწბიელს აწა აქვს მიჯნა, ჭლუდეა.

ან და რა მიყო სამშობლომ, რა მომცა, რითი მასხარა?  
უდროვოდ გული დამიჭენო, გამხადა ქვეყნის მასხარა;  
დამხადა ნაღვლის სასიძლად და ბედის დასაგმობლად  
და შემდეგ მტურორცა ისარი გულ-მკერდის გასაშობლად.

უდროვოდ მოკრული, მოკხუცილი, აღარ მაქვს ბინა ამ სოფლად,  
გულს სისარული გაუჭრა და აწ დაკვივარ აქ ობლად;  
ჯოჯოხეთზედაც მწარეა ჩემთვის ეს ჩემი ქვეყნა:  
სითაც ვი თქნო გადავდგი შხამი დავლიე უკუღანსა.

მერცხალო, როგორ გავუძლო იმ გვარ ცხოვრების საგანსა,  
სადც მარტო შური შეადგენს ქვეყნად სიცოცხლის საგანსა?  
სადაც რომ წრთელის გულიდამ გაცლიან წმინდა გრძობასა  
და სიყვარულის მაგივრად შიგ გინერგავენ მტრობასა!

მაშ მოდი მომიჭაეჭიკედი, თრთები შემასხი, მერცხალო,  
იქნებ ცხოვრებით დანაგრულს, გამომობრუნდეს მეც ალო!  
მოკსებნი შოწე ქვეყნას, იქაც ვსცდი ბედის წერასა  
და იქვე შეავწევითნებ გულს სასიცოცხლო ძეკრასა.

დაე უდრეოდ, უუამოდ გაძეპოს გულის ფიტარი,  
 იქ შევიმურო, სად მომსდეს სიკვდილის მკვეთრი ისარი;  
 გინდ მგზავრობის დროს ზღვის ტალღამ, გინდ მტრის მასვილმა  
 განმაპოს,  
 შავ-ბედს ჩაჭ უნდა, ისა ჭქნას, ვით სურდეს—ისე განაგოს...

ცახელი.

## მოსკლე ისტორიული ზამოკვლევა

ქართელის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა  
მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ  
წელთ განმავლობაში.

ეკროპში სტამბა საკვირველის სისწრაფით ვრცელდებო-  
და; მე-XVI საუკუნეში შემოიღეს სტამბა, მასშინ მცირე რუ-  
სეთში, და მე-XVII საუკუნეში მოსკოვშიც დააარსეს საეკლე-  
სიო წიგნების საბეჭდაკად. საქართველოში კი სტამბა შემოდუ-  
ბულ იქმნა მოლოდ მე-XVIII საუკ. დასაწყისში. უმთავრესი  
მიზეზი ამისა, ჩვენის აზრით, ის იყო, რომ საქართველოს,  
გარემორტყმულს განათლების მოძულე მტრებით, როგორც  
იყვნენ ოსმალ-სპარსნი და ჯაყასიას ერნი, ყოველი გზა შეე-  
რული ჰქონდა ეკროპისაკენ. მას ცხოვრებაზედ, იმ შესა-  
ნიშნავ მოკლენათა შესახებ, რომელთაც ძირეულად შესცვალეს  
XVI—XVII საუკ. პოლიტიკური, ეკონომიური და გონებრი-  
ვი მდგომარეობა ეკროპისა და ერთბაშად ასწიეს მათი ძლიერი  
გავლენა დედამიწის ზურგზედ, ქართველებს მოგვდიოდა, ისიც  
შემთხვევით, მოლოდ განურკვეველი, ბნელი ცნობანი. მაგრამ  
მე-XVII საუკუნის დაწყებისათნაკე ის წყვდიადი, რომელიც  
გვიფარავდა ჩვენ ეკროპსს, თან და თან თხელდებოდა და იმა-

ვე საუკუნის დასასრულს და მრთლად მე-XVIII საუკ. განმავალობაში ჩვენს ცხოვრებას დაეტყო, თუმცა სუსტად, განმაცხოვრებელი გავლენა ეკროპისა. ნაყოფი ამ გავლენისა იყო სტამბის შემოღება, სწავლა-განათლების განძლიერება მე-XVIII საუკუნეში, საერო მეცნიერების შემოღება სასწავლებლებში, (არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა, მეტაფიზიკა, ახალი ფილოსოფია, სიტყვიერება, საერო ისტორია და სხ.) შინაური წყობილების დამყარება კანონის ძეგლიც ნიადაგზე, პოლიტიკური წესის შემოღება, განწკრივნილი მუდმივი ჯარის (მეფე ერეკლეს II დროს) დაწესება: არტილერიის შემოღება, მადნის შემუშავება; აზრი, რომელიც არ გასოცდებოდა, სამწუხაროდ, სამეცნიერო მადნის სკოლების დაარსებაზე ქართლში და კახეთში, დასუსტება იყოდალური წესებისა და განძლიერება მეფის უფლებისა, კატრობის აღორძინება და სხ. სამწუხაროდ, სხვა და სხვა მიზეზების გამო უმეტესი ნაწილი მოხსენებულ წყობილებებისა და წესებისა არ იყვნენ კიდევ ძველად დამყარებულნი ჩვენს ქვეყანაში, როდესაც იგი შეუერთდა რუსეთს და თავისი ბედობალო თანამორწმუნე სახემწიფოს გარდასტა სამეფობელოდ.

გონებრივი განცხოვრების უმთავრესნი მიზეზნი იყვნენ სწავლული ბერები კათოლიკის საწმუნოებისა («ძმანი მქადაგებელნი» — *fratres praedicatores*), რომელთაც მე-XVII საუკუნის დამდეგს მოჰყვინეს მრთელი ქვეყანა და საქართველოს სამეფოშიც განხდენ რომის საწმუნოების გასავრცელებლად. მათ ფენი მოიდგეს საქართველოში, ქალაქებში, დიდკაცების ოჯახებში და თვით სამეფო სასახლეში. ამათ პირველად გააჩნეს საქართველოს ერთი ეკროპისა და მისს განათლებას და აღძრეს საქართველოში ის წადილი განათლებისა, რომელმაც განაც-



ზოგელა საქართველოში ძველობა და ახალი სული შთახერს თვით ცხოვრებას. <sup>1)</sup>

ამათვე, უეჭველად, პირველად დაჰხადეს აქ აზრი სტამბის დაარსებისა. პირველად ამ აზრის განხორციელებას შეუდგა განათლებული ძეგე—ზოკტი აჩხილი (16...1712 წ.), რომელსაც უნდოდა შემოეღო სტამბა საღმრთო საეკლესიო წიგნების დასახელებად, რადგანაც გარდამომწერალთაგან განიფენებონდნენ <sup>2)</sup>. მაგრამ ბედის ჩაჩხის უგულმა ტრიალმა დაუკარგა მას სამეფო ტახტი და გარდაადგო რუსეთში, სადაც მას სამარეტ გაეთხარა (მოსკოვს 1712 წ.). უფრო მხნედ და ენერგიულად შეუდგა ამაკე საქმეს და იმავე განზრახვით მამინ კიდევ 28 წლის ბატონისშვილი ვასტანგი, ძე ლეონ მეფისა, მამისწული აჩხილ მეფისა. თუმცა დამტკიცებით არ ვიცით, მაგრამ მცირეოდენი საფუძველი ნებას გვაძლევს კარადით ვსთქვათ, რომ ვასტანგს, როდესაც ის უსაქმოდ იმერეთში იმყოფებოდა, მოლაპარაკება ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქთან დოსითეოსთან, რომელიც 1696—1697 წ. სა-

<sup>1)</sup> მათ გავლენის ქვეშ იყო საუკეთესო ნაწილი ჩვენის მაშინდელის საზოგადოებისა; სამღვდელოებაც კი პატივს სცემდა მათ და, თუმც მართლ-მადიდებლობის წმინდა სარწმუნოებას არ ლაღატობდა, მაგრამ რომის სარწმუნოების მქადაგებლებთაგან სწავლის მიღებისა არა რცხვენოდა. ეგრეთი იყვნენ, მაგალითებრ, თვით კათალიკოზები მალაქია (16...—ბესარიონი (1724—17...), ანტონი პირველი (1744—1788), რომელნიც ლათინელ სწავლულ ბერებს პატივს სცემდნენ და მათგან სწავლობდნენ. საქართველოში მეფეებზე ხომ მათ უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ.

<sup>2)</sup> იხ. «ივერია» 1884 წ. № 2, ჩვენი წერილი: «მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი.»

ქართველში მოგზაურობდა. <sup>3)</sup> ერთი იმ ქართველთაგან, დეკანოზის შვილი მიქელა ჭ ბერძენი არქიმანდრიტი სერგიოს, რომელიც თან ახლდენ ვატრიარქსს, შემდეგ მშრომელად გახდენ ტფილისში დაარსებულ ქართულ სტამბაში. 1703 წელს შემდეგ, როდესაც ვახტანგი ქართლის გამგებულად დაინიშნა, (რადგან მეფე ქართლისა გიორგი სპარსეთის შაჰს ეხმარებოდა კანდაგარის მთელობელის მირკეისის წინააღმდეგ), მან გამოიწერა მესტამბეები ვლახეთიდან, ანუ ვალახიიდან. მესტამბეთურთაში იყო მღვდელი მისიელ სტეფანეს ძე უნგრეთ-ვალახელი; მან თან მოიყვანა რამდენიმე მესტამბენი. თვით მისიელ სტეფანეს ძე და მისი მესტამბენიც, როგორც თვით ისპანელებს სასარგებლის წინასიტყვაობაში, იყენენ «ქართლისა უნახანია», «რუსონი ჭეყენისა ამის და უსმენენი სიტყვათა თქვენთა» (ქართველთა), ამისთვის მათ შემწედ მისცეს რამდენიმე ქართველი, რომელთაც შეისწავლეს სტამბის საქმე. ამ უკანასკნელთ შორის უმთავრესნი იყვნენ მისიელ მსატვარი, რომლის ნასატებით შემკულია უმეტესი ნაწილი დაბეჭდილი წიგნებისა (ამ ნასატთ შორის სპირად გვხვდება სურათით თვით ვახტანგ VI-სა), გაბრიელ გარსევანოვი და სს. მესტამბეების მოსლვის შემდეგ შეუდგნენ სტამბის მოწყობას და წიგნების დამზადებას დასაბეჭდავად.

მისიელ სტეფანოვმა, უეჭველად, თან ჩამოიტანა სტამბისთვის უუსაჭიროესი მასალა (დასგები, ქაღალდი და სს.) ხოლო სხვა მასალები აქ, საქართველოში, დაამზადეს. თვით მისიელ სტეფანეს ძე 1709 წ. სწერს: «ყოველივე საქმენი, რადუნნი ისილუბიან, ასონი, რდლანონი და ყოველნი სახმარ-

3) საქართველოს სასულიერო მხარებელი.

ნი დაწეებით სრულ ყოფილადი მოქმედი და წინამძღომელი მე-  
 ვარ, უნდო მონა თქვენია <sup>4)</sup>. ჩვენის აზრით, ეს იმას კი არ  
 ნიშნავს, რომ მან მოჭრილი ასოები თან ჩამოიტანა ვალა-  
 ხაიდგან; უფრო დასაჯერებელია, რომ ასოები და სხვა მასა-  
 ლები მომზადდა ტფილისშივე და, რადგან ამას კარგა ხანი  
 მოუნდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მესტამბეები ვალახაიდ-  
 გან ჩამოვიდნენ არა გვიან 1707 წლისა. ასოების გარდა,  
 როგორც სხანს დაბეჭდილი წიგნებიდგან, დამზადდა მრავალი  
 ნასატები. სტამბა გაიხსნა არა გვიან 1708 წლისა მეფის  
 სასახლეს ახლოს, იოანე ნათლისმცემელის ტაძრის გვერდზე,  
 სწორედ იმ ადგილას, სადაც ესლა აშენებულა უწმიდესი სი-  
 ნოდის კანტორა. სტამბას ეჭირა ათი ოთახი. <sup>5)</sup> ყველა ხარ-  
 ჯი სტამბის გაწყობისა იტვირთა თვით ვასტანგმან, რომლის  
 ხარჯით ის ინახებოდა 1724 წლამდის, როდესაც მეფე ვა-  
 ტანგი რუსეთში გარდავიდა და მისი სტამბაც გაუქმდა.

უმთავრესი მიზეზი სტამბის დაჩრებისა, როგორც  
 ვსთქვით, ის იყო, რომ «ხელთ წერაში საღმრთო წერიდნი  
 განწყენილ იყო» <sup>5)</sup> და «მამანი ქართულთანი დაკნინებულ  
 იყვნეს სამღვდელთა წიგნთაგან» <sup>6)</sup>; ამისთვის საჭირო იყო,  
 მინამდის წიგნების ბეჭდვას დაიწეებდნენ, მათი გასწორება რი-  
 ვიანად. ეს საქმე არ იყო ადვილი და გამსწორებულთ დაად-  
 დიდი სიფრთხილე მართებდათ. რუსეთში წიგნების გასწორე-

<sup>4)</sup> წინასიტყვ. სახარებ. 1709 წ.

<sup>5)</sup> Описание древностей г. Тиф. П. Иселіани 1866 г.  
 стр. 247.

<sup>5)</sup> წინასიტყვ. სახარ. 1709, კუროხევანისა 1713 წ. და სხვ.

<sup>6)</sup> წინასიტყვ. კონდაკისა 1710 წ.

ბის გაუფრთხილებლობამ დაჭბადა ეგრეთ წოდებული «რასკოლი» (განსუთქილება), რაისაგამო აწ რუსეთში ათ მილიონამდე მცხოვრებნი მოწვევტილნი არიან წმიდას მართლ-მადიდებლობას და აღიარებენ იმ შეტომათა, რომელნიც, დაუდევრებლობისგამო, მოჭეუნენ პირველ დაბეჭდილ სლავიანურ საღმრთო და საეკლესიო წიგნებს. მეფე ვასტანგმა ეს ძნელი საქმე მიანდო გამოცდილ და დასულთქმულ მღვდელ-მონაზონთა ნიკოლოზს და გერმანეს და სამთაგნელ ეპისკოპოსს კვიპრიანეს, მღვდელს კაბრიელს და სს. 7) ამათში უფრო შესანიშნავნი არიან მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ და ეპისკოპოსი კვიპრიანი.

ნიკოლოზ, გვარით რაბელიანი, ერისკაცობაში იყო მოსამართლეთ უხუცესი და იმ დროის შესაფერად განათლებული კაცი. 1716 წლიდან მან მიიღო საჩისისი მრევულ ანუ რეისულ ეპისკოპოსობისა. 8) წიგნების გასწორება (სახარებისა, სამოციქულოსი, პარაკლიტონისა და სს.) მიენდო ვასტანგ მეფისგან მონაზონობაში 1707—1708 წ.წ. და თითქმის განუწყვეტლად შრომობდა წიგნების გასწორებაზედ და თვალურს უგდებდა სტამბის წარმატებითს მოქმედებას 1724 წლამდის, როდესაც ეს სტამბა გაუქმდა, რადგან თვით მეფე ვასტანგი (დასჯილი თურქ-სპარსთაგან მისთვის, რომ მან შეკრა კაჟშირი რუსის ხელმწიფე პეტრე დიდთან) რუსეთში გარდავიდა. ნიკოლოზ მრევული მას გარდაჭევა თან, სხვა მ-

7) წინასიტყვაობანი: სახარებისა 1709., უამნისა და კონდაკისა 1710 და 1713 წ.წ. პარაკლიტონი 1720 წ., კურთხევა 1713 წ., და სხვ.

8) Гуджары церк. Д. Пурцеладзе 10—11.

დას საძღვდელო პირთა რიცხვში. <sup>9)</sup> რამდენიმე თვე დაჭყო  
 ასტრახანში და შემდეგ გარდვიდა მოსკოვს, სადაც წელიწად  
 ნახევარი დაჭყო უსაქმოდ იმ ულუფაზედ, რომელსაც რუსის  
 მთავრობა აძლევდა ქართველ მღვდელ-მთავრებს, რუსეთში გარ-  
 დასულთ. <sup>10)</sup> მაგრამ ამ გვარ უქმად მზა-მზარეულის ჭამა  
 მოსწონდა მღვდელ-მთავარს. 1727 წელს იგი სწერდა უწმ.  
 სინოდს: «რადგან... ულუფის მჭამელი ვარ მე აქ, მოსკოვს,  
 ულუფა ვჭამო და მოსვენებით დაკვადე, ეს არც ღვთის ბძა-  
 ნება და არც ჭსჯულის რიგია... დიად ღვთის უამებელი საქმე  
 შეიქნება... უმისარუროდ აქ ულუფის ჭამა ჩვენგან ძნელია...  
 ამას გეხვეწებით მანდ (პეტერბურგში) დიდის ხელმწიფის  
 (პეტრე-ის) საფლავზე, რითაც ჩვენი სამსახური იყოს, ისე გვიძ-  
 სასურეთ»... <sup>11)</sup> სინოდმა არ შეიწყინარა მისა თხოვნა, მაგრამ  
 წიკვას ნება მისცა მოსკოვში. 1732 წ. 22 აგვისტოს ნი-  
 კოლოზ მიიტკადა მოსკოვში, დანარჩენი მისი ქონება და ჟა-  
 მაგირი (191 მან და 11 კაპ.), მეფე ვასტანგის შუამავლო-  
 ბით, რუს მთავრობამ მისცა განსვენებულის ძმას, დიმიტრი  
 ორბელიანს, <sup>12)</sup> რომელსაც თვალ-საჩინო ადგილი ეჭირა რუსის  
 სამხედრო სამსახურში. <sup>13)</sup> —მეორე უფრო თვალ-საჩინო მე-  
 შაგი ქართულ საღმრთო წიგნების გასწორებისა, როგორც  
 ვსთქვით, იყო კვიპრიანე სამთავნელი ეპისკოპოსა, რომელ-  
 საც «მტირედისა ჩისამე, (როგორც თვით იტყვის), ბერძულთა

<sup>9)</sup> Арх. св. Синода 1725 г. № 192.

<sup>10)</sup> «ივერია» 1884 წ. № 2 გვ. 38—40.

<sup>11)</sup> Арх. св. Синод. 1727 г. № 156.

<sup>12)</sup> ibid. 1734 г. № 300 (въ справкѣ).

<sup>13)</sup> «ივერია» 1882 წ. № 2. ჩვენი წერილი: «დავით გურამი-  
 შვილი და მისი დრო».

წიგნთა და ენისა სწავლულ იყო იერუსალიმის პატრიარქ დოსათეოსთან. ამ უკანასკნელ პატრიარქს დასდევდა იგი მის საქართველოში მეოფობის დროს. წიგნების გასწორებას მან მიჭყო ხელი 1712 წ. ქართლის გამგებელის ვახტანგ მეფის ძმის სვიმონის დროდგან, რადგან მაშინ თვით ვახტანგი სპარსეთში იმყოფებოდა. 1716 წლის შემდეგ, როდესაც სვიმონის მაგიერ ბაქარი დაინიშნა საქართველოს გამგებელად, როგორც სჩანს დაბეჭდილი წიგნების წინასიტყვაობათაგან, მან შესწევად თვისი შრომა; ამის შემდეგ წიგნების გასწორება მიენდო ისაკ ნიკოლოზ მროველს. — დანახეხენნი მოსსენებულნი პაწნი მხოლოდ ეხმარებოდენ ამ ორთა.

რაში მდგომარეობდა მათი შრომა? როგორც სჩანს მათ წინასიტყვაობათაგან, რომელნიც ჩართულია მათგან დაბეჭდილ წიგნებში, ისინი მხოლოდ ამოწმებდენ ქართულ ხელნაწერ საღმრთო წიგნებს ბერძნულ დაბეჭდილ წიგნებთან და მართავენ იმ ადგილებს, სადაც განსხვავება, მეტ ნაკლებ სიტყვა ან ასო, აღმოჩნდებოდა. უკრე გაიძარცა, მაგალითებრ, წმიდა სახარება ნიკოლოზ რუსთველდს ხელითა ადიდის ჭიკითა ბერძენთა და ბეჭდის სახარებათა შემოწმებითა. ნიკოლოზს ამ რიგად გაუსწორებია, მაგალითებრ, ყაშნი 1710 წ., ლოცვანი, კონდაკი (იმავე წელს), პარაკლიტონი 1720 წ., ძველ აღთქმიდგან ამეფეთამდის და სხ. სახარებას ნიკოლოზმა ჩართულ ვრცელი საძიებელი, რომელიც ახრც ერთს ენაში არ იყო. — ამ რიგადვე ასწორებდა საღმრთო წიგნებს კვიპრიანე გარნა გურთხევანის წიგნი მას ხელახლა თვით უთარგმნის ბერძნულით, რადგან ქართულ გურთხევანში დიდი შეცდომები და მეტ-ნაკლებუკვანება აღმოჩენილსა თარგმნაში. შესწორებაში მას ეწეოდა არქიმანდრიტი სერგიოზი, ბერძნულში განვითარე

ბუღა შირი. ეს კურთხევანი დაბეჭდა 1713 წ. <sup>14)</sup> კვიპრიანესგან დაბეჭდილ წიგნთაგან ჩვენ გვისახავს უამნი (მეორეთ დაბეჭდილი 1713 წ.) და საწინასწარმეტყველო, თუმცა, უგზავლდა, მან მრავალა საეკლესიო წიგნები გაასწორა და დაბეჭდა.

გაჩდა მოსსენებულის წიგნებისა ჩვენ გვისახავს ვახტანგ მეფის სტამბისგან გამოსული: 1. «ვეფხვის ტყაოსანი», დაბეჭდი-

14) იხ. წინასიტყ. კურთხევანისა 1713 წ. რადგან ეს წინასიტყუაობა არ არის ინტერეს მოკლებული ჩვენის ისტორიის მოყვარეთის, მოგვყავს იგი აქ: «ოდეს სუფევდა თვისსა სამეუფოსა შინა... მეფე ჯანტანგ იგულისმოდგინა და მოიყვანა ვლახეთით მესტამზე მიხილ და გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათა. მრავალცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი. რამეთუ არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა სტამბა და ხელითა წერითა მწერალთაგან საღმრთონი წერილნი ჩვენნი განრყენილ იყვნენ. მას უამსა ოდეს განაგებდა საქართველოსა მათი სასურველი ძმა ბატონისშვილი... სვიმონ, ამათ მიერ შებრძანა მე, სამთაუნელ კვიპრიანეს, ბერძელთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებთა შემოწმება. რამეთუ მცირედისა რისამე ბერძელთა წიგნთა და ენისა სწავლულ ვიყავ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთანა. საუკუნომცა არს სახსენებელი. მათი რომელიცა ძალმედვა თავით ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე სიტყვა თუ ასო მეტ-ნაკლებობა და რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე იგინი, რომელნიცა უწინარეს წიგნნი დაიბეჭდა. და აწ კურთხევანი, რომელიცა ბერძელსა კურთხევანსა შინა წერილ იყო სრულიად უნაკლულად გარდმოსწერე. ხოლო რა უამს გარდმოსწერდით ჩვენსა ენასა ზედა პირველთა მათ წიგნთა და შემდგომსა ამას, სხვანი წმიდანი მამანი საქართველოსანი ჩვენსა ენასა ზედა შესწორებასა გვემარებოდეს და დაბეჭდეთ ბრძანებითა და წარსაგებელითა საფასეთათა ქრისტეს მოყვარისა საქართველოს კეთილად განმგებელისა ბატონისშვილის სვიმონისათა. მრავალცა არიან წელნი

ლი 1712 წელს თვით მეფის გასტანგის წინასიტყვაობით. ეს წიგნი ეხლა ძნელი საშოვნელია, რადგან ქათალიკოსმა დომენტი III და შემდეგ თვით განათლებულმა ქათალიკოსმა ანტონიმ (პირველმა) და მრავალთა სამღვდელთაგანთა დევნა დაუწყეს მას და მრავლად დასწვეს, <sup>15)</sup> 2. სწავლა, თუ ვითარ ჭმარებეს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა (1711 წ.); შემოკლებით თქმული ზე გარბიებული გერმანე მღვდელმონაზონისაგან; 3. დაუჯდომელი მხედრულად დაბეჭდილი ქაისოსროს დროს (1710—1712 წ.) და 4. «ქმნულების წიგნი» ანუ «აიათი», თარგმნილი სპარსულიდან ქართულად მეფე გასტანგის მიერ.

ცხოვრებისა მათისანი.—უკეთუ ვინმე თქვას, რაად გვიხმდა ახალი-გადმოთარგმნილი, რამეთუ პირველთა მთარგმანებელთა წმიდათა მამათაგან გვაქვდა გადმოთარგმნილი, ჭეშმარიტად მათ წმიდათა მამათა ყოველივე ჩვენნი წიგნი უნაკლოდ გარდმოთარგმნეს, არამედ მწერალთა მიერ განრყენილ იყო, ვითარცა თვით ივინივე წმიდან მამანი წამებენ დავითის ბოლოში—და „მეფეთა“-ცა, ვითარცა შემოწმება და გასწორება გვიბრძანეს და ვერ ურჩ ვექმენით და აღვასრულეთ შეწევნითა ღვთისათა ბრძანება მეფეთა. აწ, გვედრებით... შემოქმულთა მათ მეფეთათვის ლოცვასა აღასრულებდეთ და ამისა შემდგომად ნაღვაწისა ამისთვის ჩემ ცოდვილისათვისაცა შენდობას ბრძანებდეთ... შემდეგ დაბეჭდილია ლექსი:

«დავითის ნათესაობით სვიმონ არს გამგებელია;  
დავითისებრი უფლებად ღმერთმან სცხოს საცხებელია.  
დავითისგამო მფარველ არს ქალწულის ღვთისმშობელია.  
და ვით გოლიათსა მათ მტერთა ნუ მისცეს საშვებელია».  
«ღმერთო, შეიწყალე კვიპრიანე».

<sup>15)</sup> იხ. «ივერია» 1884 წ. № № 2 და 3. ჩვენი წერილი: «მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამეხელი და ქართულის სტამბის საქმე».



დაიბეჭდა მსედრულად (153 გვ.) ტფილისში 1721 წ.; <sup>16)</sup> შინაარსი წიგნისა არის სპარსული ვარსკვლავთ-მრიცხველობა, მოკლე გეოგრაფიული და გეომეტრიული ცნობები. 5. გურთსება ეკვლესიისა და ოდიკისა 1720 წ.

ესეი არ არის, რომ ვასტანგის სტამბიდგან მრავალი სხვა წიგნებიც დაიბეჭდა, მაგრამ იგინი ჩვენ ჯერ ვერ ვიპოვეთ. საეკლესიო წიგნები თითქმის ყველა დაიბეჭდა გარდა თთვენისა და დაბადების წიგნისა. ამ უკანასკნელი წიგნიდგან დაიბეჭდა ძველი აღთქმა, გარდა ზიძაქისა, იუდეოთისა, ეხდრა—ნემიისა და მაკაბელთა. ზოგიერთი წიგნები მეორე გამოცემით გამოვიდნენ (მაგალითებრ: უამნი 1713 წ., ლოცვანი 1717 წელს).

1712 წელს შესამჩნევად შეიცვალა ბედი ქართულის სტამბისა. ამ წელს ვასტანგ მეფე სპარსეთში წავიდა და, რა-

<sup>16)</sup> რადგან ამ წიგნის წინასიტყვაობა, თვით ვასტანგ მეფისაგან დაწერილი, გამოსადეგია ჩვენის ისტორიისათვის, საჭიროდ ვრაცნთ უმეტესაკლებოდ მოვიყვანოთ: „იტყვის წინასწარმეტყველი დავით: „მე ვსთქვი განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს“ და თვით უფალი ბრძანებს: „არა ვინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი“, არა თუ ამისთვის არს ბრძანება ესე, ვითარმედ ყოველი კაცი ცრუ არს,—ნუ იყოფინ; არამედ ვერ ვის ძალუძს, თვინიერ მის მიერ მოვლინებულთა, სწორებით ცნობად საქმეთა უფლისათა და არცა ვინ არს ჭეშმარიტებით მცნობელ ამისა, რომელ არა იპოვა ამა შინა სიტრუევე; არამედ რავდენთა მიეცა სიბრძნე და გულისხმისყოფა და მათ წყალობა იგი პატიოსანი უპატიოთა ზედა საქმეთა არა იპრომეს და რაოდენთა ძალ-უძლეს მისვე ქმნულთა მიწდომად დაშვრეს და განმარტნეს ფილოსოფოსთა მრავალ მეცნიერებანი და მათნი სწავლანი და ესეცა ვარსკვლავთ რიცხვა ერთი მათგანივე არს, და საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოხრებულ იყო და არღარა

გორც ეტყობა, უმთავრესი მესტამბე მისილ უნგრულანსელ-  
მაც დასტოვა, ვგონებთ, საქართველო. ეს მანც ვიცით, რომ  
ამის შემდეგ ის წიგნთა ბეჭდვაში მონაწილეობას არ იღებს.  
ამის შემდეგ მესტამბეთ იყვნენ ქართველნი: გორგი მსატყარი,  
რომელიც შრომობდა სტამბაში 1790 წლიდგან 1721 წლამ-  
დის, კარის დეკანოზი მიქელ (1713 წლიდგან) და ძველელი  
გაბრიელ, გარსევან უოფილი (სჩანს 1717 წლიდგან), ვასტანგ  
მეფის წასკლის შემდეგ, სტამბას ხელს უწყობდა მისი ძმა სვი-  
მონ, რომელმან თავისი სარჯით დაბეჭდა, რაგორც მოვიხ-  
სენიეთ, მრავალი წიგნები (1713—1714) წ.) მაგრამ რადე-  
საც (1714—1716 წ.) გამგეთ ქართლისა დანიიშნა მეორე  
ძმა ვასტანგისა, იესე, სტამბა, ვგონებთ, შეჩერდა და მხო-  
ლოდ იესეს განდენის შემდეგ (1716 წ.), ვაგტანგ მეფის  
ძის ბაქარის გამგეობის დროს (1716—1717), სტამბამ ისევ  
იწყო მოქმედობა, რომელიც არ შეჩერებულა 1723 წლამდის,  
რადესაც მეფემ დაჭკარვა ტახტი და 1724 წ. რუსეთში გა-  
დავიდა.

დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა, და  
სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ და აწ მეფემან მეფეთამან  
ვაგტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგ-  
ნი, ზიფი, თალა, მასალა და სხვა ოქმების წიგნი ვთარგმნე მირზა  
აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და  
სტროლობიც ქართულად გამოვიღე, ნუ უკვე ისწავლონ და წადიერ  
იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა  
ენითა ფილასოფობა და გამოილონ. და ჩემთვისაც შენდობის მოქენე  
ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს, ვითარმედ მრავალნი ჭირნი  
მინახვან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურება დამიკ-  
ლოეს.

ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწვია სტამბას ამის შემდეგ. თან წაიღო ვასტანგმა თავისი სტამბა, თუ დაგდო იგი აქ, საქართველოში? ერთიღა მცირე საფუძველი გვაქვს მაკვამროთ იმ აზრს, რომ სტამბა ვასტანგისა, საქართველოში დარჩა. როდესაც მეფე ერეკლემ (რომელშიაც დაკრწმუნდებით ჩვენ ქვემო ამისა) განაახლა სტამბა 17 . . . წ., სხვათა შორის მოხმარებულ იქმნა, როგორც სწერს ერთი მესტამბეთაგანი მეშჩიბი დავით ყოჩლანიკი, მეფე ვასტანგის დროინდელი სოგირითი იარაღები. <sup>17)</sup> მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ამ სტამბაში წიგნები არ იბეჭდებოდნენ, ალბათ, იმ მიზეზით, რომ ის დაზიანებულ იყო 1724 წელს, როდესაც თათრებმა ტფილისი აიკლეს.

## II.

### ქართული სტამბა რუსეთში.

მე XVIII საუკუნეში გაიხსნა ქართული სტამბა აგრეთვე რუსეთში: 1) იოსებ, სამებელის მთავარეპისკოპოსისა, ვასტანგის ძის ბაქარისა 2) ათანასე, ტფილელ მიტროპოლიტისა, 3) გაილზ ასტრახანის მთავარ ეპისკოპოსისა და 4) იოანე ხარჭაშენელისა.

რადგან იოსებ სამებელის და ბაქარის სტამბასედ ვრცელი გამოკვლევა არის დაბეჭდილი, <sup>18)</sup> ჩვენ საჭიროდ არა ვსთვლით

<sup>17)</sup> «КВКАЗЪ» 1846 წ. № 48 (გვ. 192).

<sup>18)</sup> „ივერია“ 1884 წ. № 2 და 3 სტატიან: „მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი“.

ამ სტამბაზე გავაგრძელოდ ლაშაჩაკი. მაგრამ ესარგებლავით შემთხვევით რამდენადმე შევამსოთ და გავასწოროთ იქ მოყვანილი ცნობები. იოსებ სამებელმა გააკეთა სტამბა მოსკოვში 1738 წელს, 15 ივნისს <sup>19)</sup> თავისი სარჯით. სტამბის განწყობა მიანდო მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს (გურამი-შვილს). წიგნების გასწორებაში შრომას იღებდა, ქრისტეფორეს გარდა, დარქვანის არჩილის ასულის კარის მღვდელი გიორგი ღამბარისვილი, ხუცეს მონაზონი დავით სოსნაშვილი, არქიმანდრიტი ეფთიმი, ძმისწული იოსებ სამებელისა <sup>20)</sup> მელქისედეკ კაკასიძე, მდივანი მეფის კასტანგისა, რომელიც მსოფლივ დაბადების გამოცემაში იღებდა მონაწილეობას, არქიმანდრიტი გერმანე; ეს ის გერმანეა, რომელიც ტფილისში კასტანგის სტამბაში მუშაობდა 1709 წ. და ნიკოლოზ, მღვდელმონაზონის ხარისხში, ესმაჩებოდა წიგნების გამართვაში. როგორც სჩანს ის კასტანგს გარდაყოლია რუსეთში, სადაც მიუღია არქიმანდრიტობა; <sup>21)</sup> აგრეთვე ამ უკანასკნელის ძმისწულიც. მღვდელი მოსე მონაწილეობას იღებდა წიგნების გამართვაში (ის წინასიტყვაობა სახარებისა 1739 წ., და მეფისშვილი კასუშტი. ქართულს წიგნებს მართავდენ რუსულზე ანუ, უკეთ ვსთქვათ, სლავიანურზედ. რადგან ქართულს (განსაკუთრებით ზატიკს, ლოცვანს და მარხვანს) ბევრი ლოცვები და რიგი აკლდა, და-

<sup>19)</sup> წინასიტყვაობა „სახარებისა“ 1739 წ.

<sup>20)</sup> ამას გადაუთარგნია რუსულიდამ ქართულად კონდაკი 1740 წელს, რომლის ბოლოზე აწერია: „ღმერთო, ღირს მყავ ჩემის ქვეუნიხ ნახვას.“

არქიმანდრიტი ეფთიმი“.

<sup>21)</sup> იხილე ზატიკის წინასიტყვაობა 1738 წლისა.

საკლისი გადმოთარგმნეს პირდაპირ რუსულთ. ამ რიგად გასწორდა და 1738—1740 წლებში, იმპერატრიცა ანნას დროს, გამოიცა დავითნი, ზატაევი, სახარება, <sup>22)</sup> მარხვანი, უამნი, კონდავი, სრული ანბანი და სხვ. ამ უკანასკნელს წელს გარდაკეთდა იოსების სტამბა ბატონიშვილის ბაქარის დახმარებით და სოფელს ვესესიატსკაში (მოსკოვის ახლო) განაგრძეს სხვა წიგნების ბეჭდვა. დაიბეჭდა, მაგალითებრ: მარხვანი 1741 წ. (ქორონიკონი კი უზის უკლ), ლოცვანი 1743 წ. სრულის ქორონიკონებით, ზედნადებით, გინკლოსით და 12 თვის (სეკტემბრიდამ დაწეუბული) კაღესდართ, დამასკელი იოანე, 1744 წ. კონდავი, სამღვდელმთავრო უამნი, დავითნი და სხ. ამავე დროს გამოვიდა, სრული დახადების წიგნი (იხ. ამაზედ გამოკვლევა «ივერია» 1884 წ. № № 2 და 3). გარდა ამ უკანასკნელის წიგნისა, რომელიც დაიბეჭდა, კვანებით, ბაქარის ხარჯით, ყველა იბეჭდებოდა იოსებ სამეხელის ხარჯით.

სტამბა სამეხელისა და ბაქარისა მოქმედობდა 1747—1749 წლამდის. 1750 წელს გარდაიცვალნენ სამეხელიც (1 სეკ-

<sup>22)</sup> ამ სახარების წინასიტყვაობაში სწერია... საფასეთა და წარაგებელითა არქიეპისკოპ. იოსებისათა გაკეთდა საბეჭდავი ესე მოსკოვს ქორონიკონს უკვ (1738 წ.) ივნისის 15... იმავე წარწერისაგან სჩანს, რომ სახარება დაუბეჭდიათ უმეტნაკლოდ „ჩვენის (ე. ი. ვანტანგის სტამბის 1709 წ.) პირველს სტამბის სახარებაზედ, თვინიერ მისის სძიებელისა; ხოლო სამიხელი რუსული ვამეობინეთ ადვილად პოვნისა და მიხდომისათვის“.

მოგვყავს მარხვანის წინასიტყვაობა, ჩვენის მეთრორიეთათვის გამოსადეგი: „ოდეს იპურობდა და განაგებდა... იმპერატრიცა ანნა იოანესი, მას უამსა იგულისმოდგინა... სამეხელმა იოსებ და მიბრძანა მე მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს სტამბის გაკეთება და გაგაკეთებინე სტამბა დიდითა გულის-მოდგინებითა და წარგებითა საფასითა

ტემბერს, სანატორიუმს) და ბაქანოც (თებერვას, მონკოვში) და სტამბა სრულიად დაიხურა. სამებელმა რამდენიმე ნაწილი სტამბისა თან წაიღო (ასოები და დაზგები), რომელიც ან. დეკმით შესწირა ნათლისმცემლის მონასტერსა. <sup>23)</sup>

მისითა და დაიბეჭდა დავითნი, ზატიკი და სანარება და მერმე... ვიღ-  
ვაწუთ წმიდისა ამის მარხვანისა მე... ქრისტეფორემ და კურთხეულის-  
მეთის არჩილის ასულის დარეფანის კარის დეკანოზმან გიორგი ღამ-  
ბარაშვილმან და სხვათა ვიეთთა მოწმობითა და შეწევნითა მოვიღეთ  
რუსული მარხვანი და ოთხი ჩვენის ენისა და როგორც რუსული ტი-  
პიკონი და რიგი უჩენდა ისე იმ რუსულს მარხვანზე ვასწორეთ და ისე  
შევეკრიბეთ ნუსხითა ამ ჩვენს მარხვანში სამწუხრო და საცისკრო მუხლ-  
ნი ზოგი მთლად ეწერა და ზოგს სძლისპირის მუხლს აკლდა და  
ეკრეთვე სამწუხროსი და წარდგომის მუხლს ვეძებდით? და თუ რომელსამე  
იმ ოთხს მარხვანში ვერ ვიპოვნით გიორგი მღვდელი გადმოთარგ-  
მნიდა და გავასწორებდით და თავის ალაგს დავსწერდით და ჩაუ-  
რევდით. თუმცა ძილის-პირზე წინწილის მიცემა არ შეგვეძლო ზოგს  
ერთს ნიშანიც უზის შესატყობლად, რომე ახალი მუხლია ამ გვარი  
ყვაილი უზის \* და ზოგს კი ვერ დაუსვით და დაგვრჩა და საწი-  
ნასწარმეტყველოს ვინემდის ვიშოვნით იმავე ჩვენის მარხვანიდამა  
ვსწერდით და თავს და რიცხვს რუსულიდამ ვამოწმებდით და როცა  
ჩვენი საწინასწარმეტყველო ვიშოვნეთ თფილისის ქალაქს დაბეჭდი-  
ლი, მერმე სრულ იმაზე ვაწერინეთ: გასწორებული იყო და იმას მიუ-  
ყვეთ..... სწავლულთა და მეცნიერთა ვევედრებით... ჩვენზე უდრე-  
ვინველად ყოველი ცთომილება ამ წიგნისა... გამართეთ“.

<sup>23)</sup> Арх. Св. Св. 17. . . № 18. „ივერია“ № 3 გვ. 87  
სტატია: „მთავარეპისკოპ. იოსებ სამეხელი“.

## მალეზის ზანათელის უმსახეზ,

წერილი პროფესორის ტარასოვისა.

(დასასრული \*)

ქალების საშუალო სასწავლებლის საფუძვლად რუსეთში არც ყოველ-მხრივი ცოდნაა, როგორც ინგლისში, არც შრომ-ქვათონაღური, როგორც გერმანიაში, არც ერთიც და მეორეც ერთად, როგორც საფრანგეთში ასალი განონისამებრ, და არც ასეთი წესი, რომ თავისუფლად შეეძლოს სასწავლო საგნების ამოწმება, როგორც ამერიკაშია. ამიტომ ჩვენი ქალები საშუალო სასწავლებელს რომ ათავებენ, კერძ უმაღლეს სასწავლებელში შედიან და კერძ ოჯახობას კვიდებიან. ქალების განათლებას ჩვენში მამა-კაცური არ არის, რადგან მისი პროგრამის სულ სხვაა. თუმცა უკანასკნელ დროში გიმნაზიაში და ინსტიტუტში მოსწავლე ქალები ისე აღარ არიან ცხოვრებასა და ხალხს მოშობებულნი, როგორც უწინ, მაგრამ რადგან ამ სასწავლებლებში აღზრდა ისე არის მოწყობილი, რომ მოსწავლენი საფუძვლიანს სწავლას კერ იძენენ, საიდგანაც დაჭებენ ჩარი, იქით იდრიკებიან. სკოლის და ოჯახის შორის ნაკლე-

\* «ივერია» № 9, 1885 წ.

ზად არის თანხმობა და უფრო მტკივნეულ — საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთ შორის; ამ უკანასკნელ საგნის შესახებ მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა.

ჩვენს დროში ქალების საშუალო განათლება საკამათო საგნად აღარ ჩაითვლება. აღარ არიან იმისთანა გამბედაობის პირობები, რომ ამბობდნენ — ქაღის ხვედრი უმეტესად არის. თუმცა მისი მომხრენი და მოწინააღმდეგენი აღარც არიან, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ არ არის, ვითომ პირველთა საჭიროდ მიანსდეთ ქალების განათლება, და მეორეთა კი — მანებლად, განსხვავება ის არის რომ მომხრენი ცხადად გუბნებენ, სადამდის უნდა მიღწეულეს სწავლა და მოწინააღმდეგენი კი ვერ ამბობენ, რამდენად ნაკლებ უნდა იყოს ქალი კაცზედ განათლებული. მაშასადამე ამ საქმეზედ ბასით თვით განათლებას არაინ არ უარ-ჭეოთ და მხოლოდ სადავიდარბოდ ის არის გამოსდარი, რა უნდა ჰქონდეს საგნად ქალების განათლებას, და რა წესით უნდა სწავლობდეს იგი. ეს თქმის საშუალო განათლებაზედ. უმაღლეს განათლების საჭიროება კი ახლაც გაცხარებულს ბასს გამოიწვევს ხოლმე. ბევრია მისი მოწინააღმდეგე. ამ საგნის გადაწყვეტაზე და მოკიდებული ისიც, იქნება როდისმე ქალი უფლებებით თანასწორი კაცისა, ნება ექმნება ახრუფოს უკვლავ საქმე სწავლაღება რივ ცხლვრებაში, განთავისუფლება როდისმე მამა-კაცთა კანონ-მდებლობისაგან, თუ არა? რასაკვირველია, უმაღლესი განათლება ქალებისა საშუალო განათლებას მოწვევტილი არ უნდა იყოს, რადგან განათლება თავიდან ბოლომდის წეობილ სისტემას უნდა წარმოადგენდეს და არა ურიგოსა და უწესო საქმეს, რომელსაც მუდამ შეკუთება ეჭირება. ამიტომ, სცა კი არსებობს უმაღლესი განათლება, იქ საშუალო მისთვის უნდა



ამზადებდეს, თუმცა, ამასთანავე იგი არა ჭკარგავს თვის საკუთარ მნიშვნელობას. მასთანადმე, უმაღლესის განათლების საქმია გადაწყვეტით, გადაწოდება საშუალო სასწავლებლის პროგრამამ და სისტემამ, მოსამზადებელი სწავლის წესიცა და ვითარებაც.

ფიზიოლოგიით და ანატომიით ამტკიცებენ, რომ ქალის ჭკუა ეერ შექმლებს უმაღლეს მეცნიერების შესწავლას და თვით აკებულება ქალისა ისეთია, რომ ყოველ ნაირ საქმისთვის არ გამოდგებაო. პირველის აზრის უსაფუძვლობის დასამტკიცებლად ფაქტები არის, რომ ქალს კაცზედ ნაკლებ არ შეუსწავლია მეცნიერება; ამას გარდა მის უსაფუძვლობას ამტკიცებს სპეციალური გამოკვლევა ერთის საზნარლამენტო კომისიის ინგლისში და სპეციალურად გამოთქმული აზრი რამდენიმე პროქესორისა, რომელნიც უნივერსიტეტში ქალებსაც ასწავლიდნენ. ქალების ჭკუის ნაკლებეკანებაზედ მითითებას, თუ ეს მართალია, მაშინ ეჭნება დასამტკიცებელის საბუთის მნიშვნელობა, როცა ნამდვილად გამოიკვლევენ, რომ ეს გარკმობა არ არის შედეგი ცუდათ წარმოებულის საშუალო განათლებისა. როგოი ფიზიოლოგი ამბობს, ქალს საშუალოდ ტვინი ნაკლები აქვს, ვიდრე კაცსაო. მაგრამ ჯერ ერთი, რომ ტვინის წონით და სიდიდით მართო მაშინ შეიძლება გონების ძალა გავსინჯოთ, როდესაც მათ შეკადრებთ მთელის ტანის წონას და სიდიდეს. და ამ მსრვი კი არც ერთი სეირანი გამოკვლევა არ ყოფილანარც კაცის და არც ქალის შესახებ. შემდეგ, ტვინს, როგორც ამტკიცებენ თვით ფიზიოლოგები, განვითარება შეუძლიან, და მასთანადმე, თუ ახლა ქალს ტვინი ნაკლები აქვს, ვიდრე კაცს და, უფრო ცუდით, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგში ეს განსხვავება განქრება, კარვის განათლების საშუალებით. ამ შენამუნას უფრო ქალის ტვინის სარკებლოდ

ამბობენ ვადრე სამტრედი: რამდენი საუკუნეა, რაც ქალი უმეტრებაში და სიბნელეში იმყოფება, და კაცის განათლებას ვაზრუნავს სასოგადოება და სახელმწიფო და მანტ მათ ტრინთა შორის განსხვავება ისეთი მტრე არის, რომ არც კი დიანსათქმელად. თუ არა და, ნუ თუ ბუნებამ, უკლავრის ბრძნულად მომწეობმა, ქალს საუკუნოდ უმეტრება არგუნა წილად? მე მგონია რომ ტრინის ნაკლებულება შედეგის მის საუკუნეთა განმავლობაში დახვარულის მდგომარეობისა, როდესაც არა ჭკონდა არავითარი ვარჯიშობა, და არა მისი სსუელის აკებულობისა. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ქალის სსუელი ვერ შესძლებს ყოველნაირ მოქმედებას, ამას არღვევს მრავალი მაგალითი, ისეთის ბეჭითობით შეტრევილი მილლისაგან. ბუნებაზედ ჭკვიანნი სომ არ არიან ამ აზრის მთქმელი ანატომები: — ბუნებამ არავითარი განსხვავება არ დააწესა დედალ-მამალ-ცნოკელთა მოქმედების შორის, სშირად დედალი მამალზედ მეტსაც აკეთებს. ამიტომ მე ამ მხრივ არავითარ განსხვავებას არ ვხედავ ქალსა და კაცს შორის. ხემის აზრით, ქალებს უმაღლეს განათლებასზედ სჯა სასოგადობრივის და გულტურულის მხრით უნდა იყოს და არა ანატომიურისა და ფიზიოლოგიურის მხრით, მით უფრო რომ ფიზიოლოგიისა და ანატომიის წარმომადგენელი ძალიან შორს არიან ერთმანეთზედ ამ საგნის შესასებ და ამით უფრო ცხადად ამტკიცებენ თვის უღონობას.

მრავალია სოციალური საგანი, მაგრამ არც ერთს მათგანს არა აქვს ისეთი მნიშვნელობა ხალხთა ისტორიულ ცნობებისთვის, როგორც ქალების უმაღლესს განათლებას, თუმცა იგი ყოველთვის უუურადლებოდ ყოფილა და არის ახლაც დატოვებული. ამ საგანს ისევ ძელებურად უუურებენ, იმ ან-

დაზისა არ იყოს: «შეჩვეული ჭირი მიჩნეწია, შეუჩვეულ ღსინ-საო.» უოველი ნახიჯი წარმატებისა ბრძოლას ცრუ-მოწმუნობებსა და ძველის შესედულების წინააღმდეგ, და თუ ქალების განათლების საქმემ უფრო მედგარი ბრძოლა გამოიწვია, ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ ამ საგანს უბირველესი ალაგი უჭირავს კაცობრიობის წინ-სვლასში.

საზოგადოებრივის და გუელტურულის მხრით უფურცებენ ქალების განათლებას მის მოწინააღმდეგენი და შემდეგ შენიშვნას გააძლევენ: «უმაღლეს განათლებით შეიწყევს ოჯახი — საფუძველი საზოგადოებისა, წადგან მასშინ ქალი ველარ შესლებს კარგს ცოლობას, დედობას და შვილების აღზრდასაო». ამ შენიშვნას უფრო გერმანიელები იძლევიან, მაგ. კრენბერგი. საზოგადოდ იქ ძალიან მტრულად უფურცებენ ქალების უმაღლეს განათლებას. მხოლოდ თითო-ორჯო უნივერსიტეტი ან ქა-გუელტეტი აძლევს ქალებს სწავლის ნებას, მაგ. გეტტინგენის უნივერსიტეტი. თითქმის აგრევე უფურცებენ ამ საგანს საფრანს-გეთში, თუმიცა 1861 წ. სობონსაში დააფუძნეს ქალებისთვის უმაღლესი გურსები მინისტრი დიურეის მეცადინეობით; აქ 1861—1882 წლამდის 138 ქალმა მიიღო სსკა და სსკა ხა-რისსი სწავლულობისა ბაკალავრიდგან დაწყობილი დოქტორობამდის. ეს რიცხვი, წასაკვირველია, სოულ არაფერია, მეტადრე ამერიკას რომ შევადაროთ, სადაც მრავალი ქალია, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ. ამერიკაში ქალი მასწავლებლობს, (მარტო ერთს ნიუიორკის შტატში 30,000 ქალია — მასწავლებელი) ექიმობს (ქალებს საკუთარი საქმიო სკოლა აქვსთ); მისდევს მეცნიერებას, ხელოვნებას, ქადაგებას, ადვოკატურის, სასულმწიფო და საერო სამსახურს, პოლიტიკას; სამსახური აქვს ხაზინაში, ტელეგრაფში, ბანკში, ფოს-

ტაში, პოლიციაში, ვაჭრობს, მართავს რეინის გზებს (მისსურის შტატში) სტამბებს, წიგნებს ბეჭდავს, მამულებს იღებს იჯარით და სხვ... მაშასადამე ეს შენიშვნა გამტყუებელია თვით გამოცდილებით. გამოჩენილი ლიუტისის პრეზიდენტი (ბელგიაში) ტროზენსტერა ამტკიცებს, რომ ქალი იმასვე უნდა სწავლობდეს, რასაც ვაჭირ, და სხვათა შორის ასახელებს იმ ფაქტს, რომ ყველა გამოჩენილ პირს, გამოჩენილი დედა ჰყოლია, რომ ვაჭრის აღზრდა დამოკიდებულია მის დედის აღზრდაზე და აღზრდის ნაწილი სომ განათლებაც არის. დედის გაკლენა მთელს სინტრესლეში ეტეობა ვაჭრს და, რაღა თქმა უნდა, რამდენათაც დედა განათლებული არის, იმდენათ შეიღი მომორბეული იქნება უზნეობას, მანვე წაიღოს და სხ. ამისთანა დედა თვის ქალს ტიგინათ არ გაზრდის და ვისმე უსანიდისოს და გარყენილს არ მიათხოვებს. კარგად აღზრდილი დედა, შეილებსაც კარგად აღზრდის, როგორც კარგი ვაჭრი შემდეგ კარგ მამათ გასდებს. დედას შეუძლიან დიდა სარკებლობა, მაგრამ დიდი ვნებაც შეუძლიან მოუტანოს შეიღს; ეს იმაზედ არის დამოკიდებული, რა მისწრაფებით არის სახეს მისი სინტრესლე და რა ღონისძიება მოეძებნება: მატერიალური, გონებრივი და ზნეობრივი, ესე ყოველივე ბუნებით არ ეძლევა დედას, არამედ იმ განათლებით და გამოცდილებით, რომელსაც იძენს სკოლაში, სახლში და საზოგადოებაში. სასარკებლო მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეებში შეუძლიან მართლ იმ ქალს, რომელიც მეტნიერულად მომზადებულია, და შეუძლიან ცხოვრების გაგება და შესწავლა. ამბობენ, თუ გვიანდა აღზრდა ერთმხრივი არ იყოს, შეილები ქალისა და ვაჭრის ზედამხედველობის ქვეშე უნდა აყვანდეთ; თუ კი ეს ასეა, მაშ რათ უნდა იყოს ქალი განათლებული და

ქალი ვი, რომელიც იმავე საქმის აკეთებს, მხოლოდ ოდნავ მტოდნე ანბანისა? ვინ იტყვის, რომ განათლებულიც იაკე კარგად აღზრდის შვილებსა, როგორც განათლებული და რომ ის არ იჭიკება მიზერია მათის გარყვნილებისა, ზარმაცობისა და სხ. ვინ არ იტის, რომ მომავალ თაობის აღზრდას ხელს ჰკიდებს მხოლოდ სხვაზედ მეტად განათლებული ქალი და, თუ რეკვენმა ვინმემ მოსჭიდა ხელი ამ საქმეს, მის შედეგით ბაღე გამოჩნდება ხოლმე. მაშასადამე, თუ ვი განათლება არ უშლის ქალს ხელი მოჭვიდოს სხვის შვილებას აღზრდას, რადღა დაუშალოს თვის შვილების აღზრდას? ვისაც ოჯახის სიყვარული არა აქვს, ეძნელება შვილების აღზრდა ის უგანათლებლობათაც ახეჩხებს, თავისი დრო სულ უბრალოდ გააფუტოს, მაგ. ბანქოს თამაშობაშიდა მეოჯახე ვი ყოველთვის იშოვის დროს, რომ შვილებსაც არა დააკლოს რა და მეცნიერებასაც თავა-ყური ადეგნოს. ბევრი მაგალითია რომ ბანქოს, ღვინის ან სხვის რისიმე სიყვარულით, დედას შვილება სხვისთვის მიეტოვებინოს, მაგრამ ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ესევე ჩაედინოს დედას მეცნიერებას სიყვარულით.

ახლა განათლებული მეუღლე ენახათ. ამბოშენ, უმაღლესად განათლებული ქალი ცუდი ცოლი არისო.

ყველამ იტის, რომ ცოლს თვის მდგომარეობით ოჯახში დიდი გავლენა აქვს საზოგადო და სასკლემწითო ცხოვრებაზედ. რომ მის უსაქმურობას, არაფრის ცოდნას და გარყვნილებას შეუძლიან მაგნებელი გავლენა იქონიოს ცხოვრებაზედ. საშუალებასი, რომელიც ქალის გარყვნილების წინააღმდეგ ხმარობენ, ხშირად ვერ მიახწევენ ხოლმე თვის მიზანს, და მაგნებელნიც არიან, მაგ. კანონი საშუალო საუკუნეებში ქალების უსირცხვილობის, გარყვნილობის და ფულის ფლანგვის წინა-

აღმდეგ. ამისთანა შემთხვევაში ერთადერთ საიმედო საშუალებად განათლება უნდა იყოს. მაგრამ აქ კითხვა იხადება—რისთვის უნდა ისწავლოს ქალმა და რა? ზოგნი ამბობენ, იგივე, რასაც ვატი სწავლობს: თუ კი განათლებული ვატი ისევე ვარკ მამათ და ქმარად რჩება, რატომ განათლებულ ქალს კი არ შეუძლიან კარგი დედობა და მეუღლეობა? მეორენი, უფრო გერმანიელები, ამბობენ, ქალი უნდა საცოლოდ და სადელოდ მოხადდებოდეს და ამიტომ მას სწავლა ვადაც ნაკლებ ეჭირებოდა. მაგრამ, როგორ იქნება ქალის მხოლოდ საცოლოდ მომზადება, როცა სტატისტიკა ამტკიცებს, რომ 40 % მეტი მათგანი არა თხოვდება. ან რის ძალით ამტკიცებენ, რომ ცოლის და დედის ვადებულებას ნაკლები განათლება უნდა, ვიდრე მამისას და ქმრისას? სად არის სამძღვარი ნაკლებისა და მეტის, მით უფრო რომ ცნება «ცოლი» ყველას თავისებურად ეუყრება: ერთს ცოლი მეუღლეთ უნდა, მეორეს საყვარლათ, მესამეს შვილების საყვარლათ, მეოთხეს—ოჯახის მოძველათ, მეხუთეს ცოლი აუცილებელ, უბედურებად მიანია, მეექვსეს—სატანად. მაშასადამე ყველა თავისებურად გადასწევებს მის განათლების მეტნაკლებობას. ასეთი განსხვავება ცოლზედ შესედულებაში, კერძო პირებს კი არა, თვით ხალხებსაც აქვსთ. მას როგორ ვითქვამთ—ამ სამძღვარადის განათლება სასარგებლოა ქალისთვის და მეტი კი მაგნებელია? სუ თუ უბრალო უბედობა და ლაქლაქი, ჭორიკანობა, სამკაულებზედ ზრუნვა, სეირნობა, ბალები და მსკარადები, მეცნიერულის ინტერესის უარყოფა—ყველა ამ შედეგს უარყოფ განათლებისას შეუძლიან მისცეს ქმარს სასიამოვნო მეგობარი და აღმზრდელი შვილებისა? ჭეშმარიტება არის, რომ ოჯახი ქალზედ არის დამყარებული, რომ ზოგი ქმარს სახლისკენ იზიდავს და ზოგი სულ

გარეთ აგდებს, მაგრამ რომელს შეუძლიან ოჯახის მოწყობა და ქმრის მიზიდვა? ნუ თუ ამ საქმისთვის ქალის უმეტრება და გაუნათლებლობა არის საშირო?

ამბობენ, განათლებული ქალი ოჯახს კარ მოუგლისო. ოჯახს ახლაც ვერ უვლიან, იმიტომ ვი არა, რომ განათლებული არიან, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ არაფერი იციან, გრძნობით ცხოვრობენ და არა გონებით. უსაქმურობის გამო მოწყენილობას სწივიან, დროს ოცნებებში ჰგარკავენ. ოჯახის მოუგლელობის მტრები ეს გარემოებებია ე. ი. იგივე გაუნათლებლობის შედეგი. არა სჯობს, რომ ქალი განათლებული იყოს და ესმოდეს, რომ იგი არ არის ქმრის მოსამსახურე და შეიღების გამწვანდედი, არამედ მეუღლე და მეგობარი პირველსა და აღმწვანდედი მეორეთა? მეოჯახობა ვარგია, მაგრამ როგორ გვიყვარდეს ის ქალი, რომელიც თავის დღეში სულ სამზარეულო-ზედ ლაპარაკობს და იმასის, რომ ჩემს ოჯახს ვარეშე, თუნდა ჰქა ჰქაზდეს ნუ დებულაო? სანდასან სისიამოვნოა ცოლისგან გაიგო, ფუთი პური რომორ ფასობს, მაგრამ უფრო სასიამოვნოა, მასთან ერთად საინტერესო წივნის წაკითხვა, საზოგადო საქმეებზედ სჯა და მისგან ცოცხალის სიტყვის გაგონება. პირველს მოთხოვნილებას მზარეულზე დაგიკმაყოფილებს, მაგრამ მეორეს, სულელების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვი მხოლოდ განათლებული ცოლი შესძლებს.

შემდეგ, გარყენილებას გვისახელებენ, ვითომ იგი მცენარეების შედეგი იყოს და თუ ქალი გარყენილია ხომ ოჯახზე იწვევებაო. მაგრამ, ეინ არ იცის, რომ ქალების უმეტესი ნაწილი ანატომიის, ფოტოგრაფიის, ფოლიის და სხვათა სავნების წყალობით არ ირყვება. თუ ქალს საყვარლის უოლა უნდა, იშოვის უფლოდეთაზე და განათლებულ ცოლი.

შესვდ მე კი არა გამიგონია არა. თუ ჩვენს დროში გარყვნილებს ვსვდავთ, არ უნდა მივაწეროთ უმაღლეს განათლებას, რადგან განათლებული ათასში ერთი ძლიერ მოიძებნება. ცოლ-ქმარობაში უთანხმოება ჩვენს დროში სშირია, ძალიან სშირი, მაგრამ ყოველთვის სომ ქალი არ არის დამნაშავე და ეს მოკლეა დაბალ განათლებულს ხალხშიც ისეთივე სშირია, როგორც ძალად ვითომ განათლებულ საზოგადოებაში.

უმაღლესად განათლებული ცოლ-ქმარი ყოველთვის უთანხმოებაში იქნებიან, რადგან ორივე ეცდება უფროსობა დაიხიმოს და ერთმანერთს არას დაუთმობენო. ვის არ გაუგონია, თუ თვით არ უნახავს, რომ ზოგი ვატი ივაწეებს თვის და განათლებულ ცოლის შორის განსხვავებას, და ცოლს თავისუფლებას აძლევს, ყველაში ემოწინილება. და ამის შედეგათვის გამოხდება, რომ ცოლს გამოუჩენია უსამძღვრო თავმოყვარეობა, საშინელი, კელური ეგოიზმი და თვის ჩნებრივ და იურიდიულ კანდებულების შეუგნებლობის გამო, ოჯახი დაუღუპია. მხოლოდ ყოველ მხრივ განვითარებულს შეუძლია შეიზნოს თვის დამოკიდებულება ხალხთან, და ეს განვითარება შეიძინება, თაზიერებ და ჩნებრივ აღსრდის გარდა, გონებრივ კარგეობითაც. ის საბუთი, რომ ბევრი ვატი განათლებულ ცოლთანაც ბედნიერიაო, არ ამტყუნებს ჩვენს არსს, რადგან კერძო შირის ბედნიერება არის და არა ნამდვილი, ყველასთვის სასურველი. საზოგადოების კეთილ-დღეობას კი ასეთი ყველასთვის სასურველი დამოკიდებულება უჭირს ცოლ-ქმარ შორის. ეს ბედნიერება, როგორც კერძო შირის ბედნიერება, კერძო მნიშვნელობისავე და სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ საზოგადოდ ურთიერთობა თოლ-ქმართ შორის, ნამდვილია და რიგანია. სო-



ლო ბედნიერება საზოგადოებისა დამყარებულთა სწორედ ამ ურთიერთობის რიგანობასზედ, სინამდვილეზედ.

განათლებული ქალი გრაციას ჰკარგავსო და, ქალურ მიმზიდველობას, სიკეკლეუტეს მოკლეებული, პედანტობას იწყებსო, ამბობენ მოწინააღმდეგენი... განა საწმენოება ხშირად ფარისეველობად არ შეიცვლება ხოლმე და გრაცია საწინააღმდეგეთა და პრინციპად? მაგრამ არაგინ ამბობს, საწმენოება საჭირო არ არისო. პედანტი კაციც ბევრია, ბევრი ჰკავს იმ მოლასს, ნაჭრებად დაჭრილი ყოფიანი რომ შეჭამა, მაჭმადის სული და გული სულ ჩემში დაიბუდებსო, და აჭმადის კი არავის უთქვამს, კაცს განათლება აუგერძალოთო. სწავლა, როგორც ვეკლას წოდებისთვის, აგრეთვე ორივე სქესისთვის არის საჭირო. ვეკლას წოდებას შეუძლიან ისწავლოს, და ორივე სქესსაც უნდა მიეტყოს უფლება, რადგან ამასზედ არის დამოკიდებული პროგრესიული ცხოვრება საზოგადოებისა, მით უფრო რომ ეს მნიშვნელობა განათლებისა უფრო მეტს აიწონის, ვიდრე ვეკლას შენიშვნები მოწინააღმდეგებისა, სულ მართალიც რომ იყვნენ. ტანის, სიმშვენეურს უმეტრება აფუტებს და ჭეუპავს და არა სხვა რამ. სიღამიზე კარგია, მაგრამ დროებითს, ჩქარა დასაფიქვარ შთაბეჭდილებას ასდენს. კოტეხი არ იყოფი, რაც ელვარებს, ჩქარა ჰქრებაო; და როდესაც სიღამიზე ემატება გონების და ზნეობის სიმშვენეურს, როდესაც ტანი და სული ერთმანერთს ამკობენ, მაშინ აქვსთ მათ დიდი მნიშვნელობა. რუსსო ამბობს: «ქალის მხოლოდობითს ღირსებას რომ სიღამაზე შეადგენდეს, მაშინ ვეკლას არა ღამაზმა ქალმა თავი უნდა ჩამოიხრჩოსო? შეიძლება მითხრან, ბევრს ჰკვიანს ქალს მოუპოვების სიუფარული და პატივისცემაც თუძინა გაუნათლებელნი ყოფილანო. ძლიერი გონება ყოველთვის გამოიხრება, რაც უნდა

დიდი დაბრკოლება დაუყენოთ წინა, როგორც თქვით ამოკა  
 სოლმე, თუძცა ზედ მიწას ათვარებენ. კაციც გამომიხენს სოლმე  
 ჭკუას უმეცნიერებოდ, მაგრამ ვინ იტყვის—ამიტომ კაცს გა-  
 ნათლება არ უნდა? მართალია, უმაღლესად განათლებული ქა-  
 ლი რაღაც არა ქალურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ეს იმი-  
 ტომ, რომ ჯერ არ შესწევს მას ჩვენი თვალის, და ამას გა-  
 რდა, სულ ეაცებში ატარებს იგი თვის დროს, რადგან გაუნა-  
 თლებელს ქალებს კვლავ ურბობდა; მას ცოტათი ვაცურნი სა-  
 სიათები აქვს; რადგან განათლებულნი ქალები ცოტანი არიან,  
 თვით განათლებულს ქალებს ჭკონიათ რაღასაც საკვირველს  
 ჩავდევართ, და სან რცხვენიათ, სან ყურადღების მიპყრობას  
 ცდილობენ და ერთობ, ბუნებრივად არ იქნებიან. ჩვენ ნუ და-  
 ვივიწყებთ, რომ სმარად სამაგელ თვისებას გამოიწვევს სოლ-  
 მე საქმეული წადილი და მინამ ადამიანს დროულდება. აქვს,  
 მინამ შეცდომაც ბევრი მოუვა. შეცდომები ყველა საქმეშია, ნუ  
 თუ ამ შეცდომების მიხედვით უარყოთ განათლება? ტყის  
 გვიამბობს, რომ მსწავლეულები და ფილოსოფოსები მე XVIII  
 საუკუნისა თვით იმდებლებდნენ თავს და დადგოდნენ სოლმე  
 გამომხენილ საფხებშია, სადაც იკრიბებოდნენ ლამაზი, ჭკვიანი,  
 სტუმარით მოყვარე და სრულად გაუნათლებელი ქალები; მათ  
 საშუალებათ საზოგადოებაში ახალი აზრები ვრცელდებოდა,  
 რადგან იქ დიდი საზოგადოება იკრიბებოდა. მაშასადამე ეს  
 ქალები შეედიდნენ მსწავლეულებს და თვით გი არამც თუ არა-  
 ფერის ჭკარგავდნენ, არამედ უფრო მშვენიერდებოდნენ, რადგან,  
 გონება ესენებოდათ. ახლა გი ამ გვარში ქალების საღონებმა დაჭკარ-  
 გეს თვის მიმზიდველი ძალა, და ქალების ამ მხრივი გავლენაც  
 შესწავლა საზოგადოებაზედ. დაწმინებული უნდა იყოს ქალი,  
 რომ თუ განათლება არ მოძებნა, თვით განათლება უფრო არ

შიადგება მას კარზედ, როგორც უწინ. ამით ქალიც მოიგებს და მეცნიერებაც. მსწავლულთ აღარ მოუნდებათ დამდაბლება, როგორც წინსულ საუკუნეში და ქალი კი ისევე მიიზიდავს საზოგადოებას და ისევე პროგრესის მთესველი შეიქნება.

ერთი შენიშვნა კიდევ დაგვჩნა ჩვენის მოწინააღმდეგეთა. ქალს რომ უმაღლესი განათლება მიეცეს, ეგელა ნაირ მოქმედებას დაიწეებსო და ვაცს სასარგელ მოცილეობას გაუწევსო. ამისი თქმა კი სულ სირცხვილია! რატომ არ დაუშადა მოცილეობამ ორთქლის მასინების და რკინის გზის შემოღებას? რატომ არ შეეშინდათ ვაცებს მოცილეობისა, როცა ქარხნებში ქალები კი არა, ბავშვებიც მიიღეს? რად ეშინიანთ ასე ნმ მოცილეობისა? იქნება ამ სიტყვებში სხვა რამ არაი იმალებოდეს, რომლის გამოთქმას ვერა ბედვენ? საქმე ის არის, რომ ქალს რომ ნება ჰქონდეს უოკელ-ნაირად მოქმედებისა, მასინვე გამოვა ახლანდელ მონერ მდგომარეობიდან და ვაცს გვერდზედ დაუდგება, როგორც მისი თანასწორი და არა მასზედ ნაკლები, ერთის სიტყვით ვაცის ბატონობას ბოლო მოელება და კიდევ ეს არ მოსწონს ბევრს, მით უფრო, რომ მასინ ვაცი ასე ადვილად ვეღარ შევა პროფესის არჩევანში, როგორც ესლა. წარმოიდგინეთ, სპისილება არ იქნება, რომ ვაცი სტოლონანაღნიკობას ელოდეს და ეს ადვილი ცოლმა წაართვას და მკერვალობა დაიწეებინოს?! ამის შიშით, რასაკვირიველია, ბევრს შეუძლიან დაიწეოს უვირილი: უმაღლესი განათლება გარყვანის ოჯახს, გახრწნის საზოგადოებას და დაარღვევს უოკელს წესსა და წუობილებასა და სხვ. და სხვ, ჩვენ საზოგადო სარგებლობა ვიქონიოთ სახეში და საქმე ისე გაკინჯოთ; არ ემჯობინება საზოგადოებისთვის, რომ უვარგისი სტოლონანაღნიკი კარვ მკერვალით გახდეს და უხეირო მას-

წავლელად-ქალი კარგ სტოლონანაღნიკათ?

თუმცა ქალების უმაღლესი განათლება ახალი საქმეა, თუმცა მას ბევრი მტერი ჰყავს, და ბევრი წინააღმდეგობაც გაუწიეს, მაინც ყველგან გზა გაიკვლია და ქალებს ცოტათი მაინც მიეცათ ნება უმაღლესის განათლების მიღებისა.

რუსეთში პირველი მაგალითი ქალებისთვის უმაღლეს სასწავლებლის გახსნისა—საექიმო გუერსების დაარსება იყო, სამსედრო მინისტრის წინადადებით. გუერს გათავებულს აკადემიური ნიშანი ეძლეოდა გულზედ სატარებლად. სხვა ქალაქების გარდა, საცა უნივერსიტეტებთან ერთად უმაღლესი გუერსებია ქალებისთვის, პეტერბურგში არის ბესტიუევის გუერსები, პედაგოგიური გუერსები და სპეციალური კლასი ფრანსიულის ენისა. დასახელებულ სასწავლებლებში მხოლოდ საშუალო სასწავლებელში გუერს-ზე სრულებულნი შედიან. აქვე არის სპეციალური გუერსები, საიდგანაც გამოდიან საბავშვო ბაღების (ჭრებელის) მასწავლებლათ, მოსკოვში საოსტატო სემინარია... თითქმის ყველა ქალაქში არის საბებიო, საფერშლო და სხ. სკოლები. ზოგ სასწავლებელში ქალი და გაცი ერთად სწავლობს, მაგ სამხატვრო აკადემია, კონსერვატორიები პეტერბურგში, მოსკოვში და ვარშაკაში. მუსიკალური, საანგარიშო, სტენოგრაფიისა, ტელეგრაფიისა და სხ. სკოლები. შვეიცარიაში ქალს ნება აქვს უნივერსიტეტში ისწავლოს და ციურისში სომ განსაკუთრებული საექიმო ფაკულტეტი არის ქალებისთვის. აგრეთვე ინგლისში; აქვე შეენიშნავ, რომ თვით გლადსტონის ქალმა დიპლომი მიიღო უმაღლესის განათლებისა; 1872 წ. ლონდონში საექიმო სკოლა გახსნეს ქალებისთვის და ბევრი ქალია მასში პრაქტიკოსოვრათ. იტალიაში ქალებს ბოლონიის უნივერსიტეტში აქვთ სწავლის ნება. შვეიცარიაში მათ ექიმობა შეუძლიანთ. მაშასადამე

ქალების უმაღლესის განათლების საქმე წინ მიდის. ერთის მხრით, შეუდარებელი, ჯერ ზატარა მანძილი გაუვლია, მაგრამ მეორე მხრით, შედარებით მსოფლიო, რაც ამ რამოდენიმე ხნის წინ იყო, იგი ძალიან წინ წასულა. საუბედუროდ ჩვენში უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთ შორის არ არის არავითარი კავშირი და ვისაც ჭსურს შესვლა უმაღლესში, უშეკლებელ ხეობად მოუნდება გადახტომა. ამას გარდა, უმაღლეს სასწავლებელში კურს-გათავებულს არავითარი ასპირენტი არა აქვს მოქმედებისა და ამ მხრით ჩვენი მოსწავლე ქალები ძალიან გვიან ბავშვებს, რომელთაც დიდი ხნის ტირილის შემდეგ, ახალი ტანისამოსი ჩააცვებს, მაგრამ მანც სტუმეს და შემდეგ ბუნებრივად დაამწყვდიეს. ეს ორი მხენებელი გარემოება ძალიან უშლის უმაღლეს განათლებას, თუმცა მათ თავიდან აცილება ადვილია: შეიცვალოს პროგრამა საშუალო სასწავლებლისა და მეტი ასპირენტი ჰქონდეს ქალს მოქმედებისა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს შეცდომები გასწორებულ იქნებიან; ძნელია კაცს იმედი არა ჰქონდეს, როცა იმედიანობა ასე ძალიან უნდა.

ქალისაგან უმაღლეს განათლების ძებნა თავისუფლების ძებნა არის. ბევრი დაბრკოლება, ბევრი ვაი-ვაკლახი არის ამ გზაზედ, მაგრამ იმიტომ რომ თავისუფლება მუქთად ვერ იშორებოდა, სთქვა სენეკამ. ჯერ ამ საქმეს მოსარჩლე ცოტა ჰყავს, მაგრამ, შილდერისა არ იყოს, — ხმები უნდა აიწონოს და არა დაიხოვლოს. მინამ ქვეყანაზე სისულელე იქნება, მინამ პროგრესის და სინათლის მოწინააღმდეგენიც იქნებიან, რადგან, როგორც გიორგი ამბობს, სისულელეს თვით ღმერთებიც ვერ მოერევიანო. ჭეშმარიტება ეი, როგორც ჭაერი ან სინათლე, უოკლათვის გაიკვლევს გზას: მისი დამალვა არ შეიძლება.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! კთხოვთ, რომ ამ წერილს «ივერიის» ერთ ერთს წიგნში ადგილი დაუთმოთ.

მეხვიდმეტე სა-ეგუნის ქართულ მწერლობაში ერთი უზი-  
რატესი ადგილი მეფე თეიმურაზ (1605—1665) პირველს  
უჭირავს და მის ნაწერებს. თეიმურაზის ზოგი ნაწარმოებნი  
დაბეჭდილია ქართულს ყუჩნალებში და გავსეულია აქა-იქ. მაგ-  
რამ არის იმისთანა ნაწარმოებნიცა, რომელნიც დაუბეჭდავნი  
არიან და მათი მოწოდება ამ უამად იშვიათ რამეს შეადგენს.  
მე განვიძრახე თეიმურაზის ყველა ნაწერების შეგროვება და  
ცალკე წიგნათ გამოცემა, მაგრამ ზოგიერთ ნაწარმოებთ მოუ-  
პოვებლობამ აქამოდის შემაბრკოლეს. თეიმურაზ პირველის  
ნაწერთაგან მე მოვიპოვე მხოლოდ შემდეგი ნაწარმოებნი: 1,  
კარდ-ბუღბუღიანი, პოემა სპარსულიდან ნათარგმნი, 2, ლეილ-  
მაჯნურისა, პოემა სპარსულიდან ნათარგმნი, ამ პოემას იოჰ.  
შერციც მოისსენებს ლიტერატურის ისტორიაში. ეს პოემა  
გადათარგმნილია ნემენურად კარტმანისაგან და დაბეჭდი-  
ლია 1807 წ. პ. მახაძე, (ანუ მუსტაფადი) ორიგინალური  
პოემა, 4, სანთელი და პეპელა, პოემა, 5, შედარება, პოემა.  
მე მაკლია შემდეგი ნაწარმოებნი: 1, იოსებისა და შილოხანის-  
სა, პოემა, ნათარგმნი სპარსულიდან. ამ პოემას შერციც მოი-  
სენებს და გადათარგმნილია ნემენურად ბ. როზენცვიგერისა-  
გან და დაბეჭდილია 1814 წ. გერმანიაში, 2, ქება და მკობა  
სელმწიფის მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარე-  
ჯანისა, 3, გრემის სასახლეზედ თქმული ლექსი, 4, დავით გა-

რეჯის მონასტერის ნახელ მეფის თამარის სახესუდ ნათქვამი 5, წამება თავის დედის ქეთევან დედოფლისა და ნ, სწონოგრაფი, ამ უგანსკელს ექვს ნაწარმოებს ბ. პეტრე უმივაშვილი ასახელებს 1875 წ. გამოცემულის თეიმურაზის «გარდ ბუღბუღიანისა» წინა-სიტყვაობაში, და უბრალოდ, რომ ამ პატრივტემულს და დამსახურებულს მწერალს ეგელა ეს ნაწარმოებნი წაკითხული და დაცული ექმნება.

ახლა ამ წერილის საშუალებით უნდა მივმართო ხუენს ქართულს საზოგადოებას და ვსთხოვო, რომ თუ ვისმეს რამე აღმოუჩნდეს თეიმურაზ მეფის ნაწერებისა, ეგელა ესენი დროებით დაგვიტომონ, ან მოვიდვით, ან თხოვებით და ან გადასაწერად მაინც, როგორც ზემოთაღ მოვისახუნო, ხემთვის საჭიროა მხალოდ ის პოეპები, რომელნიც მე არა მაქვს და რაც უსაჭიროესნიც არის თეიმურაზის ნაწერების ერთად შედგენისთვის იმედია, რომ ეს თხოვნა უყურადღებოდ არ დაჩიება და მით საშუალებას მომცემენ, რომ მეხვიდმეტე საუკუნის ერთ ეპიკურ-რომანტიულ ქართულს საუკეთესო მწერალს თავისი თხოვნებისა აღკუდგინოთ და მით ხუენს ძველად მდიდარს და ახლა ღარიბს მწერლობასაც ერთი გვარისი ხელეწიური თხოვნება შევმართო.

კ. მ. ხუენ შევტყუო. რომ თეიმურაზ პირველის და თეიმურაზ მეორის ნაწერები, თბილისში. სიონის მღვდელს, პატრივტემულ გრიგოლ მღვდელისთვის ქუენია, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ეგელა ის ნაწერები ერთ წიგნად შეკრული ვიდასაც თხოვნით გამოურთმევა და წაუღია სამუდამოდ იმედია, რომ ეს პატრივტემულნი პირნი ესლა მაინც მოსიძებინან და გვათხოვებენ რამდენიმე სნით.

ზ. ჭიჭინაძე.

## განცხადება

თბილისის თავად-აზნაუროთა საადგილ-მამულთა ბანკისაგან.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ოცდა მეერთე (21) ტირაჟში, რომელიც მოხდა ამ წლის ოქტომბრის 29, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირაფნობის ფურცელთა:

1) გირაფნობის ფურცელნი, გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით:

1 სერიისა

18 წლ. და 7 თვ. ვალით.

ათი თუმნის (100 მ.) ლირსებისა №№ ოცდა რვა (28), ორმოცდა ადი (50) და ოთხმოცდა თერამეტი (98).

2 სერიისა

18 წ. 7 თვ. ვალით.

ათი თუმნის (100 მ.) ლირსებისა № ექვსი (6)

27 $\frac{1}{2}$  წლით.

ასი თუმნის (1000 მ.) ლირსებისა № ას ოცდა ჩვიდ-მეტი (137)

ათი თუმნის (100 მ.) ლირსებისა №№ ას ორმოცდა ორი (142), ას სამოცდა ხუთი (165) ას სამოცდა ჩვიდ-მეტი (177).

3 სერიისა

ასი თუმნის (1000 მ.) ლირსებისა № ას თოთხმეტი (114)

ორმოცდა ათი თუმნის (500 მ.) ლირსებისა № ორმოცი (40).

ასი თუმნის (100 მ.) ლირსებისა №№ ერთი (1), რვა (8) და ას ორმოცდა ათი (150).

5 სერიისა

ორმოც და ათის თუმნის (500 მ.) ლირსებისა № ცამეტი (13).



6 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორი (2).

8 სერიისა

(112) ას ცამეტი (113) და ას თხუთ-მეტი (115).

9 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ცამეტი (13)

10 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № სამოცდა თორ-მეტი (72)

43 $\frac{1}{2}$  წ. ვალით.

6 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ოცი (20)

7 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამას სამოც-და ერთი (361).

8 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოცდა-თოთხმეტი (54), ას ოთხმოცდა ათი (130) და სამას ოც-და რვა (328).

9 სერიისა.

ორმოცდა ათი თუმნის (500 მ.) ღირსებისა № შვი-დი (7).

10 სერიისა.

ათი თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ექვსი (6).

11 სერიისა.

(27) და ოთხმოცდა ცამეტი (93).

54 $\frac{1}{2}$  წ. ვალით.

5 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ასი (100).

2) ბირაფნობის ფურცელნი, გამოცემულნი ბანკის მიერ 1881 წ. 17 თებერვლის წესდების ძალით.

27<sup>1/2</sup> წლ. ვალით.

1 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ თერთმეტი (11), ოთხმოცდა ცხრამეტი (99), ას ოცდა სამი (123) და სამას ათი (310).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ოთხმოცდა ათი (90).

2 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ თექვსმეტი (16) რვა (8). ას თექვსმეტი (116). ას სამოცდა ერთი (16.1), ოთხას ოცდა ექვსი (426), ოთხას ოთხმოცდა თორმეტი (492), ექვსას ოთხმოცდა ხუთი (685), ექვსას ოცდა თოთხმეტი (634) და შვიდას სამოც და თხუთმეტი (775).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ორას სამი (203).

3 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ას ოცდა ოთხი (124).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოცდა თექვსმეტი (36), ორმოცდა თოთხმეტი (54) და ას ოცდა ხუთი (126).

4 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ას ოცდა ცხრამეტი (133) და ას სამოცდა ათი (170).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოცდა თხუთმეტი (15), ას ორმოცდა ათი (150) და ას ოთხმოცდა ჩვიდმეტი (197).

5 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ ას ოცდა ცხრამეტი (139) და სამას თორმეტი (312).

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № თოთხმეტი (14).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ თექვსმეტი

(16). ოცდა ექვსი (26), ოთხმოცდა ოთხი (84) და ასათი (110).

6 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორმოცდა ექვსი (46).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამოცდა სამი (63),

7 სერიისა.

ასის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ას თხუთმეტი (115), ორას ოცდა შვიდი (227) და ორას სამოცდა თვრამეტი (278).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ას ოცდა ერთი (121) და ორას ოთხმოცდა თორმეტი (291).

8 სერიისა.

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № შვიდი (7).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ოცდა სამი (23).

9 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № თექვსმეტი (16). ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებასა № ოცი (20).

ასის თუმნის (100 მ.) ღირსებასა № ორმოცდა ცამეტი (53) და სამოცდა ორი (62).

43<sup>1</sup>/<sub>2</sub> წლის ვადით.

1 სერიისა.

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებასა № ოცდა ცხრა (29).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა, № ცხრამეტი (19).

2 სერიისა.

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ხუთი (5).

## 3 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ რვა (8), ორ-  
მოცდა თვრამეტი (58) და ას ათი (110).

## 4 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოცდა ცხრა  
მეტი (39), ორმოცდა თორმეტი (52) და ორმოცდა თვრა-  
მეტი (58).

## 5 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოცდა  
თერთმეტი (51), სამოცდა სამი (63) და სამოცდა თექვს-  
მეტი (76).

## 6 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ერთი (1) და  
ოთხმოცდა შვიდი (87).

## 7 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ თვრამეტი  
(18), სამოცდა თექვსმეტი (76) და ოთხმოცდა შვიდი (87).

## 8 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორას ოც-  
და ექვსი (226).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამასი (300)  
და სამას სამოცდა ხუთი (365).

## 9 სერიისა.

ორმოცდა ათის (500 მ.) თუმნის ღირსებისა № ორი  
(2).

## ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისეიდება ასალი, მესუთე, გამოცემა

### «გუნეგის პარისა»

გასწორებული და შეკესებული. ამ გამოცემაში ცოტად შემოკლებულია პირველი განყოფილება, რომელიც იპყრობს ბუნების მეტეოლოგიას, ხამატებულია ასალი სურათები, ასალი ლექსები, ქრისტომატია გადიდებულია, წიგნი შეკესებულია ასალი ისტორიული განყოფილებით, რომელიც იპყრობს კრტელს აღწერას საქართველოს ისტორიის სასელოკანი პირების ცხოვრებისას და მოქმედებისას. გარდა ამისა, წიგნის ყოველს განყოფილებაში დაკავშირებულია პრეზა და ლექსები. გამოცემა შემკულია ასალი ქართით, რომელიც მოჭრილია საუგეთოსო თბილელ სპეციალისტისაგან. თუმც გამოცემა წინანდელზედ დიდია მთელი ასი გვერდით, მაგრამ უწინდელი ფასი შეუცვლელად არის დარჩენილი და წიგნი დირს თხუთმეტი შაური. ვინც ათ ცალს ერთად იყიდის, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოც-და-ათს — ცამეტად და ვინც ასს ცალს წაიდებს — სამ აბაზად მიეცემის. წიგნი ისეიდება გამოცემლის ხაქარია გრიჭუროვის წიგნთა ძალაზიაში, კუვიის ხიდის ყუჩთან და ყველა სსკა ძალაზიებშიაც თბილისსა და ქუთაისში. ვისაც სურს ყდაში გადაკრული წიგნი მიიღოს, ყველა ცალის ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

გამოვიდა ახალი სასულძმძვანელო წიგნი ქართული

## ქ რ ი ს ტ ო მ ა ტ ი ა

უმცროს კლასებისთვის

შედგენილი

მიხეილ წასიძისაგან.

შინაარსი: 1. პატარ-პატარა სტატიები, ლექსები და იგავები, 2) ზღაპრები. 3) საქართველოს ბუნებიდამ და ცხოვერებიდამ (ნიმუშები სამშობლო მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ). 4) საქართველოს ისტორიიდამ.

ფასი 75 კ.

წიგნი ისყიდება თბილისში ყველა წიგნის მალაზიებში, წიგნების დაბარება შეიძლება მხოლოდ «ცენტრალური წიგნის მალაზიიდამ», რომელიც 15% (მანათზე 15 შაურს) დაუთმობს, ვანც არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას გამოიწერს. ერთი წიგნის დაბარებელმა ორი შაური გასაგზაენი უნდა დაუმატოს.

«ცენტრალური წიგნის მალაზიის ადრესი: г. Тиф-ლისь, Центральная Книжная торговля.

გრ. ჩარკვიანის

## ქართული წიგნის მალაზია

გადავიდა იმავე ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ სემენარის პირდაპირ ზუბალოვის სახლებში.

# საქართველოს

## მუკლე ისტორია

ისყიდება:

თბილისში გრიჭოვას და ჩარკვიანის მალაზიებში.

ქეთაისში ჭილაძესთან

ბათუმში მასე ნათაძესთან

თელავს როსტომაშვილთან

სიღნაღს ვ. ქიტაშვილთან

გორს ს. ლიაძესთან.

ფასი 60 კაპეიკი.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Въ Тифлисъ Михайл. ул. д. № 45, Георгио Давидовичу Картвелишвили) დაიბარებს არა ნაკლებ 20 კკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კკზ.

ი 383  
1885

### განცხადება.

ამა 1885 წელს ქურონოს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შეიღი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკში, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, თვით რედაქტორის სადგომში, სახლი ი. ი. ზუბალაძისა, (მისაკადი, როგორც ახალ-ბებუთოვის, ისე ლაბარატორის ქუჩიდან).

ჭუთაისში, შილაძის ძალაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ზ ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*